ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი | 22-28 დეკემბერი 2008 №268 (3492) | ფასი 1 ლარი


## შუშის შენობიდან დანახული იტალია

### საიდუმლო მასალების ქართული რეალობა




## ბედევანიშვილის საათი შვეიცარიულ დროს აჩვენებს




## 50 ვარსკვლავი, რომელმაც შეცვალა პრემიერლიგა

Daily Mail



## გიორგი ქინქლაძე და თემურ ქეცბაია: ქართული ნაკვალევი ინგლისურ ფეხბურთში

## ნოემბრის №1 მამუკა გორგოძე

საფრანგეთში ნოემბრის საუკეთესო მორაგბედ „მონპელიესა“ და საქართველოს ნაკრების მეორე ხაზის მოთამაშე მამუკა გორგოძე დაასახელეს! მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ჩემპიონატში ნოემბრის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენაში გორგოძემ კონკურენტებს ერთი თავით აჯობა და ხმათა 63 პროცენტი მოაგროვა. მეორე-მესამე ადგილებზე 18-18 პროცენტით „ბრივის“ ინგლისელი მორაგბე ენდი გუდი და „ბაიონის“ ფრანგი რემი მარტინი გავიდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესიონალი

## როგორ დაამსხვრია იტალიური სტერეოტიპი შუშის შენობიდან გამოსულმა კაცმა

**მაია ჯიჯავა,** რომი — თბილისი

21-ე საუკუნე პროგრესისა და განვითარების ერად არის მიჩნეული, ინტერნეტმა და ტელევიზიამ უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და უკან ჩამოიტოვეს ურთიერთობისა და ინფორმაციის მიწოდების ყველა სხვა საშუალება. განსაკუთრებით ცუდ დღეში ბეჭვდითი მედია აღმოჩნდა. წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს სულ უფრო ნაკლები ადამიანი კითხულობს და ეს ტრადიციული და მომხიბვლელი სფერო, შეიძლება ითქვას, პროგრესის მსხვერპლი გახდა, თუმცა კითხვის მოყვარულები ჯერ კიდევ არსებობენ, რადგან გაზეთის გადაფურცვლას და საინტერესო სტილით დაწერილი ინფორმაციის ამოკითხვას სულ სხვა ხიბლი აქვს. იტალიაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ საქართველოს მსგავსად, ეს პრობლემა იქაც აქტუალურია, ამიტომ სხვა ბევრ საინტერესო თემასთან ერთად ამ საკითხზეც ვესაუბრე იტალიური პრესის ყველაზე ძველი და პოპულარული წარმომადგენლის, „გაძეტა დელო სპორტის" ვიცე-რედაქტორ რუჯერო პალომბოს.

სანამ ინტერვიუზე გადავალთ, მოკლედ გავეცნოთ „გაძეტა დელო სპორტის" ისტორიას. „გაძეტა", როგორც მას იტალიელები შემოკლებით ეძახიან, 1896 წლის 3 აპრილს, ორი სპორტული ყოველკვირეული გაზეთის, მილანური „ილ ჩიკლისტასა" და ტურინული „ლა ტრიპლეტას" გაერთიანებით დაარსდა.

„გაძეტა" თავიდან ოთხფურცლიანი იყო, კვირაში ორჯერ, ორშაბათს და პარასკევს 20 000-იანი ტირაჟით გამოდიოდა. გაზეთი მწვანე ფურცლებზე იბეჭდებოდა და მალევე გახდა პოპულარული, რადგან მისი გამოსვლიდან 3 დღეში ათენში პირველი ოლიმპიადა გაიხსნა.

1899 წლიდან „გაძეტა დელო სპორტის" ფურცლები ფერს იცვლის და ვარდისფერი ხდება — გაზეთი დღემდე ამ ფერით იბეჭდება. ამავე წლიდან ჩვენი იტალიელი კოლეგები არა მარტო სპორტზე წერას, არამედ სპორტულ აქტივობასაც იწყებენ, ისინი ორგანიზებას უწევენ და აფინანსებენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებას, მათ შორის, ველორბოლაში საქვეყნოდ ცნობილ „ჯირო დიტალიას". ამასთან დაკავშირებით „გაძეტას" ტირაჟი ასი ათასამდე გაიზარდა.

1913 წლიდან „გაძეტა დელო სპორტი" ყოველდღიური სპორტული გაზეთი ხდება, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო, ფორმატი ისევ შეიცვალა და კვირაში ორჯერ გამოდიოდა. საინტერესოა, რომ ომის დასრულებამდე ოცდაათი ათასი გაზეთი ფრონტის ხაზზე ჯარისკაცებისთვის უფასოდ იგზავნებოდა.

1919 წლიდან „გაძეტა" ისევ ყოველდღიური ხდება და ასეა დღემდე.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების გამარჯვების შემდეგ „გაძეტა დელა სპორტმა" იტალიური ბეჭდვითი მედიის ყველა დროის რეკორდი მოხსნა და ორი მილიონ ოთხმოცდაათი ათასი მკითხველით პირველი ადგილი დაიკავა.

დღესდღეობით „გაძეტა დელო სპორტი" აპენინებზე არა მარტო სპორტულ, არამედ პოლიტიკურ და შემეცნებით-გასართობ ჟურნალ-გაზეთებსაც უსწრებს ტირაჟით. დიდი პოპულარობით და პრესტიჟით სარგებლობს იტალიის გარეთაც.

გაზეთის სათაო ოფისი მილანშია, თუმცა ყველა დიდ ქალაქში აქვს რედაქცია. მილანის შემდეგ კი მთავარ რედაქციად რომი ითვლება, რომელსაც 2007 წლის სპორტული ოსკარის გამარჯვებული ჟურნალისტი, 55 წლის რუჯერო პალომბო ხელმძღვანელობს. მან თავისი კარიერა „გაძეტაში" უბრალო კორესპონდენტობით დაიწყო და რომის რედაქცია რამდენიმე წელიწადში ჩააბარეს. ამჟამად კვირაში ერთხელ წერს რედაქტორის რუბრიკას სათაურით „შუშის შენობა". სწორედ ამ რუბრიკაში პირველად მან ამხილა იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა 2006 წელს საქვეყნოდ ცნობილ „კალჩოპოლად" წოდებულ სკანდალში.

„გაძეტა დელო სპორტის" რედაქცია რომის ცენტრში, კოლიზეუმიდან ორი ფეხის ნაბიჯზე, პიაცა ვენეციაზე, სამშობლოს მონუმენტის პირდაპირ მდებარეობს.

რუჯერო პალომბომ დიდი პატივით მიმიღო, ჩემი მხრივ, მე „სარბიელის" სახელით მადლობა გადავუხადე შეხვედრისთვის და ინტერვიუც დავიწყეთ...



რუჯერო პალომბო და ჩვენი კორესპონდენტი მაია ჯიჯავა

— სინიორ რუჯერო, დღესდღეობით ბეჭდვით მედიას მძიმე დღეები უდგას, სულ უფრო ცოტა ადამიანი კითხულობს გაზეთებს, ტელევიზიისა და ინტერნეტის სახით კონკურენცია ძალიან დიდია. როგორ უმკლავდება ამ პრობლემას გამოცდილი „გაძეტა დელო სპორტი"?

— მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ჩვენი გაზეთი მკითხველთა რაოდენობით იტალიაში პირველ ადგილზეა, ჩვენთვის ეს საკითხი უცხო არ არის. ყოველთვის გვიწევს ამ პრობლემასთან ჭიდილი. სტატიების წერის გარდა, სხვადასხვა ფანდების გამოგონება გვიხდება, რადგან მკითხველს გაზეთის შეძენის დამატებითი სტიმული მივცეთ.

— რას გულისხმობთ?

— ხშირად საუკეთესო გოლების, მატჩების, კლუბების ჰიმნების და ასე შემდეგ დისკებს საჩუქრად ვაყოლებთ გაზეთს. ეს აპრობირებული მეთოდია. ზოგი რედაქცია გაზეთთან ერთად ხშირად ფერად წიგნებსაც კი ბეჭდავს საჩუქრად. ეს არის ინტერნეტის და განსაკუთრებით ტელევიზიის წინააღმდეგ ყოველდღიური ბრძოლის იტალიური მეთოდი.

ტელევიზიას სპორტში დიდი მონოპოლია აქვს, ყველა კლუბი სეზონის დაწყებამდე კონტრაქტს აფორმებს სხვადასხვა არხთან და ისინი ვალდებულები არიან, მატჩის შემდეგ პირველი კომენტარები სწორედ მათ მისცენ. ჩვენ კი ლოდინი გვიხდება, სანამ ტელევიზია თავის საქმეს მოითავებს. პრაქტიკულად მეორე პლანზე გადაგვწიეს, მაგრამ ასეთი ზეწოლის მიუხედავად, მაინც ღირსეულ კონკურენციას ვუწევთ.

— გაძეტას საკუთარი ვებგვერდი აქვს, რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობს. წესით ინტერნეტთან კონკურენცია არ უნდა გაფრთხობდეთ...

— მართალია, თუმცა გაზეთი მაინც სულ სხვაა. „გაძეტას" ვარდისფერი გვერდების გადაფურცვლას არაფერი მირჩევნია. შეიძლება, ძველმოდურად მოგეჩვენოთ, მაგრამ კითხვას სულ სხვა ხიბლი და ელფერი აქვს. ახლა ტელევიზიისა და ინტერნეტის ეპოქაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი პრობლემის მიუხედავად, ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის იარსებებენ. ისინი ხომ ტელევიზიაზე ადრე გაჩნდნენ და უკვე დიდი ხანია, ღირსეულ კონკურენციას ვუწევთ.

რაც შეეხება ინტერნეტს, ეს სხვა ფენომენია. ახალგაზრდობა ალბათ ტელევიზორსაც აღარ უყურებს ინტერნეტის გამო, იქ ხომ პრაქტიკულად ყველა ინფორმაცია და გართობა ხელმისაწვდომია. სწორედ ამიტომ გაზეთის დაბეჭდვასთან ერთად დიდ ყურადღებას ვუთმობთ ვებგვერდის განვითარებას. თქვენ რომ თავიდან ჩვენი ვებგვერდი გენახათ, გაგეცინებოდათ. ეს იყო შავთეთრი ფაილების კრებული, რასაც გაზეთში დაბეჭდილი სტატიების არქივს უფრო დაარქმევდით, ვიდრე ვებგვერდს, თუმცა კონკურენციამ მოითხოვა მისი დახვეწა და ახლა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის ვებგვერდი გვაქვს მსოფლიოში, სადაც ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, მყისიერია. ყოველდღე მილიონობით ადამიანი შემოდის ჩვენს ვებგვერდზე, რაც გაზეთის მყიდველზე მეტი რაოდენობაა. არ გეგონოთ, ამით იმის თქმა მინდოდეს, თითქოს ვებგვერდი ჩვენთვის გაზეთზე მნიშვნელოვანია. უბრალოდ, ცხოვრების ტემპს ავუბით მხარი, თუმცა პრიორიტეტად „გაძეტას" დაბეჭვდა რჩება და მომავალშიც ასე იქნება.

— ამჟამად მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამდენად აისახა ეს თქვენს გაზეთზე?

— სამწუხაროდ, ეკონომიკური კრიზისი, ისევე, როგორც ომი და არეულობა, ყველაფერზე ტოვებს თავის კვალს. ევროს კურსის დაცემა და ბანკების გაკოტრება თითქოს გაზეთის გამოცემასთან არანაირ კავშირში არ უნდა იყოს, მაგრამ საბოლოოდ ჯაჭვური რეაქციაა და ეს სფეროები უნებურად ყველა სხვა სფეროს ითრევს. მოსახლეობას საჭმლის ფული თუ გაუჭირდა, ის გაზეთს არ იყიდის. მეტიც ალბათ რომც აჩუქო, ამდენი პრობლემების ფონზე, არც წაიკითხავს. საქართველოსგან განსხვავებით, იტალიაში ომი არ ყოფილა, თუმცა კრიზისმა მკვეთრად დააზარალა ყველა საქმიანობა. რთული დასაჯერებელია, მაგრამ ამ კრიზისის პერიოდში იყო დღეები, როცა გაზეთის დანაზოგებით ვამუშავებდით რედაქციას. ამ ყველაფერს ასე გულახდილად იმიტომ გიყვებით, რომ თქვენს ქვეყანაში მსგავსი პრობლემები ალბათ უფრო მძაფრად დგას და მინდა, თქვენს მკითხველსაც და ჟურნალისტებსაც ჩვენი მაგალითით სტიმული მოგცეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ მსოფლიო ომის დროსაც და შემდეგაც სხვადასხვა პრობლემების გამო ბევრჯერ მოგვიხდა გაზეთის ფორმატის შეცვლა, სარედაქციო კოლეგიის თუ ხელფასების შემცირება და ასე შემდეგ, თუმცა ყველა გამოცდა გადავლახეთ და თუ საჭირო გახდება, მომავალშიც გადავლახავთ.

— ორი მილიონ ოთხმოცდაათი ათასი მკითხველით იტალიურ ბეჭდვით მედიაში ლიდერი ხართ. რა არის ამის საიდუმლო და რატომ აჯობა სპორტულმა გაზეთმა პოლიტიკურ გაზეთებს?

— უცხოელების აზრით, ამის მიზეზი იტალიელების სპორტისადმი და განსაკუთრებით ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულია.

— და ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, ეს პოპულარობა იტალიელების ფეხბურთის გადაჭარბებული სიყვარულის დამსახურებაც არის, თუმცა მე მაინც მგონია, რომ უფრო დიდი დამსახურება თავად მცნება სპორტული ჟურნალისტიკაა.

— რას გულისხმობთ?

— სპორტული ჟურნალისტიკა, პოლიტიკური და სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ნაკლებად პირფერია — ოპტიმისტური, იუმორით გაჯერებული, ობიექტური, ემოციებით აღსავსე და სპონტანურია. ეს ჟურნალისტიკის ერთადერთი ჟანრია, რომელიც მკითხველს

საშუალებას აძლევს, საყვარელი გუნდის ან სპორტსმენის წაგების შემთხვევაში, სტატიების წაკითხვით ერთდროულად გულიც მოიოხოს და ყველაფრის მიუხედავად, შემდგომში წარმატების იმედიც ჩაესახოს. „წაგება და მოგება ძმები არიან“ — ესეც ხომ სპორტული ჟურნალისტიკის დამკვიდრებული ფრაზაა. ჩვენს ტერმინოლოგიას უკვე სხვა სფეროს ჟურნალისტებიც იყენებენ. აი, ეს ყველაფერი ერთად არის ჩვენი და ზოგადად სპორტული ჟურნალისტიკის წარმატების საწინდარი.

**— თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ ყველაზე წარმატებული ნომერი „გაძეტას“ ისტორიაში?**

— ასეთი ორი იყო და ორივე ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების გაჩემპიონებას უკავშირდება. პირველად 1982 წელს, მეორედ კი ჩემი რედაქტორობისას, 2006 წლის 10 ივლისს. ეს იყო პრაქტიკულად ყველა დროის რეკორდი — სამი მილიონი გაზეთი გაიყიდა მთელ იტალიაში და ამ ნომერზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ მეორე დღეს ხელმეორედ დავბეჭდეთ იგივე გაზეთი. 10 ივლისის ნომერი ისტორიაში შევიდა და საკოლექციო გახდა.

**— თქვენ 2006-2007 წლების იტალიის საუკეთესო სპორტული ჟურნალისტის პრემია მოგანიჭეს. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ასეთი აღიარება?**

— 1995 წლიდან „გაძეტაში“ ყოველკვირეული რუბრიკა მაქვს. სწორედ ამ რუბრიკაში ვამხილე პირველად „იუვეს“ ხელმძღვანელობა და აქედან დაიწყო გახმაურებული „კალჩოპოლის“ სკანდალიც. ჩემი აზრით, საუკეთესო ჟურნალისტის პრემიაც ამას უკავშირდება. რაც შეეხება აღიარებას, რა თქმა უნდა, ყველა ჟურნალისტს უხარია, როცა გაწეული სამსახური უფასდება. ჩემი რუბრიკის მიზანი სპორტულ სამყაროში უსამართლო და არაკანონიერი საქმიანობის მხილებაა, ამიტომაც ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო ამ პრემიის მიღება.

**— როგორ დაიბადა ამ რუბრიკის იდეა?**

— ვიცე-რედაქტორობამდე „გაძეტაში“ სპორტული პოლიტიკის ხელმძღვანელიც ვიყავი. ხშირად ვაწყდებოდი სპორტში და განსაკუთრებით ფეხბურთში უსამართლობას და სხვადასხვა სახის დარღვევას. ამიტომ გადავწყვიტე ამ რუბრიკის შექმნა.

**— როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია „იუვეს“ ხელმძღვანელობის ბრალეულობაზე?**

— ჟურნალისტებს ბევრი საიდუმლო წყარო გვაქვს, სხვადასხვა სახის ინფორმაცია მომდიოდა, რომლებიც თითქოს ერთმანეთთან კავშირში არ იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთმანეთს დავუკავშირე. არსებობდა საუბრების ჩანაწერები „იუვესა“ და „ნაპოლის“ ხელმძღვანელებს შორის, ასევე მსაჯების სატელეფონო საუბრები.

2005 წელს ტურინში გაიმართა რამდენიმე სასამართლო პროცესი „იუვეს“ საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ამ პროცესზე მიმდინარე მოვლენები გასაიდუმლოებული იყო და გუნდის ხელმძღვანელობის ბრალეულობას არ აღიარებდა. „გაძეტას“ საბედნიეროდ, ტურინის პარალელურად გაიმართა პროცესი ნეაპოლშიც. პროკურორი საქმეში უკეთ გასარკვევად ჩვენს რედაქციას დაუკავშირდა რჩევისთვის და საიდუმლო მასალები გაგვაცნო. ჩემი ეჭვებიც გამართლდა და კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაზე დავიწყე მუშაობა, სანამ საბოლოოდ არ მომეცა საშუალება, დამეწერა სტატია დამადასტურებელი მასალების თანხლებით. ყველაზე გამაოგნებელი კი ის არის, რომ ამ ყველაფრის საქმის კურსში იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც იყო. მათ ეს 2005 წლის სექტემბერშიც კი იცოდნენ და სკანდალის თავიდან ასაცილებლად საბუთებს სეიფში საგულდაგულოდ მალავდნენ. ამასობაში დრო გადიოდა და ბოლოს უკვე არავის აწყობდა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ასეთი მასშტაბური სკანდალის აგორება.

**— თქვენ არ გაწუხებდათ ეგ პრობლემა?**

— რა თქმა უნდა, მაწუხებდა. იტალიური ფეხბურთის დაზარალება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩემი მიზანი არ ყოფილა, მეტიც, სწორედ ფეხბურთისა და სამშობლოს სიყვარულის გამო გადავწყვიტე, ფარდა ამეხადა ამ ფარსისთვის, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რომ გამხდარიყო ცნობილი ეს სკანდალი, შეიძლება უფრო მეტი ზარალი მოეტანა ჩვენთვის.

**— სტატია აპრილში დაწერეთ. ამის მიუხედავად, ჩემპიონატი გაგრძელდა და „იუვემ“ სკუდეტოც კი მოიგო...**

— ჩემი სტატიის მერე სხვა გაზეთებმაც აიტაცეს ეს თემა და ყოველდღე სულ უფრო მეტი ინფორმაცია ხდებოდა ცნობილი. ჩემი აზრით, ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი. იტალიურ ფეხბურთში სკანდალები არ გვაკლია, თუმცა ასეთი უცნაური ჩემპიონატი არ მინახავს. ყველაზე მეტად ფეხბურთელები დაზარალდნენ. მათ არ იცოდნენ, ზუსტად რა ხდებოდა, არც ის იცოდნენ, ჩამოართმევდნენ თუ არა სკუდეტოს, თუმცა დარჩენილ მატჩებში მაინც ბოლომდე იბრძოდნენ. განსაკუთრებით დაძაბული ბოლო შეხვედრა იყო. მატჩის დასრულების შემდეგ სკუდეტო უნდა ეზეიმათ, ისინიც ცდილობდნენ ამის გაკეთებას, თუმცა ინფორმაცია მისდიოდათ, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა და ამის გამო გასახდელში ჩასული ზოგი მათგანი ბავშვივით ტიროდა.

**— „კალჩოპოლის“ ნომერ პირველი დამნაშავე „იუვეს“ ყოფილი ხელმძღვანელი ლუჩანო მოჯია. დაგვიხასიათეთ ეს პიროვნება...**

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მოჯი იტალიური ფეხბურთის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მას ფეხბურთი ძალიან უყვარს. მოჯი იყო ბრწყინვალე მენეჯერი, აღმოაჩინა არაერთი ტალანტი... მისი კარიერა „ნაპოლიდან“ დაიწყო, შემდეგ მუშაობდა „რომაში“ და ბოლოს „იუვეში“ — 40 წელი შეალია ამ სფეროს. თუმცა ეს მის ბრალეულობას და უპატიებელ შეცდომას არ ამსუბუქებს.

**— მას ყველაფერი ჰქონდა: აღიარება, პატივისცემა... რატომ გადადგა ეს ნაბიჯი?**

— მოჯი არ იყო მზად იმ დიდი ძალაუფლებისთვის, რაც ჩააბარეს. ცუდი პერიოდი დაემთხვა, წლების მანძილზე ანიელების ოჯახი მართავდა „იუვეს“. ჯანი ანიელისა და მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ, კლუბი მთლიანად მოჯის გადააბარეს. ის იყო კარგი მენეჯერი, მაგრამ ვერ გახდა კარგი ხელმძღვანელი. მისთვის წარმოუდგენელი ძალაუფლება მიეცა და ალბათ შეეშინდა, ან ყოვლისშემძლედ ჩათვალა თავი. ის არა მარტო ფეხბურთელების არაკანონიერი ყიდვა-გაყიდვით, არამედ არბიტრებითაც დაინტერესდა და რომ იცოდა, შეიძლებოდა იტალიური ნომრიდან მისი საუბრები მოესმინათ, შვეიცარიულ ნომერს იყენებდა და ისე ურეკავდა და უთანხმდებოდა მსაჯებს. მოჯიმ ჩაიდინა რამდენიმე მძიმე დანაშაული: ფეხბურთელების უკანონო და დაფარული ყიდვა-გაყიდვა, მსაჯების მოსყიდვა, საფეხბურთო სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლის დაშინება-მუქარა და ყველაზე მძიმე დანაშაული — იტალიის ჩემპიონატის ანგარიშების გაყალბება.

**— რა სასჯელი ემუქრება მას?**

— თითოეული ეს საქმე სხვადასხვა სასამართლოში ცალ-ცალკე იხილება. მარტო ერთი დანაშაულისთვის უკვე 6 წელი მიუსაჯეს. ძნელი სათქმელია, რა იქნება კიდევ. სამწუხაროდ, იტალიაში სასამართლო ვერ არის ძლიერი და საერთოდაც, აქ ძალიან უცნაური კანონებია. ადამიანს შეიძლება რამდენიმე წელი მიუსაჯონ, თუმცა მაშინვე შინაპატიმრობა შეუფარდონ, თუ საზოგადოებისთვის საშიში არ არის; შემდეგ სხვადასხვა სახის შეწყალებებიც მიიღოს და საბოლოოდ ისე დამთავრდეს, რომ ერთი დღეც არ გაატაროს ციხეში. არა მგონია, მოჯი ასე ადვილად გამოძვრეს ამ სკანდალიდან, თუმცა ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა გაცილებით საშიშ დამნაშავეებს, მკვლელებს, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი, რამდენიმე წლიწადში ციხიდან უშვებდნენ. ასე რომ, იტალიაში რთულია განსაზღვრო, რა ელის მოჯის, თუმცა ეს სხვა თემაა და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

**— არადა, „იუვე“ იმდენად დიდი გუნდი იყო, რომ არც სჭირდებოდა მსაჯების მოსყიდვა. ისედაც შეეძლო სკუდეტოს მოგება...**

— სრული სიმართლეა! 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს იტალია და საფრანგეთი რომ შეხვდნენ, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, თუმცა ორივე ნაკრებში „იუვენტუსის“ ათამდე ფეხბურთელი თამაშობდა. ანუ „იუვე“ ისედაც ძლიერი იყო და არანაირად არ სჭირდებოდა მსაჯების დახმარება.

**— ახსენეთ, იტალიურ ფეხბურთში სკანდალები ხშირიაო. რატომ ხდება ასე?**

— ალბათ იმიტომ, რომ იტალიაში ფეხბურთი ეროვნული დაავადებაა. ამ სფეროში ყველანაირი ფორმით ყოფნა დიდ ფულს და ძალაუფლებას ნიშნავს. ფულის და ძალაუფლების გაკონტროლება და მართვა კი ძალიან რთულია. ეს არის ქვეყანა, სადაც არბიტრი ყოველთვის რომელიმე გუნდის ნაცნობად და მეგობრად ითვლება, სადაც ტიფოზი წაგებას ყოველთვის საიდუმლო გარიგებას აბრალებს... ასეთ სიტუაციაში, თანაც მსგავსი სკანდალის შემდეგ, რთულია, მდგომარეობიდან გამოხვიდე და პრესტიჟი აღიდგინო. მსოფლიოს ჩემპიონობა ამ რთულ პერიოდში წარმატებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯი იყო. თუმცა ამ ამბების საბოლოოდ დასავიწყებლად დროა საჭირო.

ა, მაგალითად, დღეს რატომღაც ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ ბოლო დროს „მილანის“ სასარგებლოდ ხშირად ნიშნავენ პენალტებს. ახლა ეჭვს ეს იწვევს. მოკლედ, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ მსგავსი მოვლენები და ეჭვები იტალიაში რეგულარულად განმეორდება.

**— მოჯის შემდეგ ყველაზე გახმაურებული პერსონა „პერუჯას“ ყოფილი პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩია, რომელიც სხვა დანაშაულებებთან ერთად „იუვეს“ დახმარებაშიც იყო ეჭვმიტანილი...**

— გაუჩი მოჯისგან განსხვავებით, პოლიტიკაში და სხვადასხვა ბიზნესშიც აქტიურად იყო ჩართული. თუმცა ისიც ფეხბურთის დიდი მცოდნე იყო, „პერუჯას“ გარდა პროვინციულ გუნდებს, „კატანიას“ და „სანბენედეტეს“ ფლობდა. მისი ძირითადი დანაშაული სახელმწიფოსთვის გადასახადებისა და კლუბებიდან შემოსავლების დაფარვაა. მართალია, ასე ბევრი იქცეოდა, თუმცა გაუჩიმ აშკარად გადააჭარბა, საბოლოოდ კი მილიონობით ვალი დაუგროვდა, რამაც „პერუჯას“ გაკოტრება გამოიწვია, ის კი სანტა დომინგოში გაიქცა და მილიონერის ცხოვრება გააგრძელა. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაცვლად ციხეში მისივე შვილები აღმოჩნდნენ.

**— როგორც ვიცი, ახლახან მასზე ძებნა შეწყდა და უკვე იტალიაშიც შეუძლია დაბრუნება...**

— როგორც უკვე გითხარით, იტალია უცნაური კანონების ქვეყანაა. თუ დამნაშავე და ძებნილი საკუთარ დანაშაულს აღიარებს და სიტყვიერად მოინანიებს, თანაც სახელმწიფოს მოპარული თანხიდან ცოტასაც გადაუხდის, ის დამნაშავის სტატუსს აღარ ატარებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გაუჩის შინაპატიმრობას მიუსჯიან, რადგან სხვა ნასამართლობა არ აქვს. იმასაც რამდენიმე თვეში მოუხსნიან. სასაცილოა, მაგრამ ასეა.

იგივე ხდება მოძალადე ტიფოზების შემთხვევაშიც. აი, მაგალითად, ინგლისში გულშემატკივარს აგრესიული საქციელისთვის თუ დააკავებენ და მიუსჯიან 6 თვეს, ის ამ სასჯელს სრულად იხდის. იგივე თუ განმეორდა იტალიაში, აქაც 6 თვეს მიუსჯიან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი უაზრო კანონების დამსახურებით, ერთ დღესაც არ გაატარებს გისოსებს მიღმა. ეს კი დამნაშავეებში შიშის ფაქტორს კლავს და ისინიც იმას აკეთებენ, რაც სურთ. ასეთ ფონზე ნათელია, რომ სტადიონებზე ძალადობის პრობლემას ვერასდროს შევამცირებთ...

*გაგრძელება მომდევნო „სარბიელში“*


რუჯერო პალომბო



კალჩოპოლის მთავარი გმირი ლუჩანო მოჯი



ყველაზე მაღალტირაჟიანი ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თემურ ქეცბაია




გიორგი ქინქლაძე

# გიჟი და ჯადოქარი

## ინგლისური ფეხბურთის საუცხოო უცხოელები

**ინგლისური** პრემიერლიგა: თემა, რომლის ამოწურვა შეუძლებელია. საკმარისია, პრემიერლიგის ერთ მატჩს შეავლოთ თვალი და სამყარო, უფრო სწორად, ფეხბურთი სხვანაირად მოგეჩვენებათ.

ძალიან სპეციფიკური რამეა ინგლისური ფეხბურთი და ახლა მისი ავ-კარგის განსჯას არ ვაპირებთ.

სათქმელი სხვა გვაქვს: პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემა „დეილი მეილმა" იმ 50 უცხოელი ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ინგლისური ფეხბურთის განვითარებაში.

რეიტინგში, რომელსაც აქვე ხედავთ, ორი ქართველი მოხვდა: გიორგი ქინქლაძე და თემურ ქეცბაია!

აი, ასეთი კვალი დატოვეს მათ ნისლიან ალბიონზე და სასიამოვნოა, რომ ინგლისელებს დღემდე ახსოვთ ქინქლაძის მანჩესტერსიტული გარღვევები თუ ქეცბაიას ნიუკასლური გიჟობები. თემურის ფოტოს „დეილი მეილმა" ასეთი წარწერაც კი გაუკეთა — ყველას ფავორიტი გიჟი ქართველი, რომლის მიერ „ბოლტონის" კარში გატანილი გოლის აღნიშვნა ახლაც გუშინდელივით გვახსოვს.

დიახ, ასეთი იყო კვიპროსული „ანორთოსისის" მწვრთნელი ფეხბურთელობისას... ქეცბაიას 50-ეულში 33-ე ადგილი ერგო.

გიორგი ქინქლაძე — ჯადოსნური ფეხბურთელი. ასე მოიხსენიებენ ბრიტანელები „ქინქის" ვინც ძალიან ცოტა ხანი ითამაშა პრემიერლიგაში, მაგრამ ესეც ეყო იქ სახელის დასატოვებლად. ქინქლაძე 27-ე ადგილზეა.

სანამ სხვას ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე-ქეცბაიას გარდა ინგლისში მიხეილ ყაველაშვილს, კახა ცხადაძეს და მურთაზ შელიასაც უთამაშიათ. ზურაბ ხიზანიშვილი კი დღესაც იქაა — „ბლექბერნში" ირიცხება.

„დეილი მეილის" 50-ეულმა ინგლისში დიდი ინტერესი გამოიწვია და, ცხადია, კამათიც გამოიწვია, რაც ასეთი რეიტინგების ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა.

მაგალითად, ბევრს უკვირს, რატომ ვერ მოხვდნენ სიაში ნიკოლა ანელკა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, მიხაელ ბალაკი, დეკუ...

პირველობა კი, მოლოდინისამებრ, ფრანგ ტიერი ანრის ერგო, ვინც ლონდონის „არსენალში" თამაშისას მართლაც ფანტასტიკური იყო.

დასარჩენს კი თავადაც ნახავთ ცხრილში...

**კახა შალამბერიძე**




ტიერი ანრი

1. ტიერი ანრი (საფრანგეთი: არსენალი 1999-2007)
2. ერიკ კანტონა (საფრანგეთი: ლიდსი 1992; მანჩესტერი 1992-97)
3. ჯანფრანკო ძოლა (იტალია: ჩელსი 1996-2003)
4. დენის ბერხკამპი (ჰოლანდია: არსენალი 1995-2006)
5. პეტერ შმაიხელი (დანია: მანჩესტერი 1991-99)
6. კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია: მანჩესტერი 2003-დღემდე)
7. პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი: არსენალი 1996-05)
8. იურგენ კლინსმანი (გერმანია: ტოტენჰემი 1994-95, 1997-98)
9. ოსვალდო არდილესი (არგენტინა: ტოტენჰემი 1978-88; ბლექბერნი 1988; ქუინზ პარკი 1988-89; სუინდონი 1989-91)
10. დავიდ ჟინოლა (საფრანგეთი: ნიუკასლი 1995-97; ტოტენჰემი 1997-00; ასტონ ვილა 2000-02; ევერტონი 2002)
11. პაოლო დი კანიო (იტალია: უენსდი 1997-99; ვესტ ჰემი 1999-2003; ჩარლტონი 2003-04)
12. ჟუნინიო პაულისტა (ბრაზილია: მიდლსბრო 1995-97, 1999-2000, 2002-04)
13. ფერნანდო ტორესი (ესპანეთი: ლივერპული 2007-დღემდე)
14. არნოლდ მიურენი (ჰოლანდია: იფსვიჩი 1978-82; მანჩესტერი 1982-85)
15. ატილიო ლომბარდო (იტალია: კრისტალ პალასი 1997-99)
16. სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი: არსენალი 2003-დღემდე)
17. ფაუსტინიო ასპრილია (კოლუმბია: ნიუკასლი 1996-98)
18. იაპ სტამი (ჰოლანდია: მანჩესტერი 1998-2001)
19. რიკი ვილა (არგენტინა: ტოტენჰემი 1978-83)
20. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია: მანჩესტერი 2001-06)
21. სემი ჰიიპია (ფინეთი: ლივერპული 1999-დღემდე)
22. ოლე გუნარ სოლსკიაერი (ნორვეგია: მანჩესტერი 1996-2007)
23. რობერ პირესი (საფრანგეთი: არსენალი 2000-06)
24. ბრედ ფრიდელი (აშშ: ლივერპული 1997-2000; ბლექბერნი 2000-08; ასტონ ვილა 2008-დღემდე)
25. ჯონი მეტგუდი (ჰოლანდია: ნოტინგემი 1984-87; ტოტენჰემი 1987-88)
26. ლუკას რადებე (სამხრეთ აფრიკა: ლიდსი (1994-2005)
27. **გიორგი ქინქლაძე** (საქართველო: სიტი 1995-98; დერბი ქაუნთი 1999-2003)
28. დიდიე დროგბა (კოტდივუარი: ჩელსი 2004-დღემდე)
29. ივანო ბონეტი (იტალია: გრიმსბი 1995-96; ტრანმერი 1996-97; კრისტალ პალასი 1997-98)
30. ნაიმი (ესპანეთი: ტოტენჰემი 1988-93)
31. რუუდ გულიტი (ჰოლანდია: ჩელსი 1995-98)
32. მარკო მატერაცი (იტალია: ევერტონი 1998-99)
33. **თემურ ქეცბაია** (საქართველო: ნიუკასლი 1997-2000; ვულვერჰემპტონი 2000-01)
34. მარკ-ვივიენ ფოე (კამერუნი: ვესტ ჰემი 1998-2002; მანჩესტერ სიტი 2002-03)
35. ხაბი ალონსო (ესპანეთი: ლივერპული 2004-დღემდე)
36. პეტრ ჩეხი (ჩეხეთი: ჩელსი 2004-დღემდე)
37. მარსელ დესაი (საფრანგეთი: ჩელსი 1998-2004)
38. დიტმარ ჰამანი (გერმანია: ნიუკასლი 1998-99; ლივერპული 1999-2006; სიტი 2006-დღემდე)
39. ანდრეი კანჩელსკისი (რუსეთი: მანჩესტერი 1991-95; ევერტონი 1995-96; სიტი 2001; საუთჰემპტონი 2002)
40. ალან ნილსენი (დანია: ტოტენჰემი 1996-2000; უოტფორდი 2000-03)
41. ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი: მანჩესტერი 2007)
42. იან მიალბი (დანია: ლივერპული 1984-96; სუონსი 1996-98)
43. რიკარდუ კარვალიუ (პორტუგალია: ჩელსი 2004-დღემდე)
44. ფაბრიციო რავანელი (იტალია: მიდლსბრო 1996-98; დერბი ქაუნთი 2001-03)
45. კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი: ბირმინგემი 2003-04)
46. ბრიუს გრობელაარი (ზიმბაბვე: ლივერპული 1980-94; საუთჰემპტონი 1996-97; პლიმუთი 1997)
47. ემანუელ პეტი (საფრანგეთი: არსენალი 1997-2000; ჩელსი 2001-04)
48. დანიელ ამოკაჩი (ნიგერია: ევერტონი 1994-96)
49. დუაიტ იორკი (ტრინიდადი: ასტონ ვილა 1989-98; მანჩესტერი 1998-2002; ბლექბერნი 2002-04; ბირმინგემი 2004-05; სანდერლენდი 2006 დღემდე)
50. გეორგე პოპესკუ (რუმინეთი: ტოტენჰემი 1994-95)

# თემურ ქეცბაიამ ნიუკასლს 600 000 გირვანქა მიუზღვა

**თემურ ქეცბაია — ახალი ევროსენსაციის ავტორი, რომელმაც მთელი კონტინენტი გააოცა პატარა „ანორთოსისით". ყველამ იცის, რომ „ანოს" წარმატების ძირი 34 წლის სავიო და 35 წლის ტრაიანოს დელასი კი არა, მათზე ოდნავ უფროსი თემურ ქეცბაიაა: აკი, უეფამაც დაასახელა ევროპის ხუთ საუკეთესო მწვრთნელს შორის. ყოველკვირეულმა რუსულმა „ფუტბოლმა" თემურთან ინტერვიუ ჩაწერა — ძალიან საინტერესო ამბებს წაიკითხავთ...**



## აეროპორტში 12 ათასი ადამიანი დაგვხვდა

**— როდის მიხვდით, რომ ეს სეზონი სიზმარი არ იყო?**

— 6 თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა, „ანორთოსისი" ასე ითამაშებს ლიგაშიო, არ დავუჯერებდი, თუმც აქ უკვე 4 წელია, ვმუშაობ და კვიპროსზე ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა, ლიგაშიც ცუდად არ გამოვსულვართ: მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი წლის წინაც ვითამაშეთ. მაშინ რაღაც დაგვაკლდა ჯგუფში შესასვლელად, ამ სეზონის წინ კი გამოცდილი ფეხბურთელები დავიმატეთ და საწადელს მივაღწიეთ.

**— წლეულს ლიგის საკვალიფიკაციოზე ყველაზე მეტად რომელ გუნდთან გაგიჭირდათ?**

— მეორე ეტაპზე ვენის „რაპიდთან" სტუმრად. შინ 3:0 მოვიგეთ, ვენაში კი თავიდანვე გავიტანეთ, თუმც 70-ე წუთისთვის მასპინძლებს სამი გოლი ჰქონდათ გატანილი და ბოლოს ნერვიული წუთები გადავიტანეთ. მესამე ეტაპზე „ოლიმპიაკოსთანაც" რთულად იყო საქმე. საბერძნეთში ფიქრობენ, რომ კვიპროსელებს მაგრად სჯობნიან, ჩვენ კი გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ ასე არ არის. კი, შეიძლება ჩემპიონატის დონე იქ უკეთესია, მაგრამ ლიდერთა შეხვედრისას თანაბარი ბრძოლებია ხოლმე.

**— ჯგუფურ ეტაპზე რომ დაიგულეთ თავი, იმ ღამეს მოილხინეთ?**

— ჩვენ ფამაგუსტის გუნდი ვართ, მაგრამ იქ ვერ ვთამაშობთ. საბერძნეთიდან ლარნაკას აეროპორტში რომ ჩავფრინდით, 12 ათასი ადამიანი დაგვხვდა. წარმოგიდგენიათ, რა სიხარული იყო?!

**— ლიგის სენსაციაა ბატე-ც. მათმა ხელმძღვანელობამ გუნდს ბელარუსული საზომით სარეკორდო თანხა, 1 მილიონი ევრო აჩუქა. „ანორთოსისიც" ასე დააჯილდოვეს?**

— ჩვენ თავიდანვე ვუთხარით ფეხბურთელებს: ლიგაში თუ გავალთ, იქ გამომუშავებული თანხის 30 პროცენტი თქვენი იქნებაო.

**— თქვენმა მეგობარმა შოთა არველაძემ გვითხრა, „ანორთოსისის" ბიუჯეტი მილიონი ევროაო. ნუთუ ეს სიმართლეა?**

— არა. ჩვენი ბიუჯეტი 4-5 მილიონი ევროა.

**— მით უმეტეს, საკვირველია, როგორ მოახერხეთ ცნობილი ფეხბურთელების შეძენა? მაგალითად, „რეალში" ნათამაშევი სავიო როგორ გადაიყვანეთ?**

— როცა სავიოს ვარიანტი გამოჩნდა, შოთა არველაძეს დავურეკე — ისინი ერთად იყვნენ ესპანურ „ლევანტეში". სავიო რომ კარგი ფეხბურთელი იყო, ვიცოდი, მაგრამ შოთას აზრიც მაინტერესებდა. ჩემმა მეგობარმა ბრაზილიელი როგორც პიროვნება, კარგად დამიხასიათა, ამის შემდეგ სავიოს დავუკავშირდით და ის დამთანხმდა. ახლა სავიო „ანორთოსისის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია.

**— კიდევ დელასი: ოთხი წლის წინ ის ევროპის ჩემპიონი გახდა...**

— დელასი აეკ-ს დაშორდა, თავისუფალი აგენტი გახდა. ფინანსურად და გეოგრაფიულად დელასს ჩვენთან გადმოსვლა აწყობდა: საბერძნეთიდან კვიპროსი ახლოსაა.

**— „ანორთოსისში" ნათამაშევმა ლატვიელმა მარიან პახარსმა გვითხრა, რომ თქვენი გუნდის კიდევ ერთი უპირატესობა სიცხეა. სანამ მეტოქეები 40-გრადუსიან ხვატს მიეჩვევიან, „ანორთოსისი" წყნარად თამაშობს თავის ფეხბურთსო...**

— ჯერ ერთი, ჩვენთვისაც ცხელა. მეორეც, „ანორთოსისის" ფეხბურთელთა უმეტესობა ლეგიონერია და სიცხეს მიჩვეულნი არ არიან. და კიდევ, ლიგის მატჩებისას სიცხეები არ იყო. სიცხე ზოგისთვის წაგების გასამართლებელი საშუალებაა.

## ჟოზე მოურინიუ დახმარებას დამპირდა

**— ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობეთ. შთაბეჭდილებები?**

— ჩვენი არავის სჯეროდა. ლიგაში რომ გავედით, გვეუბნებოდნენ: „სად მიდიხართ და რისთვის? 0:3, 0:4, 0:5 უნდა წააგოთ?!" აღმოჩნდა, რომ ერთი მატჩიც არ წაგვიგია ორბურთიანი სხვაობით. სამჯერ ფრე ვითამაშეთ, ერთი მოვიგეთ, თანაც საკმაო რაოდენობის გოლი გავიტანეთ. ჩვენ მთელი ევროპა ავალაპარაკეთ — ესაა მთავარი.

**— ბატე-ს მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა თქვეს, საკვალიფიკაციო ეტაპებზე მეტოქეები პატივისცემით არ გვეპყრობოდნენ, ზემოდან გვიყურებდნენო. ამას თქვენც წააწყდით?**

— შეიძლება, იყო კიდეც ასეთი. ზემოდან რომ გიყურებენ, მაშინ ხვდები, როცა მეტოქის ბარიერს გადალახავ. ამიტომაც, როცა შეუფასებლობაზე ლაპარაკობენ, არ ვუსმენ.

**— ვის თვლით მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად?**

— ალექს ფერგიუსონს, არსენ ვენგერს, ჟოზე მოურინიუს.

**— ჯგუფურ ეტაპზე „ინტერს" ორჯერ შეხვდით. მათი მწვრთნელი ჟოზე მოურინიუ ბრწყინვალე სპეციალისტი, მაგრამ რთული ადამიანია. თქვენი შეხვედრა როგორი გამოდგა?**

— თბილი. როდესაც კვიპროსზე „ინტერს" 3:3 ვეთამაშეთ, მოურინიუმ მითხრა, კარგი გუნდი გყავთ და ჯგუფიდან გასვლა შეგიძლიათო. ის დამპირდა, „პანათინაიკოსს" და „ვერდერს" მოვუგებთო. დაპირება დაპირებად დარჩა...

**— როგორც მოთამაშეს, ბევრ მწვრთნელთან გიმუშავიათ. თქვენი ყველაზე კარგი მასწავლებელი ვინ იყო?**

— ბევრთან მიმუშავია, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ანგელ იორდანესკუმ მოახდინა. ის „ანორთოსისის" მწვრთნელი იყო, როცა კვიპროსზე პირველად ჩავედი — 1992 წელს. დისციპლინის, ფეხბურთელებთან ურთიერთობის და ტაქტიკის მხრივ იორდანესკუ საუკეთესო იყო.

**— რას ფიქრობდა თემურ ქეცბაია „ვერდერთან" 2:2-ის შემდეგ? ორი ბურთით იგებდით და ბოლოს ფრედ დაამთავრეთ...**

— თუ მეკითხებით, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის იმ მატჩის მერე დაძინება, წარმოიდგინეთ, რამდენად ძნელი იქნებოდა ეს ჩემი ფეხბურთელებისთვის. „ანორთოსისი" თამაშობს გერმანიის ძლიერ გუნდთან და ბოლო წუთებზე... ასე იყო „ინტერთანაც"... რა თქმა უნდა, გაწბილებულნი ვიყავით, მაგრამ სიამაყესაც ვგრძნობდით: ადრე „ანორთოსისი" კარგად თუ ითამაშებდა, კმაყოფილნი ვრჩებოდით, ახლა კი შედეგს დიდ ყურადღებას ვაქცევთ.

**— ლაპარაკისას ინგლისურ სიტყვებს ხშირად იყენებთ. რამდენი ენა იცით?**

— ქართული, რუსული, ბერძნული, ინგლისური. გუნდში პრიორიტეტული ენა ინგლისურია. ასე რომ, ურთიერთობის პრობლემა „ანორთოსისში" არ არის.

## ნიუკასლის არარეალური წინადადება

*ეს იყო „ნიუკასლში" თამაშისას. ერთ-ერთი გატანილი გოლის შემდეგ ქეცბაია კარის უკან გაიქცა, „კაჭკაჭების" ზოლიანი მაისური გაიხადა, მისალოცად მისული თანაგუნდელი მოიშორა და სარეკლამო ბანერს რამდენჯერმე გამეტებით დაარტყა ფეხი...*

**— რა დაგიშავათ „ადიდასის" და „მაკდონალდსის" ბანერებმა?**

— არც ერთს არ ვერჩი. ეს პროტესტის ნიშნად გავაკეთე — არ მაძლევდნენ იმას, რასაც როგორც ფეხბურთელი, ვიმსახურებდი. მე ძირითადში თამაში მინდოდა, მაგრამ ხშირად არ მეძლეოდა ამის საშუალება. გოლი გავიტანე და გულისწადები გამოვხატე... ეს ჩემი ერთ-ერთი ის გოლია, რომლის გახსენებაც არ მინდა, მაგრამ აუცილებლად მახსენებენ.

**— მწვრთნელმა რა გითხრათ ამ ორიგინალური საქციელის შემდეგ?**

— რა უნდა ეთქვა?! იცოდა, რომ მართალი ვიყავი, ამიტომაც შინაარსიანი საუბარი არ გამოგვივიდა.

**— ვინ წვრთნიდა მაშინ „ნიუკასლს"?**

— კენი დალგლიში. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. სწორედ მისი მწვრთნელობისას მოვაწერე ხელი „ნიუკასლთან" კონტრაქტს. ამასწინათ შევხვდით კიდეც — კვიპროსზე იყო ჩამოსული.

**— ქეცბაია-მწვრთნელი ქეცბაია-ფეხბურთელივით ტემპერამენტიანია?**

— დიახ. მართალია, აღარ ვთამაშობ, მაგრამ თამაშით ვცხოვრობ. სათადარიგოთა სკამზე ვერ ვჯდები — 90 წუთი ფეხზე ვდგავარ, რადგან მეც მინდა თამაში! სხვა მწვრთნელებივით ჯდომა და წყნარად ყურება არ შემიძლია. გრძნობების დამალვა არ მიყვარს. მე ყოველთვის ვაჩვენებ იმას, რასაც ვგრძნობ.

**— „ნიუკასლი" ყველაზე ნათელი პერიოდია თქვენს სათამაშო კარიერაში?**

— დიახ, „ნიუკასლი" პიკი იყო. პრემიერლიგა ალბათ ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია ევროპაში.

**— ინგლისური ჯილდოების მოგებაც შეგეძლოთ. 1999 და 2000 წლებში „ნიუკასლი" ზედიზედ გავიდა თასის ფინალში, მაგრამ ორივეჯერ წააგო...**

— კარიერაში ჩემპიონატიც მოვიგე, თასიც და სუპერთასიც, მაგრამ იმ ფინალებიდან ერთი მაინც მომეგო და სხვა არაფერი მინდოდა. ინგლისში ხომ თასი ჩემპიონობის ტოლფასია და ძალიან პრესტიჟულია. მესამედაც არ ვიყავით შორს თასის აღებასთან — ნახევარფინალში წავაგეთ „ჩელსისთან". მახსოვს, მაშინ ვფიქრობდი, მესამედ ფინალში გასვლას და წაგებას ისევ ნახევარფინალიდან გავარდნა სჯობია-მეთქი.

**— „ნიუკასლმა" მწვრთნელობა შემოგთავაზათ...**

— ეს არ იყო შეთავაზება. დამირეკეს და მკითხეს, ერთ ვარიანტზე რას იტყვიო. ვარიანტი კი ეს იყო — ექვს მატჩში გამეწვრთნა გუნდი და თითოეულში 100 ათასი გირვანქა მიმეღო. ვუპასუხე, რომ ასეთი წინადადება უინტერესო იყო ჩემთვის. რა დონის კლუბშიც არ უნდა მივდიოდე, ექვსი მატჩის შემდეგ „სახლში წადი" მითხრან, ვერ ავიტან. „ნიუკასლში" ახლა პრობლემებია, პრეზიდენტს კლუბის გაყიდვა სურს და არ უნდა ისეთი მწვრთნელის მიყვანა, რომელთანაც ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს. ის წავა, სხვა მოვა და ვინ იცის, ახალს რომელი მწვრთნელი მოუნდება.

**— თქვენი აზრით, „ნიუკასლის" მთავარი პრობლემა რა არის? გუნდს კარგი ფეხბურთელები და ურთგულესი ფანები ჰყავს, აქვს ბევრი ფული, მაგრამ შედეგი...**

— „ნიუკასლში" არცერთ მწვრთნელს არ მისცეს 2-3 წლით მუშაობის საშუალება... როგორც კი პრობლემა ჩნდება, ხელმძღვანელობა მწვრთნელს უშვებს და ყველაფერი ახლიდან იწყება. ფული კი... ინგლისში ყველა კლუბს აქვს ფული. ფეხბურთელებს კარგ ქალაქში სურთ ცხოვრება. ნიუკასლი მშვენიერი ქალაქია, მაგრამ პატარაა და როცა „კაჭკაჭები" ლონდონელ ფეხბურთელს ეპატიჟებიან, ხშირად ვერ აღწევენ საწადელს. ყველას ლონდონში ურჩევნია ცხოვრება. „ნიუკასლში" კი ორმაგი ხელფასის გამო თუ წავლენ. ასე რომ, „ნიუკასლისთვის" მართლაც ძლიერი გუნდის შექმნა ადვილი როდია.

## ვოცნებობ რეალზე!

**— რუსეთში გადასვლის საშუალება გქონიათ?**

— ეს ადრე იყო, თბილისის „დინამოში" თამაშისას. მოსკოვის „ტორპედოში" გადასვლა მინდოდა, მოსკოვში ჩასულიც ვიყავი, თუმც ბოლო მომენტში გადავიფიქრე. კიდევ, ვლადიკავკაზის „ალანიაში" მეპატიჟებოდა ვალერი გაზაევი. თბილისში კი დამპირდნენ, რომ თუ ერთი წელი დავრჩებოდი, საზღვარგარეთ უპრობლემოდ გამიშვებდნენ. ასეც მოხდა.

**— თითქმის ყველა ფეხბურთელი ოცნებობს „მანჩესტერზე", „ბარსელონაზე", „რეალზე"- მწვრთნელი ქეცბაია რომელ კლუბზე ოცნებობს?**

— კლუბი, რომელსაც მე ვქომაგობ, მადრიდის „რეალია". „რეალის" თამაში პირველად რომ ვნახე, ტანში გამაჟრიალა. სიმართლე გითხრათ, ლიგის ჯგუფში „რეალთან" მოხვედრაზე ვოცნებობდი...

**— რას ნიშნავს თქვენთვის კვიპროსი?**

— მე აქ ვცხოვრობ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. კვიპროსი ძალიან დამეხმარა ცხოვრებაში. მერე რა, რომ სხვა ქვეყანაა — უცხოდ არ ვარ.

**— თქვენი სახლი ზღვისპირასაა?**

— დიახ, ლარნაკაში. თუმც მე უფრო აუზი მიყვარს. როცა ყოველდღე ილვიძებ და ზღვას ხედავ, ფიქრობ: მოდი, დღეს არ წავალ, ხვალ იყოს. როცა ეს ხვალეც თენდება, ფიქრობ, მოდი, დღეს არა. და ასე გადის მთელი ზაფხული.

**— შოთა არველაძე „ალკმაარის" ერთ-ერთი მწვრთნელია, თუმც ადრე საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტი შესთავაზეს. თქვენთვის არ მოუმართავთ ამ წინადადებით?**

— მომმართეს, თუმც კვიპროსზე დარჩენა ვამჯობინე. მოხარულიც ვარ, რომ ასე მოვიქეცი, რადგან შინ რომ დავბრუნებულიყავი, იმას ვერ ვნახავდი, რაც წლეულს „ანორთოსისთან" ერთად ვნახე.

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 16 ტური

# გაზონი ისევ ეპიცენტრშია

## დავით კირკიტაძემ ფანჯარა ჩამოწია და...



ასეთი თოვლი იყო „ეროვნულზე“

21 დეკემბერი. 14 საათი
**სიონი ბოლნისი – სკ ბაზია 2:0**
ბოლნისი. "თემურ სტეფანია". 100 მაყურებელი

1:0 შენგელია (2), 2:0 კოშკაძე (5)

სიონი: ქვაჩახია, დ. სვანიძე, ხუბუა, კაკაშვილი, დიდავა, შავგულიძე, ლ. სანიკიძე, კოშკაძე (ლ. ბაჯელიძე 85), დავითაშვილი (შ. ჯიქია 79), ი. შენგელია (ა. ალავიძე 89), რ. გოცირიძე

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, ჩივაძე, ოქროპირიძე, ქურასბედიანი

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ბაზია: თევდორაძე, ქაჯაია, მგელაძე, გიგაური, გაბუნია, ტყეშელაშვილი (ზ. დათუნაშვილი 60), შარიქაძე (ჩარგეიშვილი 63), ცხადაია, გაბედავა (ძაგანია 79), აბაშიძე, ზ. მეტრეველი

*სათადარიგონი:* ხომერიკი, ლალიანი, ხოკერაშვილი, კორიფაძე

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: გაბედავა (72), ჩარგეიშვილი (81)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ზ. ხუციშვილი, თ. ხუჭუა, ლ. კვარაცხელია

21 დეკემბერი. 14 საათი
**მგლები ზუგდიდი – ლოკომოტივი თბილისი 0:0**
ზუგდიდი. "გულია თუთბერიძე". 1 200 მაყურებელი

მგლები: მამალაძე, ქითანავა, ხუხია, აქუბარდია, რეხვიაშვილი, გულორდავა, გუჩუა, დარსანია (ხურციძე 76), ლომია, ომელიანოვი, გ. მიქაბერიძე (ქუცურუა 64)

*სათადარიგონი:* ქალდანი, ჟიშკარიანი, გოგიბერიძე, ჯანაშია, გრიგოროვიჩი

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ლოკომოტივი: გ. ლომაია, გუმარაშვილი, ფარულავა, ბებუა, სარალიძე, დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე (ჩირიკაშვილი 55), ცქიტიშვილი, დ. ჩაგელიშვილი (ბარბაქაძე 78), კახელიშვილი (ი. გილაური 67), ბახტაძე

*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ა. კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ქურდაძე

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: ბარბაქაძე

მსაჯ[illegible]ი: ა. კრიჭაშვილი, ზ. გურგენიძე, ი. უკლება, ჯ. ბუიშვილი

21 დეკემბერი. 14 საათი
**ვიტ ჯორჯია თბილისი – ოლიმპი რუსთავი 1:1**
გორი. "თენგიზ ბურჯანაძე". 200 მაყურებელი

0:1 მეგრელაძე (42), 1:1 რაზმაძე (68)

ვიტ [illegible]ორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ყველაშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე, დათუნაიშვილი, რაზმაძე, გ. მელქაძე (გ. ჯანელიძე 90), კლიმიაშვილი, ბერიაშვილი (ვ. კვარაცხელია 52), ლიპარტია (კვალინიძე 43)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე; ადამაძე, ზაქრაძე, ვასაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ოლიმპი: სტურუა, თ. ლონლაძე, მაქავარიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე, გ. ონიანი, ბაბუნაშვილი, ფეიქრიშვილი (გაბიდაური 88), დობრიეოლსკი, მეგრელაძე (გ. ჩხეტიანი 65)

*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ალადაშვილი, მიკუჩაძე, ფიფია, დეკანოსიძე

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: აკუასაგა (38), ონიანი (52), ჯაფარიძე (74)

გაძე[illegible]ა: ბეჭვაია (38)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, გ. ყრუაშვილი, ა. ნონიკაშვილი

20 დეკემბერი. 14 საათი
**დინამო თბილისი – სკ ზესტაფონი**
თბილისი. "ეროვნული"

*გადაიდო*

20 დეკემბერი. 14 საათი
**სკ ბორჯომი – სპარტაკი ცხინვალი**
ბორჯომი. "ჯემალ ზეინკლიშვილი"

*გადაიდო*

**პირველი** ტაიმის დამთავრებას ცოტაღა უკლდა, გაბონელმა ერნესტ აკუასაგამ სოლიდური უპირატესობა რომ მოაპოვებინა „ოლიმპს“.

საქმე ასე იყო: გაბონელ მცველს ვიტჯორჯიელი გიგა ბეჭვაია ეუხეშა და მსაჯმა ოთარ ხეცაძემაც არ აპატია — წითელი ბარათი აჩვენა.

სადავო მომენტი იყო და კიდევ კარგი, ნერვებწყვეტა შემდეგ აღარ გაგრძელდა. მართალია, ბრძოლა არ განელებულა და მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, მაგრამ ჩხუბ-ალიაქოთამდე საქმე არ მისულა.

ბეჭვაიას გაძევებამდე ძალიან ჩახუთული თამაში მიდიოდა და მომენტი არცერთ კართან არ შექმნილა, მაგრამ „ოლიმპმა“ კაცმეტობა მხლევე გამოიყენა. 42-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილმა ვიტელთა გიორგი დათუნაიშვილი ჩამოიტოვა და ძლიერად გაისროლა, გრიგოლ ბედიაშვილმა მოიგერია, მაგრამ მარცხად ზედ ფეხებთან დაუგდო გია მეგრელაძეს, ვისაც გატანა არ გასჭირვებია — 0:1.

აგებ და თან 10 კაცით ხარ: ვის არ გაუჭირდებოდა ასეთ დროს, მაგრამ ლიდერი რისი ლიდერია, ყურები ჩამოეყარა. პირიქით, სადღაც მე-60 წუთიდან ნესტორ მუმლაძის გუნდმა უპირატესობა მოიპოვა.

ჰო, ბეჭვაიას ამბავმა მუმლაძეს ცვლილება აიძულა: ჯერ ცოტა ხანი დათუნაიშვილი ათამაშა გაძევებულის ადგილას, ანუ მარჯვენა მცველად (და გოლიც სწორედ ამ დროს მიიღეს), თუმცა, „პატარა ჯენაროს“ ფლანგელმცველობა რომ ვერ შეატყო, გიორგი კვალინიძე შეიყვანა და ის დააყენა მარჯვნივ.

სამაგიეროდ, მუმლაძეს ყველაზე მწვავე ფორვარდის, ჯაბა ლიპარტიას თამაშიდან მოხსნა მოუხდა.

აკი ვთქვით, „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი ნომრობა დაისაკუთრაო და ვფიქრობთ, ეს „ოლიმპის“ მოშვებულობის ბრალიცაა. ალბათ, სჯობდა, რუსთაველებს მეორის გასატანად ეზრუნათ, ვიდრე საკუთარ ნახევარზე გამოკეტილიყვნენ.

მართალია, ოლიმპელთა მეკარე ზვიად სტურუას ხელთათმანები არ გაუცვეთია, მაგრამ ვიტელები დაწოლას აძლიერებდნენ და გოლიც მოიმკეს: ლუკა რაზმაძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო იშვიათი სიზუსტით დაარტყა — სტურუამ თვალი გააყოლა ბურთს, რომელიც ხარიხის ასხლეტით ჩაეშვა კარში და 1:1.

ახლა უკვე მოგებაზეც შეეძლოთ ფიქრი „მწვანეებს“. მატჩის მილეულს ირაკლი კლიმიაშვილს საჯარიმოში ცოტა ფხიანად რომ ემოქმედა... ქერათმიანმა ვიტელმა მცველს მოარტყა და მომენტი ჩაიფუშა, მანამდე კი რაზმაძის ალი-კვალი გოლი შეიძლებოდა გვეხილა, თუმც „ოლიმპის“ მცველ თენგიზ ჩიკვილაძეს არ გაუმართლა — ჯარიმა ხარიხას მოარტყა, იქიდან გამოვარდნილს გაგა ჩხეტიანი ამატებდა, მაგრამ ბედიაშვილმა იმარჯვა.

მოკლედ, სტუმრებმა კაცმეტობა ვერ გამოიყენეს და ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კიკრიტაძე ბოლომდე ვერ გააზარეს — კირკიტაძე მანქანაში მჯდომი უყურებდა თამაშს...

ფრე კი ის შედეგია, „დინამოს“ და „ზესტაფონს“ რომ აწყობდათ: ვერც ვიტელები გაიქცნენ სოლიდური ჰანდიკაპით და ვერც „ოლიმპი“ შეიჭრა ლიდერთა სამეულში.

**ილია ნანობაშვილი**

# ბოლნისური ბლიც-კრიგი

**„ლოკომოტივმა“** პირველი საამსეზონო ფრე ითამაშა და ექვსმატჩიან წაგებათა სერიას ხელი დაუქნია. ვაკელებმა ცხრილში დამეზობლებულ „მგლებთან“ ზუგდიდში არ გაუშვეს, ვერც გაიტანეს და მეექვსე ადგილი შეინარჩუნეს.

საწყისი ექვსი ტურის შემდეგ ეს ორი გუნდი პირველ-მეორე ადგილზე იყვნენ, ახლა კი ეკვატორზე არიან.

ბოლნისის „სიონმა“ კი კვლავ მოიგო და მესამეადგილოსან „ზესტაფონს“ ქულებით გაუთანაბრდა, თუმცა ფეროელებზე ორი მატჩით მეტი აქვთ გამართული.

ქვემოქართლელებმა „გაგრას“ მისალმებაც არ აცალეს და 6 წუთში 2:0 წაიყვანეს ანგარიში. დარჩენილ 84 წუთში კი ბურთი კარში აღარ შეგორებულა.

ბოლნისური ბლიც-კრიგი ირაკლი შენგელიამ დაიწყო, მეორე გოლი ალექსანდრე კოშკაძემ მიითვალა.

„გაგრა“ ერთადერთი გუნდია, სტუმრად ჯერ ქულაც რომ არ ღირსებია — შვიდიდან შვიდი წაგება.

ისე, რა საშინელ ამინდში ითამაშეს გუნდებმა: მინდორზე თოვლი ალაგ-ალაგ იდო და უფრო გადათეთრებული იქნებოდა, მატჩამდე რომ არ აეხვეტათ. მეოთხე მსაჯ ლევან კვარაცხელიასაც კი ნიჩაბი ეჭირა და მოედანს წმენდდა...

თოვლის გამო 60-პროცენტიანი ტური გამოვიდა — ხუთიდან ორი მატჩი გადაიდო: „დინამო“ — „ზესტაფონი“ და „ბორჯომი“ — „სპარტაკი“...

**გაცნობებთ,** რომ საქართველო მე-20 ეროვნული ჩემპიონატის XVI ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა“ „ზესტაფონს“ შორის, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 20 დეკემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, აღარ გაიმართება მინდორზე დიდთოვლობის გამო.

ამასთან დაკავშირებით, ეროვნული სტადიონის საფარზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა და ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროსმა ნოდარ კაკულიამ მოინახულეს, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ მინდვრის საფარზე ამა წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, თოვლის საფარის სიმაღლე შეადგენს 15-სანტიმეტრს. თოვლის საფარის ძირი არის გაყინული, რაც შეუძლებელს ხდის მის გაწმენდას.

არსებულ მდგომარეობაში მყოფ საფარზე მატჩის გამართვა შეუძლებელია.

„დინამო“ — „ზესტაფონის“ შეხვედრის ზუსტ თარიღს გაცნობებთ მოგვიანებით.

დიდთოვლობის გამო გადაიდო „ბორჯომი“ — „სპარტაკიც“.

*პფლ-ის პრესსამსახური*

**ბომბარდირები**



| | |
|---|---|
| 8 - ვაწაძე | *დინამო* |
| 7 - ძიძნაძე | *ბორჯომი* |
| 6 - გელაშვილი | *ზესტაფონი* |
| სპასოევიჩი | *დინამო* |
| გ. თოდუა | *მგლები* |
| სამადაშვილი | *მესხეთი* |
| ალექსიძე | *ლოკომოტივი* |
| გაბედავა | *გაგრა* |
| კოშკაძე | *სიონი* |

**XVII ტური**

27 დეკემბერი. შაბათი
სპარტაკი – გაგრა
ოლიმპი – მგლები
დინამო – მესხეთი
28 დეკემბერი. კვირა
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ბორჯომი
*სიონი ისვენებს*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია თბილისი | 15 | 10 | 4 | 1 | 27:9 | 18 | 34 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 16 | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 დინამო თბილისი | 14 | 9 | 1 | 4 | 28:12 | 16 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:5 | 13 | 16 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 სკ ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14:7 | 7 | 24 | 7 | 5 | 0 | 2 | 9:3 | 6 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 4 სიონი ბოლნისი | 15 | 6 | 6 | 3 | 17:10 | 7 | 24 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 6 | 15 |
| 5 ოლიმპი რუსთავი | 14 | 5 | 7 | 2 | 14:8 | 6 | 22 | 7 | 3 | 4 | 0 | 7:1 | 6 | 13 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 9 |
| 6 ლოკომოტივი თბილისი | 14 | 6 | 1 | 7 | 16:15 | 1 | 19 | 7 | 3 | 0 | 4 | 5:5 | 0 | 9 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 10 |
| 7 მგლები ზუგდიდი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:20 | -5 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 4 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:14 | -9 | 5 |
| 8 მესხეთი ახალციხე | 14 | 4 | 4 | 6 | 12:19 | -7 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 7 |
| 9 სკ ბაზია | 15 | 4 | 2 | 9 | 12:25 | -13 | 14 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:16 | -14 | 0 |
| 10 სკ ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:29 | -15 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:21 | -13 | 5 |
| 11 სპარტაკი ცხინვალი | 13 | 2 | 0 | 11 | 10:25 | -15 | 6 | 7 | 1 | 0 | 6 | 7:15 | -8 | 3 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 3 |



მიხეილ აშვეთია (მარცხნივ) და ვალერი აბრამიძე (მარჯვნივ)

# საქართველოს B ნაკრების ამბები

## ანჟის სამი ქართველი მოაკლდა

**მახაჩყალის** „ანჟი“, რომელსაც ხუმრობით საქართველოს B ნაკრებსაც ეძახიან, სამმა ქართველმა ფეხბურთელმა დატოვა. ვალერი აბრამიძესა და მიხეილ აშვეთიას კონტრაქტები დაუმთავრდათ და კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ხელშეკრულება აღარ გააგრძელეს.

დაღესტნის მთებს დატოვებს რევაზ ბარაბაძეც, რომელიც ტრანსფერზე დააყენეს.

სად წავლენ ეს ფეხბურთელები, უცნობია. როგორც შევიტყვეთ, ბარაბაძე, შესაძლოა, „ზესტაფონში“ გადავიდეს, აბრამიძე კი აზერბაიჯანში.

სამაგიეროდ, „ანჟიში“ ახალი ქართველები მივიდნენ: კახა ალადაშვილსა და ოთარ მარცვალაძეზე გეცოდინებათ. მათ გარდა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ომარ თეთრაძის გუნდს სანდრო იაშვილიც შეემატება, რომელიც ბოლოს ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა.

ისე, „ანჟი“ შარშან უფინანსობას რომ უჩიოდა, წლეულს ამის ჯავრი არ ექნება — კლუბის აქციები რუსეთში განთქმული კომპანია „ელდორადოს“ მფლობელმა, მილიარდერმა იგორ იაკოვლევმა შეიძინა...

**ილია ნანობაშვილი**

# გამრღვევი გვაზავა

**ლევან გვაზავა** რუსული პრემიერლიგიდან გავარდნილი „ლუჩ-ენერგიას“ ლიდერი გახლდათ და რამდენიმე კომპონენტში საუკეთესო იყო გუნდში. სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ საშუალო შეფასებებით ლევანი სეზონში მეორე იყო თავის გუნდში; მეოთხე იყო მოგებულ ორთაბრძოლებში და ბურთისართმევაში; აი, ზუსტ პასებში და ინდივიდუალურ გარღვევებში კი სოლიდურად ლიდერობს.

გვაზავამ სეზონში 179 წარმატებული გარღვევა განახორციელა, როცა „ლუჩში“ ამ მაჩვენებლით მეორეზე გასულ დმიტრი ბულიგას მხოლოდ 67 „მოუგროვდა“.

ლევანი უკვე დაემშვიდობა ვლადივოსტოკურ კლუბს. მისი მსურველები პრემიერლიგაში აღზევებულები, „როსტოვი“ და „ყუბანი“ არიან. ასევე საუბრობენ ჩემპიონ „რუბინზეც“.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩაიხედეთ ქვევით

## რამე მოჩანს?

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ფიფა–„კოკა-კოლას“ დეკემბრის რეიტინგში 108-ე ადგილზეა.

დიახ, კიდევ 9 საფეხურით ჩავიწიეთ სარდაფისკენ და ჩერნოგორია, რომელსაც ხუთი თვის წინ 70 ადგილით ვუსწრებდით, ახლა წკიპზე მოგვიახლოვდა.

წინ კაპო ვერდე, უკან გვატემალა — აი, ასეთია საქართველოს მთავარნაკრების რეალობა.

კონკრეტულად ევროპა გნებავთ? კი, ბატონო, 53 ქვეყანას შორის საქართველო 42-ეზეა. იმედია, ხარის წელში მთლად ხარივით თუ არა, ოღნავ მაინც გავიმართებით წელში.

რეიტინგის სათავეში კვლავაც ესპანეთი ლიდერობს და პირველი ოთხეული სულაც ევროპელებს უჭირავთ, ათეულის ბოლო ოთხი ნაკრებიც „ბებერი კონტინენტიდანაა“, შუაში კი ბრაზილია და არგენტინა არიან.

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1663 |
| 2 | 2 | გერმანია | 1381 |
| 3 | 4 | ჰოლანდია | 1338 |
| 4 | 3 | იტალია | 1326 |
| 5 | 5 | ბრაზილია | 1246 |
| 6 | 6 | არგენტინა | 1180 |
| 7 | 7 | ხორვატია | 1142 |
| 8 | 10 | ინგლისი | 1115 |
| 9 | 8 | რუსეთი | 1103 |
| 10 | 13 | თურქეთი | 1016 |
| 27 | 16 | ბულგარეთი | 782 |
| 38 | 36 | ირლანდია | 711 |
| 94 | 107 | კვიპროსი | 376 |
| 108 | 99 | საქართველო | 328 |
| 112 | 115 | ჩერნოგორია | 310 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# სპასოევიჩს მეგობარი ესტუმრა

## დინამოში ორი ბალკანელი ვარჯიშობს

**თბილისის** „დინამოში“ ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებმაც პირველად ოთხშაბათს ივარჯიშეს რაინერ ცობელის გუნდთან ერთად. ორივე მათგანი ექს-იუგოსლავიის ქვეყნებიდანაა — ბოსნიელი ცენტრალური ნახევარმცველი ფუად სალიჰოვიჩი და ჩერნოგორიელი მარჯვენა ნახევარმცველი დანიელო ტომიჩი.

ისინი ჯერ გასინჯვაზე არიან.

სალიჰოვიჩი 1985 წლის 2 ნოემბერს დაიბადა: სიმაღლე 181 სმ, წონა 76 კგ. თამაშობდა „სარაევოში“, ოდესის „ჩერნომორეცში“, „რადნიჩკიში“, ბოლოს კი სერბულ „ნოვი ბაზარში“ იყო.

ტომიჩი 1986 წლის 23 მარტს დაიბადა: სიმაღლე 178 სმ, წონა 72 კგ. მისი გუნდი „პოდგორიცა“ ჩერნოგორიის გასრულებულ ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა.

ტომიჩი დინამოელი ილია სპასოევიჩის თანაგუნდელია ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებში.



„დინამოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე ბალკანელთა კომენტარებიც გამოქვეყნდა...

*ფუად სალიჰოვიჩი:* „დინამო“ დიდი გუნდია, მდიდარი ტრადიციები აქვს და საქართველოში საუკეთესოა. აქ დასარჩენად ჩვენი საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინოთ. პირველივე ვარჯიშზე გამოჩნდა, რომ გუნდში პროფესიონალური და კარგი ატმოსფეროა“.

*დანიელო ტომიჩი:* „ჩერნოგორიის პრესასა თუ ტელევიზიებში ხშირია სპასოევიჩის ინტერვიუები, მისგან „დინამოზე“ და საქართველოზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. პირველივე ვარჯიშზე ვიგრძენი, რომ გუნდში კარგი ატმოსფერო და საბრძოლო განწყობაა“.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონმა მელქაძე დაისეზონა



**„ზესტაფონმა“** წინასწარ შეთანხმებას მიაღწია ლევან მელქაძესთან და, სავარაუდოდ, კონტრაქტსაც მალე გაუფორმებს — გადაწყვეტილია, რომ ეროვნული ჩემპიონატის 2004-2005 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირი იმერულ კლუბში სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

ამრიგად, გია გეგუჩაძეს ახლა თავდამსხმელთა მთელი წყება ჰყავს: მელქაძეს გუნდში ნიკა გელაშვილი, ერიკ რომეო ჩასემი, ზურაბ იონანიძე და ბექა გოცირიძე დახვდნენ.

არ არის გამორიცხული, გოცირიძე „ზესტაფონმა“ გაყიდოს — როგორც შევიტყვეთ, მისი სავარაუდო ფასი მილიონი დოლარი ყოფილა.

ერთიც: ჯაბა კანკავას „ზესტაფონში“ შესაძლო გადასვლაზე ლაპარაკი შეწყდა. მიზეზი „დნიპროსთან“ მოქმედი კონტრაქტი და ამასთან, ფეხბურთელის ტრავმაა.

და პოლ კესანის საქმე? ფიფადან ამაზე ჩამიჩუმიც არ ისმის. კესანისა და მის დარად საქართველომიტოვებული ეტიენ ბიტოოს საკითხი ერთად უნდა განეხილათ 10 დეკემბერს...

**ილია ნანობაშვილი**

# ოლიმპიკმა ქართული გოლები იშარა

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის გასული სეზონის მთავარმეგოლე მიხეილ ხუციშვილი ბაქოს „ოლიმპიკმა“ ტრანსფერზე დააყენა.

ჩვენიანმა აზერბაიჯანელებისთვის სასურველი შედეგიანობა ვერ იკისრა „ოლიმპიკში“ და ამდენად...

რაც შეეხება ბაქოელთა სხვა ქართველებს, ნახევარმცველი რევაზ გეწაძე და თავდამსხმელი რომან ახალკაცი გუნდში რჩებიან.

ახლა ხუციშვილი წინადადებებს ელის და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

# ლომაია აშდოდს თბილისში ელის

**გიორგი ლომაია** ისრაელის „აშდოდში“ იყო წასული, რამდენიმე დღე ივარჯიშა და გადავა თუ არა ამ კლუბში, იანვარში გაირკვევა.

გიორგის თბილისის „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება და ამდენად, აშდოდელებს სატრანსფერო თანხა არ ექნებათ გადასახდელი. საქართველოს ნაკრების მეკარე ამჟამად თბილისშია და „აშდოდის“ პასუხს ელის.

ისე კი, ამ კლუბის ვებგვერდმა საკმაო ყურადღება დაუთმო ჩვენიანს.

გიორგი ჯემალოვიჩ ლომაია — ასე წერია ჩვენი მეკარის ფოტოს ქვემოთ.

„აშდოდი“ ისრაელის უმაღლეს ლიგაში მეხუთე ადგილზეა — დღესდღეობით, ამ ლიგაში არცერთი ქართველი არ თამაშობს.




**ილია ნანობაშვილი**

# მაკარიძის შანსს პელე ზრდის

**გიორგი მაკარიძე** კვლავაც საფრანგეთშია და, სავარაუდოდ, „ლე მანი“ მის შეძენაზე უარს არ იტყვის. ჩვენიანმა არცთუ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ფრანგული გუნდის ვარჯიშებზე — მას პირველ გუნდშიც დააკვირდნენ და დუბლებშიც.

18 წლის მეკარე თავისუფალი აგენტია და „ლე მანს“ თბილისის „დინამოსთვის“ მხოლოდ საკომპენსაციო თანხა ექნება გადასახდელი.

თუ გარიგება შედგა, მაკარიძე თავიდან „ლე მანის“ ძირითად გუნდში ივარჯიშებს, თამაში კი დუბლებში მოუწევს. ასევე არიან „ლე მანის“ სხვა ქართველები — ამირან სანაია და ვახტანგ ფანცხავა.

ერთიცაა, „ლე მანის“ ძირითადი მეკარის იოან პელეს შეძენა იტალიურ „რომას“ სურს და ერთი ადგილი თავისუფლდება, რაც გიორგის დამატებითი შანსია.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ნაკრები და 29 თებერვალი

**ფეხბურთი არ არის მათემატიკა, სადაც ყველაფერი ითვლება. ასე რომ იყოს, დანიელ გუისა და ლუკა ტონი ტიერი ანრიზე და სამუელ ეტოოზე ძლიერ თავდამსხმელებად ჩაითვლებოდნენ... ფეხბურთი ეფექტურია, სხვანაირ ჭრილში დანახვა სჭირდება. მაგრამ ფეხბურთი გარკვეულწილად მაინც ჰგავს მათემატიკას იმ სახით, რომ თუ რომელიმე რგოლი დაირღვა, გუნდის საქმე შავად მიდის. გუნდი საერთო მექანიზმია, ჩვენთან კი... აბა, რა დასამალია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჰარმონია აკლია...**



არ გვინდა შორს წასვლა და, უბრალოდ, გავიხსენოთ, ბოლოს როდის გაიტანა საქართველოს ნაკრებმა კომბინაციური გოლი. ეს ერთი. და მეორე: არ გეჩვენებათ, რომ ჩვენების თამაშში თითქმის მოშლილია მცველთა შეტევაში ჩართვის ეფექტი?

ნაკრების თამაშის შემხედვარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გოლს აუცილებლად თავდამსხმელი ან შემტევი ნახევარმცველი თუ გაიტანს (და ასეც ხდება). რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ ყოფილა, ფორვარდი ბურთს იღებს, მისკენ ორი ან სამი მეტოქე მიემართება და ზონები თავისუფალი რჩება, მაგრამ ჩვენიანთაგან არავინ შერბის იმ ზონაში. საკუთარი „პოსტის" დატოვების ეშინიათ, თუ უბრალოდ, არ იციან ამის გაკეთება, ამოუცნობია.

ალბათ, ერთიც და მეორეც...

არადა, ეს ხომ ორჯერ ორი ოთხივითაა.

ფეხბურთში ახალი ელემენტები ჩნდება, მყისიერი გადაადგილებები შეტევისას, მეტოქის დაბნევის ნაირ-ნაირი ხრიკი...

ამასწინათ „ბარსელონამ" 4:0 ისე მოუგო „ვალენსიას", ერთი გამოკვეთილი ცენტრალური თავდამსხმელი არ ჰყოლია, მაგრამ ამ ადგი-

## როდის ისწავლით იმას, რაც ყველამ ისწავლა?!

ლზე ხან ტიერი ანრი ჩნდებოდა, ხან ლეო მესი, ხანაც ნომინალური მარჯვენა მცველი დანიელ ალვეშიც კი!

ქართველთა შეტევები კი უადვილესად გასაშიფრია.

ეს ფეხბურთელთა ტაქტიკური არსენალის სიმცირის ბრალია და კიდევ კარგი, ექტორ რაულ კუპერმა სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა.

რაც ჩამოვთვალეთ, ეს „მინუსები" პირდაპირ ასოცირდება უბურთოდ თამაშთან, რაც ყოველთვის უჭირდა საქართველოს ნაკრებს, მაგრამ ისმის კითხვა, რით ვერ ვისწავლეს ის, რაც ყველამ ისწავლა?!

დააკვირდით, ჩვენი ნაკრები ყოველთვის აგონიაში ვარდება, როცა მეტოქე სწრაფ ტემპს სთავაზობს და ასე იყო ირლანდიასთან თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში. საპასუხო კოზირი კი არაფერი აღმოჩნდა — მხოლოდ გრძელი გადაცემები რატი ალექსიძეზე, რომელსაც ორი ბრიტანელი ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდა. ან მთელი იმედების დამყარება ლევან ყენიაზე — იქნებ, სამი-ოთხი კაცი მოატყუოს და გოლი გაიტანოს. ყენია კი მარადონა არ არის...

მრავალფეროვნებაა საჭირო, თორემ დარწმუნებულნი ვართ, ჯოვანი ტრაპატონი, ანგელოს ანასტასიადისი თუ მარჩელო ლიპი ისე იოლად გაშიფრავენ ჩვენების თამაშს, როგორც ამ შემოდგომაზე.

ეს კი, არა მარტო კუპერზე, ჩვენი ფეხბურთელების ტაქტიკურ ცოდნაზეცაა დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ასწავლოს ამ კაცმა 20 წელს გადაცილებულ კაცებს ფეხბურთის ანა-ბანა?!

ვიცით და ჩვენზე კარგად კუპერმა იცის: ძნელია, ისეთი ელემენტები შეიტანო და კარგად გააკეთო, რომელიც აქამდე საერთოდ არ ჰქონია ნაკრებს, მაგრამ თუ გინდა, რომ სხვებს დაეწიო, უნდა გააკეთო. თუ არა და, საქართველოს ნაკრების გამარჯვება 29 თებერვალივით იშვიათობა იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

# შაში მუსიკის თანხლებით?



**ავსტრიული** „შტურმის" მცველი გიორგი შაშიაშვილი ღონიერ სეზონს ატარებს და, შესაძლოა, იანვარში ბუნდესლიგაში გადაბარგდეს.

თანაც, ბუნდესლიგის რიგით გუნდში კი არა, ბრემენის „ვერდერში"...

„მუსიკოსების" თავკაც თომას შააფს შაშიაშვილი მოსწონს. ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ დიდია, რაკილა „შტურმსა" და „ვერდერს" მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ, თანაც, ბრემენელები არ მალავენ, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი ცენტრალური მცველის დამატება სურთ.

**ილია ნანობაშვილი**

**ქართველ ლეგიონერთა უმეტესობამ უკვე დაასრულა მიმდინარე საფეხბურთო წელი და შვებულებაში არიან, თუმც რამდენიმეს ჯერაც უწევს მძიმე თამაშების გადატანა...**

# ხიზანიშვილის სკამი, მჭედლიძის 12 წუთი

**ზურაბ ხიზანიშვილმა** ტრავმა მოირჩინა და „ბლექბერნის" სამატჩო განაცხადშიც გამოჩნდა.

ეგაა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს მოედანზე გასვლა მაინც არ ეღირსა — სათადარიგო იყო.

„ბლექბერნმა" შინ 3:0 მოუგო „სტოკ სიტის", მაგრამ ისევ ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.

მარცხი იწვნია იტალიურ სერია A-ში ლევან მჭედლიძის „პალერმომ". სიცილიელები სტუმრად 0:1 დამარცხდნენ „ლაციოსთან".

მჭედლიძე 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე ფაბრიციო მიკოლის ნაცვლად, თუმც იმ დროისთვის „პალერმო" კაცნაკლული იყო და თამაშის გადარჩენა ველარც მოახერხა.

სიცილიელებს 17 ტურის შემდეგ 23 ქულა აქვთ და მეცხრე ადგილზე არიან სატურნირო ცხრილში.

**კახა შალამბერიძე**



ნუგზარ სუსარიძის ფოტო

გიორგი მერებაშვილი

# დინამო საგურამოში ტრავმებმა არ გაუშვა

**ექტორ** რაულ კუპერის მორიგ და მიმდინარე წლის ბოლო სამშაბათობას თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები, დავით ოდიკაძე, გურამ კაშია და ლევან ხმალაძე გამოაკლდნენ.

როგორც შევიტყვეთ, არგენტინელი მწვრთნელის წინასწარ სიაში იყო გიორგი მერებაშვილიც, თუმც ის რომ ვარჯიშს ვერ შეძლებდა, ისედაც ვიცოდით — დინამოელთა ლიდერს ტრავმა აქვს.

ტრავმების გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა „სამშაბათობაში" დანარჩენმა დინამოელებმაც — ასე გვითხრეს „დინამოში" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც.

ამის თაობაზე კლუბმა წინასწარ აცნობა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებს და სიაშიც მცირე კორექტივები გახდა შესატანი.

**კახა შალამბერიძე**

# ელიტამდელი ევროპა

## გელა შეყილაძეს ფედერაციამ ტესტ-კალენდარი ჩამოუწერა



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები (1992 წელს და შემდეგ დაბადებულები) 2009 წლის მარტში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

გელა შეყილაძის გუნდი ოფიციალურ მატჩებამდე რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 2 თებერვალს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სლოვენიაში გაემგზავრება, სადაც 3 და 5 თებერვალს მასპინძელთა 17-წლამდელთა ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

6 თებერვალს გელა შეყილაძის გუნდი ხორვატიაში გადაინაცვლებს, სადაც 8 და 10 თებერვალს ასევე ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მასპინძელთა 17-წლამდელთა ნაკრებთან.

26 და 28 თებერვალს ასევე ორი ამხანაგური თამაშია დაგეგმილი აზერბაიჯანის 17-წლამდელთა ნაკრებთან, თუმცა სად გაიმართება ეს მატჩები, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

9 მარტიდან ჩვენები ლუქსემბურგში გაემგზავრებიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც 11 მარტს მასპინძელ 17-წლამდელთა ნაკრებს შეხვდებიან.

12 მარტიდან კი საქართველოს ნაკრები ავსტრიაში გადაინაცვლებს და 15 მარტს ერთ-ერთ იქაურ კლუბს დაუპირისპირდება, ხოლო 20 მარტს ელიტ-რაუნდის პირველ შეხვედრასაც ჩაატარებს: ჩვენი გუნდის მეტოქე შოტლანდიის ნაკრები იქნება.

22 მარტს გელა შეყილაძის გუნდი მასპინძლებს დაუპირისპირდება, 25 მარტს კი იტალიელ თანატოლებს გაეჯიბრება.

# მესამე თვალი

## ექტორ რაულ კუპერმა უცხო უცხოელებსაც გადახედა



**ექტორ რაულ კუპერი** მადრიდში გაემგზავრა და ახალ წელს, ცხადია, იქ შეხვდება — ოჯახურ გარემოში. მანამდე კი ჭალარა არგენტინელმა საგურამოს ბაზაზე მორიგი „სამშაბათობა“ გამართა, 19 ფეხბურთელს უხმო და აი, მათი სია:

***მეკარეები:*** *როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (ვაგრა), ზურაბ მამალაძე (მგლები);*

***მცველები:*** *უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), დავით გამეზარდაშვილი (სკონტო, ლატვია), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), ნუკრი მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი განუგრავა (ბოლესლავი, ჩეხეთი), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (აუსტრია, ლუშტენაუ, ავსტრია), გივი კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი);*

***თავდამსხმელები:*** *დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), დიმიტრი ტატანაშვილი (პლზენი, ჩეხეთი), გიორგი გაბედავა (ვაგრა).*

სიაში იყო მოსკოვის „ლოკომოტივის“ დავით მუჯირიც, თუმც ვარჯიში ვერ მოახერხა...

კუპერის წლის ბოლო „სამშაბათობა“ მეტწილად კვლავ ტაქტიკურ ვარჯიშებს დაეთმო, იყო ტრადიციული „კვადრატები“ და შორიდან კარში დარტყმები.

დაგვეთანხმებით, შორიდან დამტუხებლების გვარიანი დეფიციტია ნაკრებში — არც სხვა კომპონენტებში ვართ დალხენილნი, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებით შესამჩნევია...

დაცვა და შეტევა: ყველა მწვრთნელს თავისი მეთოდი აქვს, ასეა კუპერიც და კარგია, რომ მაქსიმალურად ბევრ ფეხბურთელს აცნობს, როდის რა და როგორ არის საჭირო...

ვარჯიშს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობის მთავარკანდიდატი კახა ცხადაძეც ესწრებოდა.

როგორც შევიტყვეთ, ცხადაძის ახალ აზრდულში გათავკაცებას წინ მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერაღა აკლია.

კუპერის სამშაბათურ ვარჯიშზე 8 ახალი ფეხბურთელი იყო და რვავე ლეგიონერი. მართალია, დავით დევდარიანს არგენტინელი უელსური მატჩიდანაც იცნობს, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... დევდარიანი პირველად იყო „სამშაბათობაზე“.

**მირზა ბჟალავა:** სუსტ უცხოურ კლუბში თამაშობს, მაგრამ რამდენჯერაც ახალგაზრდულ ნაკრებში ენდნენ, ყოველთვის კარგად ითამაშა. ჯიგრიანი საყრდენი ნახევარმცველია და ართმევაზე თამაშის გარდა, შეტევების დაწყებაც იცის.

ბჟალავა „ამერში“ გაიზარდა, თუმც მერე „ზესტაფონში“ გადაბარგდა და იქიდან წავიდა ლუშტენაუს „აუსტრიაში“. ყველა ასაკობრივი ნაკრები გაიარა. ჯერ 20 წლისაა და მომავალი წინ აქვს.

**დიმიტრი ტატანაშვილი:** რატომ არ იწვევენ ნაკრებში — ეს კითხვა ხშირად ისმის და აი, კუპერმაც მიიწვია. ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?

25 წლის ტატანაშვილი სპეციფიკური ფორვარდია, რბილად ეპყრობა ბურთს, ტექნიკურია და თავითაც კარგად თამაშობს.

„ტატანას“ ორი კარგი სეზონი ჰქონდა „ამერში“, განსაკუთრებით შარშან, როცა შეცვლაზე მისი შეყვანა და გოლი ლამის ერთი იყო.

მისი სუსტი მხარე ორთაბრძოლების წაგებაა, გამძლეობაც აკლია, მაგრამ ჩეხეთში, ბიჭი ხარ და, ამის გარეშე ითამაშე.

„პლზენმა“ დიმა დიდი იმედებით შეიძინა და მართალია, ჯერ საკადრისად ვერ ამართლებს, მაგრამ... ნაკრებში კი...

ტოპმიოლერისეულ იალღიშს დახედეთ: ტატანაშვილმა აზერბაიჯანს გოლი გაუტანა და ვინც იმ მატჩს უყურა, დაგვეთანხმება, ძალიან კარგადაც ითამაშა, მაგრამ მას შემდეგ ხუჭუჭა გერმანელმა ნაკრების კარი ჩაუკეტა.

**გიორგი განუგრავა:** ჯერ 20 წლისაა, მაგრამ მისი კარიერა ალმავლობა-დაცემით იყო სავსე. 17 წლის განუგრავა გაიოზ დარსაძის მწვრთნელობისას ეროვნულ ნაკრებში მოხვდა და 10 მატჩიც ჩაატარა — ერთხელ დარსაძემ მასზე დანიასთან 1:6 წაგების მერე თქვა, ტომას გრავესენი ამოკეტაო...

„განუ“ ერთი-ორჯერ კლაუს ტოპმიოლერმაც ათამაშა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში არასოდეს.

საინტერესოა, არა? ბიჭი, რომელიც 17 წლისა ეროვნულ გუნდში ბურთაობდა, ორი წელია, ახალგაზრდულშიც კი აღარ გახსენებიათ. თუმც აქ ერთი მომენტია: გიორგის უგუნდოდ ყოფნა 13 თვე გაგრძელდა. „ზესტაფონიდან“ წასული ხან სად იყო გასინჯვაზე, ხან სად და მხოლოდ წლეულს თებერვალში ჩეხურმა „ბოლესლავმა“ გაუფორმა კონტრაქტი.

ცაცია ნახევარმცველი „ბოლესლავ B“-ში ერთ-ერთი გამორჩეულია, თუმც მთავარ გუნდში არ ათამაშებენ. არცაა გასაკვირი — „განუს“ კლუბი ჩემპიონობისთვის იბრძვის და ეტყობა, მწვრთნელი შემადგენლობის შეცვლას ერიდება.

მოკლედ, დარსაძის მწვრთნელობიდან მოყოლებული, განუგრავა სულ სალაპარაკო თემა იყო. ღმერთმა ქნას, დაკარგული წლები აინაზღაუროს და ნაკრებსაც გამოადგეს... ის რომ ნიჭიერი არ იყოს, ეროვნულ ნაკრებში ბრინჯივით დაიბნეოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა — სხვებმა აურიეს კარიერა, ნაადრევად ჩათვალეს ვარსკვლავად.

**დავით გამეზარდაშვილი:** 192 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრალური მცველი. ჯერ მარტო სიმაღლის გამო შეიძლება მისი ნაკრებში გამოყენება. რიგის „სკონტოში“ შეუცვლელია და კაპიტნის სამკლავურსაც ატარებს. გარდა იმისა, რომ თავით კარგად თამაშობს, მშვენიერი გრძელი პასიც აქვს.

ტოპმიოლერმა გამეზარდაშვილი ერთხელ გამოიძახა ნაკრებში, თუმც ამით დამთავრდა. არადა, 26 წლის დავითი ქუთაისის „ტორპედოშიც“ მშვენივრად თამაშობდა, ჩემპიონატის გამორჩეული მცველი იყო — ეს მაშინ, „ტორპედო“ რომ „ტორპედოობდა“...

**გიორგი ფოფხაძე:** შეუძლია როგორც მარცხენა, ისე ცენტრალურ მცველად თამაში. ტექნიკურიცაა, ჭკვიანიც და მებრძოლიც. მაშ, რაღა აკლიაო, იტყვით. იქნებ, ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ არც არაფერი აკლია, მაგრამ კუპერმა მხოლოდ ამ სამშაბათს გაიცნო.

ფოფხაძე 22 წლისაა და უკვე სამი წელია, უცხოეთში თამაშობს. ჯერ ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ დუბლებში იყო, შემდეგ შოტლანდიურ „ჰარტსსა“ და გერმანულ „ბურგჰაუზენში“ ვარჯიშობდა, ბოლოს კი დანიურ „ვიბორგში“ დამკვიდრდა.

წარმოიდგინეთ, შარშან „ვიბორგმა“ დანიის სუპერლიგაში ყველაზე ბევრი გოლი გაუშვა, გიორგი კი ფანებმა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. დიახ, ლაპარაკია მცველზე.

**ნუკრი მანჩხავა:** საერთო აზრით, კარგა ხანია, მანჩხავაც იმსახურებს ნაკრებში შანსის მიცემას. 26 წლის ნუკრი ლიტვური „კაუნასის“ ერთ-ერთი ლიდერია და თუ „კაუნასი“ „გეცოტავებათ“, მაშ, უეფას თასიდან „გლაზგო რეინჯერსი“ ვინ გამოთიშა?

ამასთან, მანჩხავა სტაბილურია, სამი წელია, ლიტვის საუკეთესო კლუბის ძირითადს არ მოშორებია.

„კაუნასში“ წასვლამდეც გეხსომებათ ეს ფეხბურთელი: ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა თბილისის „ლოკომოტივში“ და აკი, თასის ფინალში „ზესტაფონს“ ულამაზესი გოლიც გაუტანა. ტიპიური მარცხენა მცველი შეტევებში მძაფრი ჩართვებით — რატომაც არ შეიძლება მისი გამოყენება...

**გივი კვარაცხელია:** მანჩხავას თანაგუნდელი იყო „კაუნასში“, შარშანწინ ლიტვის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერადაც დაასახელეს, ამ ზაფხულს კი ბელარუსის „მტზ-რიპოში“ გაუშვეს, სადაც თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მერე ფორმა აკრიფა და გოლებიც გაიტანა.

კვარაცხელია საყრდენი ნახევარმცველია — ძლიერი დარტყმა აქვს და როგორც მისი პოზიციის ფეხბურთელს შეეფერება, ბრძოლისუნარიანია.

**დავით დევდარიანი:** წლეულს გაზაფხულზე რუსთავის „ოლიმპში“ რომ იყო, „დინამოსთან“ ისე ითამაშა, იშვიათად, ჩვენს ჩემპიონატში ასე გაბრწყინებულიყოს ფეხბურთელი. მისი მთავარი კოზირი დრიბლინგია — გრძელ ფეხებს ფარგალივით ამუშავებს. ტექნიკურია, აღნაგიც, მაგრამ ფიზიკურად მოისუსტებს.

სექტემბერში „ორჰუსში“ გადავიდა, ოღონდ დანიელებმა, ჯერ მეორე გუნდში მოვამძლავრებთო.

დევდარიანს თავდამსხმელების უკან შეუძლია თამაში, თუმც ტიპიური 10 ნომერი არ არის — უფრო უკან, ცენტრალურ ნახევარმცველად ირჯება.

დავითი 21 წლისაა...

**ილია ნანობაშვილი**

## კიდევ?

**კარგი** იქნება, კუპერს ფეხბურთელები თუ არ გამოეპარება. კი, გასაგებია, სელექციაში შეცდომების ალბათობა ყოველთვისაა, მაგრამ ალბათობასაც გააჩნია.

ახლა ჩვენს აზრს მოგახსენებთ, კიდევ ვინ იმსახურებს ნაკრებში შანსის მიცემას. უკიდურესობამდე ნამდვილად არ მივალთ და ალბათ ბევრიც დაგვეთანხმება...

ალეკო ამისულაშვილი: შესაძლოა, აქ სულ სხვა ამბავია. რა მოხდა ლუქსემბურგში, როცა ამისულაშვილმა ბოლოჯერ ითამაშა ნაკრებში? ფაქტია, მას შემდეგ ნალჩიკის „სპარტაკის“ საუკეთესო მცველი ეროვნულ გუნდს აღარ მიაკარეს. 26 წლის ამისულაშვილმა წლეულს ლამის ნალჩიკელთა საუკეთესო ბომბარდირობას გამოჰკრა ხელი: 4 გოლი გაიტანა.

ერთი კია, ალეკო ზუსტად კახა კალაძის პოზიციის ფეხბურთელია: მარცხენა ცენტრალურ მცველად თამაშობს. ვითომ ესაა მისი იგნორირების მიზეზი?

ლევან გვაზავა: 28 წლის გვაზავა „ლუჩ-ენერგიის“ №1 ფეხბურთელი გახლდათ. გუნდის გავარდნის მიუხედავად, ლევანზე აუგი არავის უთქვამს. ის ტიპიური 10 ნომერია, კარგი დრიბლიორი და მეპასეა.

გვაზავა სამი წლის წინ ბათუმის „დინამოში“ თამაშობდა, თუმც ცოტა ხნით. მანამდე „ალანიაში“ იყო, მერე ნალჩიკის „სპარტაკში“.

სანდრო გურული: „ლიონის“ დუბლებში გაზრდილმა გურულმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთი-ორჯერ ითამაშა, ტრავმა მიიღო და მას შემდეგ არავის გახსენებია. გურული სექტემბერში ლვოვის „კარპატიში“ გადავიდა და მალევე ფანებმა გუნდის თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სანდრო შემტევი ნახევარმცველია, უფრო მარჯვნივ ირჯება: ამ პოზიციაზე კი, დაგვეთანხმებით, რონალდუები სულაც არ გვყავს...

გიორგი ადამია: აზერბაიჯანის ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელია. ხშირად მეორე თავდამსხმელად თამაშობს. „ნეფთჩიდან“ მოულოდნელად გაუშვეს მწვრთნელის ხუშტურების გამო, თუმც აზერული პრესა მასზე ყოველთვის აღმატებულ ხარისხში წერს.

ადამია ამჟამად უკლუბოდაა.

ნუკრი რევიშვილი: ხშირმა ტრავმებმა და მძიმე ავარიამ „რუბინში“ თავის გამოჩენის შანსი არ მისცა, თუმც ძნელია, რუსეთის ჩემპიონატში 21 წლის ქართველმა მეკარემ თავი დაიმკვიდროს. აი, დუბლებში კი ბოლოს ათამაშდა.

მეკარისთვის კლუბში უთამაშებლობა დიდი მინუსია, მაგრამ ვფიქრობთ, რევიშვილი კუპერისგან ყურადღებას მაინც იმსახურებს.

გოგა ბეჭვაია: კარგა ხანია, ნაკრებში ტიპიურ შემტევ მარჯვენა მცველს არ უთამაშია. ლაშა სალუქვაძე და უჩა ლობჟანიძეც უფრო ცენტრალური უკანახაზელები არიან. ბეჭვაია შარშან გამოჩნდა „ვიტ ჯორჯიას“ ძირითადში და კარგადაც ათამაშდა. სწრაფია, დრიბლინგიც იცის და კარგი ჩაწოდებაც აქვს.

# კალაძე თავის რესტორანში ნისიად ვახშმობს
## მადლობა აბრამოვიჩს ჩემი არშეძენისთვის!

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „მილანის" ფეხბურთელი კახა კალაძე ფორმაში შედის. ტრავმის რეციდივებს აღარ შეუწუხებია და თავისი თამაშით ჟურნალისტების ყურადღებაც მიიქცია. ეს საინტერესო ინტერვიუ მილანის ერთ-ერთ რესტორანში შედგა...



**— აქ უკეთ ამზადებენ კერძებს, ვიდრე თქვენს რესტორანში?**

— არა. უბრალოდ, აქ მშვიდად შეგვიძლია საუბარი. ჩემს რესტორანში, რა თქმა უნდა, ყველაფერი გემრიელია და იქაურობის ხშირი სტუმარიც ვარ.

**— თქვენს ჯიბეზე როგორ აისახება ეს სტუმრობა?**

— ვერ გეტყვით. ანგარიშს ყოველთვის არ მიწერენ. დავალიანებას ყოველი თვის ბოლოს ვფარავ ხოლმე.

**— რატომ იხდის რესტორნის მეპატრონე სადილის ფულს?**

— ასე ვარ მიჩვეული.

**— საერთოდ, რატომ გადაწყვიტეთ რესტორნის გახსნა?**

— მოგებაზე არც ვფიქრობდი. უბრალოდ, მინდოდა, მქონოდა რესტორანი, სადაც ვუმასპინძლებდი სტუმრებს და მეგობრებს. კომპანიონთან ერთად შევიძინე მილანის ერთ-ერთი უძველესი რესტორანი, „ჯანინა" და შემდეგ ყველაფერი თავისით აეწყო. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, რომ ყველაფერი ასე აეწყობოდა.

**— როგორ?**

— არ მინდა, ტრაბახში ჩამომერთვას, მაგრამ მილანში ეს რესტორანი სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. იქ ძალიან სასიამოვნო გარემოა. ჩვენთან დადის ქალაქის ცნობილი საზოგადოება — ტელეწამყვანები, მოდელები, კლუბების მენეჯერები... ასევე „მილანის" და „ინტერის" ფეხბურთელები.

**— ეს თქვენთვის პრესტიჟია თუ ბიზნესი?**

— ერთიც და მეორეც.

**— გავიგე რომ რესტორანში გაქვთ ქართული ღვინო, მაგრამ არა ქართული სამზარეულო...**

— იტალიური სამზარეულო მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ხოლო იმისთვის, რათა დავამზადოთ ქართული კერძები, აუცილებელია მზარეულების ჩამოყვანა, საჭირო პროდუქტებით მომარაგება და ასე შემდეგ. მე ძალიან მიყვარს ქართული სამზარეულო, მაგრამ მშობლიური კერძებით მალე ვსუქდები.

**— მართალია, რომ თქვენს რესტორანში გააფორმა „მილანმა" რონალდოსთან კონტრაქტი?**

— დიახ. იქ საკმაოდ ხშირად წყდება მნიშვნელოვანი ტრანსფერების ბედი. ადრიანო გალიანი თითქმის ყოველ საღამოს გვსტუმრობს.

**— რესტორნის გარდა გაქვთ სასტუმრო და მოდური ჟურნალი კიევში.**

— მაქვს საქველმოქმედო ფონდიც.

**— და რა საქმიანობას ეწევა?**

— დიდი კომპანიაა, რომელშიც რამდენიმე ბიზნესია გაერთიანებული. მაგალითად, ერთი კვირის წინ, კომერციული ბანკი გავხსენით. საქველმოქმედო ფონდი კი ქართველი ხალხის დასახმარებლად შევქმენი. საკმაოდ ბევრი ადამიანია, რომლებსაც პურის ფულიც არ აქვთ... ძალიან მინდა, ბავშვებმა, რომლებსაც არ აქვთ სპორტზე სიარულის საშუალება, ფონდის დახმარებით შეძლონ სექციებში ჩაწერა.

**— როგორ ასწრებთ ამ ყველაფერს?**

## ითამაშებს თუ არა მილანში ვიქტორია ბექემი?

— უბრალოდ, გამიმართლა, რომ ჩემ გარშემო თავი ბევრმა პროფესიონალმა მოიყარა. ამიტომ, ფაქტობრივად, პირადად არაფრის კეთება არ მიწევს. მონაწილეობას ვიღებ პროექტის შექმნაში, შემდეგ კი ყველაფერს სხვები აკეთებენ. რატომ ვარ ამ საქმიანობით დაკავებული? რეალისტი ვარ და ასეთივე თვალით ვუყურებ ცხოვრებას. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულდება, გამოჩნდება ბევრი თავისუფალი დრო და რა უნდა ვაკეთო?

**— მაგალითად, გახდეთ მწვრთნელი...**

— არა. ეს ჩემი საქმე არ არის. მომავალში დავკავდები ბიზნესით და ქველმოქმედებით.

**— და ააშენებთ ეკლესიას...**

— ეკლესიას ვაშენებ მშობლიურ ქალაქ სამტრედიაში.

**— ამას დაღუპული ძმისთვის აკეთებთ?**

— დიახ, მის ხსოვნას ვუძღვნი.

**— უკაცრავად, რომ ამ საკითხს შევეხეთ. დავუბრუნდეთ ბიზნესს: როგორ გაჩნდა თბილისში გრანდიოზული მშენებლობის წამოწყების იდეა?**

— პარტნიორებთან ერთად თბილისის ცენტრში 80 ჰექტარი მიწა ავიღეთ და ქალაქში ქალაქის აშენებას ვაპირებდით, მაგრამ ომის გამო მოგვიხდა ამ პროექტის გადადება. ვფიქრობ, სამიოდე წელიწადში მშენებლობას დავიწყებთ.

**— და მერე ივლით ახალ ქალაქში თქვენი საყვარელი „ფერარით"...**

— მანქანები ჩემი სისუსტეა. კოლექციონერი არ ვარ, რადგან მათ ხშირად ვიცვლი, მაგრამ ჩემს ავტოფარეხში ოთხი-ხუთი ავტომობილი ყოველთვის დგას. ამჟამად, ორი „ფერარი", ორი „ბენტლი" და ერთი „აუდი" მაქვს.

**— ერთხელ ვალერი ლობანოვსკისგან შენიშვნაც კი მიიღეთ კიევის „დინამოს" ბაზაზე „ფერარით" მისვლის გამო...**

— სახალისო ისტორია იყო. ბაზაზე იმ წუთის მისული ვიყავი, რომ მაშინვე მაცნობეს — ლობანოვსკი გიბარებსო. შევდივარ მასთან და მეუბნება: „ფეხბურთთან დამშვიდობება გადაწყვიტე?" „ვასილიჩ, რას ამბობთ. მე თამაში მინდა" — ვუპასუხე. „მაშინ ჯერ უნდა იფიქრო ფეხბურთზე და მხოლოდ ამის შემდეგ მანქანებზე" — ეს ფრაზა სამუდამოდ დამამახსოვრდა.

**— და მასთან პირველი შეხვედრა?**

— ესეც. ლობანოვსკისთან პირველად მამასთან ერთად მივედი. გაკვირვებული დარჩა, როდესაც ასეთი მაღალი და ფიზიკურად ძლიერი დამინახა. მახსოვს, ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „ყმაწვილო, დამიჯერე და კარგი ფეხბურთელი გახდები". საბოლოოდ, ასეც მოხდა. ლობანოვსკი შესანიშნავი მწვრთნელი იყო, რომლის დამსახურებითაც მივაღწიე ყველაფერს. მასთან 18 წლისა მივედი და იტალიაში უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ჩამოვედი.

**— არ შემიძლია, არ შევეხო პოლიტიკას. თქვენ არაერთხელ გაუსვით ხაზი საქართველოში არსებულ არასტაბილურ მდგომარეობას. რუსეთის მიმართ, სადაც ბევრი მეგობარი გყავთ, აგვისტოს მოვლენების შემდეგ შეგეცვალათ დამოკიდებულება?**

— არა. რუსეთი ერთია და პოლიტიკა მეორე. ვფიქრობ, პოლიტიკის გამო უბრალო ხალხი არ უნდა დაზარალდეს. საუბედუროდ, ბევრი ადამიანი დაიღუპა. ზოგი მსჯელობს იმაზე, ვინ დაიწყო ომი. რა მნიშვნელობა აქვს ამას? სადაც ომია, იქ არ შეიძლება მართალი მხარე არსებობდეს.

**— კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტობისთვის იბრძოლებთ?**

— პოლიტიკა ბინძური თამაშია და ჩემი საქმე არ არის.

**— მაგრამ თქვენ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება ხართ საქართველოში...**

— ამით ვამაყობ კიდეც. ჩემი ხალხის სიყვარულის გამო მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი ვარ. ფული მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდია, ურთიერთობები კი უფრო ძვირად ფასობს. როცა რაიმე ნაბიჯს ვდგამ, ყოველთვის ვფიქრობ, როგორ შეხვდება ამას ჩემი ხალხი. თუ სხვებისთვის მაგალითი ვარ, მაშინ, მეტი პასუხისმგებლობა მომეთხოვება. პრეზიდენტობაზე კი ჯერ არ ვფიქრობ, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ.

**— ვისაუბროთ ჩემპიონთა ლიგაზე, რომელშიც „მილანი" წლეულს არ მონაწილეობს. სამაგიეროდ, ფუროორი მოახდინა თქვენმა თანამემამულე თემურ ქეცბაიამ. მისმა „ანორთოსისმა" კინაღამ სასწაული მოახდინა...**

— თემურის წარმატება ძალიან მიხარია. ჩვენ კარგა ხნის განმავლობაში ერთად ვთამაშობდით საქართველოს ნაკრებში და შემიძლია გითხრათ, რომ იგი შესანიშნავი პიროვნებაა, მაგრამ არ ვმალავ: „ანორთოსისის" შედეგებმა გამაკვირვა. თუმცა მე მარტო არ ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში.

**— ქეცბაიას თუ უკავშირდებით?**

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, მივულოცე. ის თვითონაც აღფრთოვანებული იყო მოვლენების ამგვარი განვითარებით.

**— გადავიდეთ „მილანზე". არცთუ დიდი ხნის წინ გუნდში ანდრეი შევჩენკო დაბრუნდა. თქვენი აზრით, რატომ არ აეწყო მას საქმეები „ჩელსიში" და სწორად მოიქცა თუ არა, როდესაც კვლავ „სან სიროს" მოაშურა?**

— თავის დროზე, „მილანიდან" წასვლით მან დიდი შეცდომა დაუშვა. აქ მას გულშემატკივრები აღმერთებდნენ და მზად იყვნენ, ხელის გულზე ეტარებინათ. ანდრეი ბრწყინვალედ თამაშობდა, ბევრი გოლი გაჰქონდა და ლიდერი იყო. ინგლისში კი, მოურინიუმ ბოლომდე გახსნის საშუალება არ მისცა. რაც შეეხება დაბრუნებას, ჩემი აზრით, სწორად მოიქცა.

**— „მილანში" ის კვლავ იტყვის თავის სიტყვას?**

— ამის პოტენციალი ჯერ კიდევ აქვს. თავად ვხედავ, როგორ მუშაობს ვარჯიშებზე. შესანიშნავი სისწრაფის პატრონია, ტექნიკაც არ დაუკარგავს. უბრალოდ, ცოტა დროა საჭირო.

**— ქალაქში „შევჩენკომანია" აღარ არის?**

— არა, მაგრამ ამის გამოსწორება შეიძლება.

**— სამაგიეროდ, არის „კალაძემანია"! თქვენ უკვე რვა წელია, ამ გუნდში თამაშობთ. იცით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ფეხბურთელებიდან ასეთი დონის კლუბში ჩატარებული სეზონების რაოდენობის მიხედვით რეკორდსმენი ხართ?**

— ვიცი. აი, შევჩენკო რომ არ წასულიყო, ეს რეკორდი მისი იქნებოდა. მინდა, „მილანში", რაც შეიძლება, დიდხანს ვითამაშო. იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ.

**— ამას ახლა ამბობთ, მაგრამ თავის დროზე „ჩელსიში" კინაღამ თავადაც გადახვედით...**

— დიდ შეცდომასაც დავუშვებდი. თუმცა ჩემს შემთხვევაში სიტუაცია ცოტა განსხვავებული იყო. სერიოზული ტრავმის გამო, ხუთი თვე ვერ ვთამაშობდი, ხოლო როდესაც გამოვჯანმრთელდი, მწვრთნელი მოედანზე გასვლის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ლონდონში არ გადავედი.

**— რატომ ჩაიშალა ეს ტრანსფერი?**

— არ ვიცი. რომან აბრამოვიჩს მოსკოვში შევხვდი და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. დავბრუნდი იტალიაში, სადაც ჩემს დაყოლიებას ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებით ცდილობდნენ. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას განვუცხადე, რომ ამის გაკეთებას არ ვაპირებდი, რადგან „ჩელსისთვის" უკვე სიტყვა მქონდა მიცემული. ორი დღის შემდეგ კი, აბრამოვიჩის მეგობარმა დამირეკა და მითხრა, შენს პოზიციაზე სხვა ფეხბურთელის აყვანა გადაწყვიტესო. იმ მომენტში ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი. „მილანთან" შევრცხვი და „ჩელსისთანაც" არაფერი გამოვიდა.

**— ამ ამბის შემდეგ აბრამოვიჩს აღარ შეხვედრიხართ?**

— რატომ უნდა შევხვედროდი?!

**— როგორ შეურიგდით „მილანის" ხელმძღვანელობას?**

— ამის შემდეგ, მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ სადაც მსურდა, იქ წავსულიყავი, მაგრამ ეს არ გააკეთეს, რისთვისაც ვემადლიერები — მდგომარეობას ადამიანურად მიუდგნენ. გალიანიმ დამირეკა და ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად დამიბარა. დღეს კი, მინდა, აბრამოვიჩს მადლობა ვუთხრა, ჩემს ყიდვაზე უარი რომ განაცხადა.

**— რისი წყალობითაც რონალდინიოსთან ერთად გიწევთ თამაში...**

— ის ნამდვილი ვარსკვლავია. თავიდან რონალდინიო თავს კარგად ვერ გრძნობდა, მაგრამ ნელ-ნელა ფორმას კრეფს და სულ უფრო უკეთ გამოიყურება.

**— ალბათ, კიდევ უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვება დევიდ ბექემის თქვენთან გადმოსვლას...**

— ასე არ ვიტყოდი. ის ხომ რამდენიმე თვით მოდის. ეს ჩვეულებრივი მარკეტინგული სვლაა. ისიც კი არ ვიცი, გამოჩნდება თუ არა მოედანზე. შესაძლოა, სანახაობისთვის რომელიმე მატჩში მისცენ თამაშის საშუალება...

**— იქნებ ამ პროექტის ავტორებისთვის დევიდის ცოლი უფრო მისაღები ვარიანტია?**

— ისიც ჩვენთან ითამაშებს?

**— არა, მაგრამ თქვენთან მალე მოდის კვირეულია...**

— შესაძლოა, ამ შემთხვევაში მართალი იყოთ.

**— რა სადღეგრძელოს იტყვით ახალ წელს?**

— მშვიდობის სადღეგრძელოს. ჩემი ქვეყნისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

წინა „სარბიელში“ ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის თაობაზე გვეწერა.

კონკრეტული ფაქტები გვქონდა ჩამოთვლილი: ჭერიდან წყალი ჩამოდის, რის გამოც ფეხბურთელებს მალიმალ ფეხი უცურდებათ და ტრავმების საშიშროება დიდია; გუნდებს არ აქვთ გასახდელები და შხაპი; თამაშების განრიგი პირობითია, რადგან გუნდს შესაძლოა საღამოს უთხრან, ხვალ გაქვთ თამაშიო; შესაძლოა, მსაჯი თამაშზე არ მივიდეს, ან ადრე დაასრულოს; ხუთგუნდა ჩემპიონატში ერთი ბავშვთაა, ერთიც ბალახის ჰოკეისტთა...

ამ საკითხებზე ასოციაციის ხელმძღვანელობასთან საუბრისთვის და ინტერვიუსთვის მზად ვიყავით, თუმცა მათ წერილის გამოგზავნა ამჯობინეს, რომელსაც ყოველგვარი სტილისტური ჩასწორების თუ შემცირების გარეშე გთავაზობთ. და რადგან ცოცხალი საუბარი არ გამოგვივიდა, ჩვენს მოსაზრებებს კომენტარების სახით შემოგთავაზებთ...

# გზა, რომელიც გასავლელია

**ბავშვთა** და ჰოკეისტთა უჭერო თავშესაფარი, თავისი პარამეტრებით ერთადერთია თბილისში, სპორტის სასახლის შემდეგ, სადაც საერთაშორისო თამაშების გამართვაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია გავექცეთ იმ რეალობას, რომელშიც გვიწევს მოღვაწეობა, გამოსავლის ძიება კი, ჩვენი ერთობლივი ძალებითაა შესაძლებელი. ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, როგორშიც ცხოვრობს ქვეყანა.

მინი-ფეხბურთის, ფუტსალის ასოციაციის მოკლე ბიოგრაფიული აღსარება ახლობელ ადრესატს, რომელსაც შეიძლება ჩვენგან პასუხი არც ეკუთვნის იმ არაკორექტულობის გამო, რომელიც წინამდებარე წერილშია განცხადებული (იხ. 15-21 დეკემბრის გამოშვება). წერილის დაწერის დრო, მისი ნამდვილი დანიშნულება და კითხვა — რატომ ტარდება ჩემპიონატი, ცდება ერთი ტურისა თუ კონკრეტული თამაშის მნიშვნელობას...

ყველას, თუკი ვინმეს 1992 წლის შემდეგ, ანუ ასოციაციის დაარსების შემდგომ, რაიმე ხელშესახები წარმატება მოუტანია ქართული ფუტსალისთვის, მისთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ სასპარეზო ბაზას მხოლოდ „ქარიშხალა“ წარმოადგენდა. საკვირველია, რომ დარბაზი, რომელიც 17 წელია, აღარ გამთბარა, წელს რატომ მოეჩვენათ ასეთი ცივი?! ამ ცივ დარბაზში მოვუგეთ ფრანგებსა და ინგლისელებს, რომელთა წლიური ბიუჯეტი 12 000 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს... ამ დარბაზშივე მოვარჯიშე ფუტსალის ახალგაზრდულმა ნაკრებმა წელს ბულგარელი თანატოლებიც დაამარცხა, ხოლო უკრაინის ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, ამხანაგური გასვლითი შეხვედრა 2:5 დათმო. კარგია ქალაქში ჩატარებული მოყვარულთა ტურნირების ტენდენცია, ჩვენც ბევრი ასეთი ტურნირის ორგანიზებაში მიგვიღია უანგაროდ მონაწილეობა, მაგრამ ეს ტურნირები ასაკისა და სპეციფიკის გამო ვერაფრით წინ ვერ წასწევს პროფესიონალური ფეხბურთის საქმეს. მისასალმებელია „იბერია 2003“-ის არსებობა, მაგრამ ასეთი დონის 8-10 კლუბია საჭირო იმისთვის, რომ ნაკრებმა ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ მოვითხოვდით და მოვითხოვთ უმაღლესი ლიგის გუნდების ჩართვას საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ჩემპიონატში. ცნობისათვის, ესპანეთში 4 მილიონი კაცი თამაშობს ფუტსალს, აქედან რამდენიმე ათეულათასი პროფესიონალურ ან ნახევარპროფესიონალურ დონეზე. 1998 წელს იტალიაში 20 000 პროფესიონალი ფუტსალის ფეხბურთელი ირიცხებოდა. ბრაზილიაში ფუტსალის სპორტი სავალდებულო საზეობაა სკოლის მოსწავლეთათვის, რასაც სახელმწიფო ყველა დონეზე თავად უწყობს ხელს. თუ ვინმეს გულისტკივილი უნდა გამოეხატა სპორტის ამ სახეობის მიმართ, ეს მაშინ უნდა გაეკეთებინა, როცა ფაქტობრივად ერთადერთი ბაზა და სასპარეზო ადგილის, ანუ „ქარიშხალას“ არსებობა დადგა ეჭვქვეშ.

იქნებ ბევრს გულიც დასწყდა იმის გამო, რომ კეთილი ურთიერთობების წყალობით, ნაწილობრივ მაინც ვახერხებთ ამ ნადიდგორალი ბაზის ქართული ფეხბურთის ინტერესებისთვის გამოყენებას, იქამდე სანამ მრავალჯერ შეპირებული რაიმე სანაცვლო მაინც გამოჩნდება, თუნდაც შორეულ მომავალში.

„მცხეთა“ ახალგაზრდა გუნდია, მაგრამ სწორედ ახალგაზრდამ უნდა ისწავლოს ძლიერთან თამაში. იქნებ „მცხეთას“, იმიტომ, რომ ის ჩვენი ხელშეწყობით მონაწილეობს ეროვნულ ჩემპიონატში და არა რიგით რომელიმე ტურნირში, ვინმემ მაინც მიაქციოს ელემენტარული ყურადღება. ისე კი, ცნობისთვის, გულწრფელად ვაღიარებთ, რომ თუ ჩვენს ჩემპიონატში თამაშობდა 8-10 ან 18 გუნდი, ნახევარს ყოველთვის თითქმის უფასოდ ვაძლევდით ასპარეზობის უფლებას, ამასთან აქვე გეტყვით იმასაც, რომ გაისად შესაძლოა გაცილებით მეტი გუნდი ვიხილოთ ფუტსალის ეროვნულ ჩემპიონატში. ამის თქმის საბაბს ის მოლაპარაკებები იძლევა, რომლებიც წელს მიმდინარეობს ასოციაციასა და გარკვეულ ორგანიზაციებს შორის. მე-15 წელია, ასოციაციის თანამშრომლები ფაქტობრივად უხელფასოდ ვმოღვაწეობთ. რაც შეეხება ბრაზილიელს, რომელსაც ფეხი უტკენია წვიმიანი და ქარიანი „ქარიშხალას“ ღარიბულ, ოღონდ ტაბლოიან დარბაზში, იქვე ფეხნატკენ და გულნატკენ ქართველებსაც შევახსენებდი მავანთ, რომლებიც 2003 წლიდან მოყოლებული სისტემატიურად აგებენ ჩემპიონის ტიტულისთვის გამართულ უთანასწორო ბრძოლას ბრაზილიელებთან, რაშიც ალბათ ასოციაციაც დამნაშავეა, რადგანაც ასოციაციამ დიდი მონდომებითა და ოპონენტებთან დავის შედეგად, ჩემპიონი გუნდის მაქსიმალური გაძლიერების მიზნით, კლუბ „იბერია 2003“-ს ჩამოყვანილ უცხოელებზე ლიმიტი არ დაუწესა, თუმცა ლიგის ძირითად ბადეში მოსახვედრად არც ეს ტენდენცია აღმოჩნდა საკმარისი... ფუტსალის ნაკრები კი ისევ ჩვენი უხელფასო და სპორად ბოლომდე შეუმოსავი ქართველების თავდადების იმედზეა. თუ ვინმეს ამ საკითხში დახმარება სურს, მათთვის ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა.

წინა წლებში იყო ბათუმის კარგი გუნდი „მარდი“ — ვეღარ ჩამოდიან, რადგან დაიშალნენ, იყო ჭიათურა, იყო ზესტაფონის „ორნატი“ — დაიშალა, იყო გორი, რომელიც წელს ვერ ჩამოვიდა, იყვნენ თბილისის „ქორები“, იყო ბაღდათის „ბასი“ — საქართველოს შიდგზის ჩემპიონი „იბერია 2003“-მდე. კიდევ ბევრი კარგი გუნდი გაახსენდება, სწორედ იმ გუნდებიდან წამოვიდნენ ჩვენი სახელოვანი მოსკოველი, უკრაინელი, კვიპროსელი თუ ბაქოელი ლეგიონერები. „ქარიშხალა“ კი ძველი, დაჟანგებული გემივით იდგა და დგას ამ დროთა დინებაში. ახლა კი რა ჩვენი ბრალია, თუ რომელიღაც ქუთაისელი ფეხბურთელი ადრე ჰოკეის ან წყალბურთს თამაშობდა, დღეს კი ფუტსალში ცდილობს ასპარეზობას. არც ის უნდა იყოს საინტერესო, თუ ამხანაგურ თამაშში ვინ იმსაჯა, ან ის, რომ ერთი წუთით ადრე დამთავრებულა თამაში, სადაც „მცხეთა“ 17:0 აგებდა „იბერია 2003“-თან. რაც შეეხება თამაშების განრიგს, გუნდის მოთხოვნის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ასევე ნაკრებების ინტერესებიდან გამომდინარე თამაშების გადატანა არ წარმოადგენს რაიმე გადაცდომას. ჩვენც გვინახავს უცხოეთში გამართული საერთაშორისო ტურნირები, სადაც ტაიმებს შორის თანამედროვე ჯაზური მელოდიაა ჩართული და მოცეკვავე გოგონებიც ლამაზად აფორმებენ საფეხბურთო სანახაობას, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ფუტსალის ერთადერთი დარბაზია და უსახსრობის გამო ჩემპიონატიც ძლივს ტარდება, ამ სიამოვნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

შარშან მსოფლიო რეიტინგით მე-40 ადგილზე ვიმყოფებოდით, რაც არცთუ დაბალი მაჩვენებელია ჩვენს პირობებში მყოფი ასოციაციისთვის, მაშინ, როდესაც წინსვლის პოტენციაც ბოლომდე არ არის ამოწურული. არც ჩვენი ბოლოდროინდელი ურთიერთობები არ იმსახურებს უყურადღებობას პორტუგალიურ ფუტსალთან.

საქართველოს ფუტსალის ასოციაცია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და თავისი განვითარების მიმართულებებსაც თავად განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე. „ქარიშხალას“ არსებობა დღეს, ზუსტად ისეთივე მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის, როგორიც კიროვის ბალის არსებობა იყო 80-იან წლებში.

გთხოვთ, წერილის სრულად და შეუცვლელად გამოქვეყნებას.

*პატივისცემით და კეთილი სურვილებით, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის სამდივნო*

## სარბიელის კომენტარები

1. „ქარიშხალა“ რომ არ თბება, ამ 17 წელიწადში პირველად არ გაგვხსენებია და ასეც რომ იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება.
2. მხოლოდ 2:5 წავაგეთო, ვფიქრობთ, საამაყო არ უნდა იყოს.
3. სხვა ტურნირებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის ამგვარ პირობებში ჩატარება ნამდვილად ვერ წასწევს პროფესიულ ფუტსალს.
4. როდესაც „ქარიშხალას“ არსებობა ეჭვქვეშ დადგა, ამის თაობაზე „სარბიელს“ ეწერა.
5. შორეულ მომავალში რაიმეს გამოჩენის იმედი ვერაფრით გვანუგეშებს.
6. ახალგაზრდამ ძლიერთან კი უნდა ისწავლოს, მაგრამ ბავშვთა გუნდის კატასტროფული ანგარიშებით წაგებები, გვეეჭვება, ან სასწავლებლად გამოდგებოდეს ან ჩემპიონატს მატებდეს სოლიდურობას.
7. იქნებ მართლაც მიაქციოს ვინმემ ყურადღება „მცხეთას“, ოღონდ სანამ ჩემპიონატს სოლიდურობისა არაფერი სცხია, ეს შეუძლებელი იქნება.
8. ის, რომ მე-15 წელია, უხელფასოდ მუშაობენ, ფუტსალის სიყვარულზე კი მიგვანიშნებს, მაგრამ საქმისთვის საჭირო სახსრების შოვნის უუნარობაზეც მეტყველებს. მარტო სიყვარულით კი არაფერი გამოვა.
9. რა თქმა უნდა, ფეხნატკენ ქართველებზეც შეგვტკივა გული.
10. ის, რომ ასოციაცია კლუბს ლეგიონერების ყოლის უფლებას აძლევს, ძალიან კარგია. გაუგებარი ის არის, რატომ იდანაშაულებს ასოციაცია ამისთვის თავს.
11. ჩვენც მანდ ვართ: წლიდან წლამდე გუნდების რაოდენობა კლებულობს.
12. ჰოკეისტი და წყალბურთელი ფუტსალში რომ ცდილობს გადასვლას, ასოციაციის ბრალი არ არის. იმ ჰოკეისტის და წყალბურთელის ამგვარ სურვილსაც წახალისება სჭირდება, მაგრამ ჩვენ, მგონი, პროფესიული ფეხბურთის განვითარებასა და საქართველოს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებაზე ვლაპარაკობთ.
13. კონკრეტულად რომელი მსაჯი რომელ კონკრეტულ მატჩს მოემსახურა, ამაზე ჩვენ არაფერი გვეწერა. ჩვენ ვთქვით, რომ მსაჯები ჩემპიონატის მატჩებზე ხან მიდიან, ხან არა. ეს კი სერიოზული დანაშაულია, რომელზეც სადისციპლინო კომიტეტმა უნდა იმსჯელოს, მაგრამ არ მსჯელობს. მოდი, ამას მაინც ნუ დავაბრალებთ უსახსრობას.
14. მსაჯი თამაშს ადრე რომ ამთავრებს, არათუ საინტერესო, საგანგაშოა. ეს ნიშნავს, რომ მსაჯებიც და ასოციაციაც თამაშის წესებს უგულვებელყოფენ. სახსრები აქაც არაფერ შუაშია.
15. თამაშების გადატანა როგორ არ ხდება, ოღონდ ამას თავისი პროცედურა აქვს და გუნდი წინა საღამოს არ უნდა იტყობდეს, მატჩის გადატანის ან დანიშვნის შესახებ.
16. ასოციაციას ვეთანხმებით: ჩემპიონატი მართლაც ძლივს ტარდება.
17. კიროვის ბალის არსებობის მნიშვნელობაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

SBM GEORGIA

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

LG

# არდადეგებამდე

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგაში შაბათ-კვირის მატჩების შემდეგ საახალწლო შესვენება გამოცხადდა. პირველი ეტაპის დარჩენილი სამი ტური და გადადებული მატჩები იანვარში ჩატარდება.

ერთი რამ კი ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: ორივე ჯგუფში ისეთი დაძაბულობაა, დანამდვილებით ჩანს, რომ ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან სუპერლიგაში ხუთ-ხუთი საუკეთესო გუნდი გადის და ეს უფლება სამი ტურით ადრე B-ჯგუფელებს, ჭავჭავაძის უნივერსიტეტისა და იბერია ბიზნეს-ჯგუფის გუნდებს აქვთ მოპოვებული.

A ჯგუფში უფრო დაძაბული ვითარებაა და სუპერლიგაში აღზევებაზე ერთბაშად 7 გუნდი აცხადებს პრეტენზიას.

### A ჯგუფი

VI ტური

სპ. დეპარტამენტი 1:1 სარბიელი
ოლ. ვარსკვლავი 2:0 იუ ჯი თი
პეპსი 2:2 სპორტმედია
ვისოლი 5:0 რომპეტროლი
სამგორი 94 — მს პალიტრა
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისოლი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 13 |
| პეპსი | 6 | 3 | 2 | 1 | 16:9 | 11 |
| დეპარტამენტი | 4 | 3 | 1 | 0 | 16:3 | 10 |
| სპორტმედია | 6 | 3 | 1 | 2 | 20:12 | 10 |
| სარბიელი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| პალიტრა | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| ოლ. ვარსკვლავი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| იუ ჯი თი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:14 | 3 |
| რომპეტროლი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:20 | 1 |
| სამგორი 94 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:21 | 0 |

### B ჯგუფი

VI ტური

შერატონი 2:2 პატრული
კორ სტანდარტბანკი 4:0 BP
ნიკორა 6:3 AMTS-JAMC
სეუ 13:4 საჯ. რეესტრი
იბერია ბ/ჯ 5:3 ალგორითმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 6 | 5 | 1 | 0 | 38:12 | 16 |
| იბერია | 6 | 5 | 0 | 1 | 25:13 | 15 |
| ნიკორა | 6 | 3 | 2 | 1 | 18:15 | 11 |
| სტანდარტბანკი | 6 | 3 | 1 | 2 | 22:18 | 10 |
| შერატონი | 6 | 2 | 3 | 1 | 14:10 | 9 |
| ალგორითმი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:11 | 7 |
| პატრული | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | 7 |
| საჯ. რეესტრი | 6 | 1 | 3 | 2 | 17:26 | 6 |
| AMTS-JAMC | 6 | 1 | 0 | 5 | 8:24 | 3 |
| BP | 6 | 0 | 0 | 6 | 7:27 | 0 |

# კოჭლიც რომ ვიყო, მაინც ვითამაშებ!

## მეგობრები და პირფერები რატის ცხოვრებაში




ჭირ-ვარამი ბევრს ასწავლის ადამიანს, გამოცდილებას მატებს და უსიამო ხლართებს აჩვენებს. ზოგი კაცი ისე ბერდება, ავ-კარგს მაინც ვერ არჩევს, ზოგი კი სიჭაბუკეშიც ხვდება ნამდვილი მეგობრობის ფასს.
ეს ყველაფერი ცხოვრებას მოაქვს — არსებობენ „მეგობრები" ლხინში და არსებობენ მეგობრები ჭირსა და ლხინში, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, „სუფრაზე მეგობრობას" კვლავაც დიდი გასავალი აქვს...
ეს, რაც მოვაყოლეთ, უკვე გამოსცადა 20 წლის **რატი წინამძღვრიშვილმა**, ვისაც ახლა ძალიან უჭირს — უიღბლო, არაფრისგან მიღებულმა ტრავმებმა ბოლო წელიწადნახევარი თითქმის მთლიანად გაუცდინა, უსაყვარლეს საქმეს ჩამოაშორა, ისეთ დღეში ჩააგდო, ტელევიზორშიც კი ველარ უყურებს ფეხბურთს.
არადა, რა დაწყება ჰქონდა... 17 წლის წინამძღვრიშვილი საქართველოს ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლებოდა, იტალიურ ლინიანოში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიადა მოიგო საქართველოს ნაკრებთან ერთად და ტურნირის ბომბარდირიც გახდა, ზორბა სეზონები ჩაატარა „ამერში" — კლუბში, სადაც გაიზარდა და სადაც ყველაფერი მიიღო.
რატის რომ ვკითხე, რას ნიშნავს შენთვის „ამერიო", გაოცებულმა შემომხედა, თითქოს, ამას როგორ მეკითხებიო. ასე მიპასუხა — ყველაფერი!
ის ახლა უკვე „ზესტფონის" ფეხბურთელია.
რა და როგორ მოხდა, რომ იმერულმა კლუბმა ტრავმირებული ბიჭი აიყვანა, ამასაც გაიგებთ და ბევრ სხვასაც...

— ძალიან გავწვალდი. წელიწადის განმავლობაში ორჯერ ერთი და იგივე ტრავმა, თანაც მეორედ მაშინ, როცა თამაში ახალი დაწყებული მქონდა...

**— ყველაფერი შარშან ზაფხულში, ჩეხეთში, „ლიბერეცთან" მატჩისას დაიწყო, როცა ფეხი უხერხულად დადგი მინდორზე...**

— დიახ. მეტოქესთან კონტაქტი არც ყოფილა, მივრბოდი და მაგ დროს ფეხი რომ დავდგი, ისეთი ტკივილი ვიგრძენი, ლამის გონება დავკარგე. ოპერაცია გამიკეთეს, დიდი ხნის შემდეგ დავიწყე თამაში და წლეულს სექტემბერში რუსეთთან მატჩის შემდეგ თბილისში რომ ჩამოვედი, პირველივე ვარჯიშზე გამიმეორა — ზუსტად იგივე სახის ტრავმა მივიღე, მყესები ჩამიწყდა.

**— ზედმეტი დატვირთვების ბრალი ხომ არ იყო?**

— არ ვიცი, რუსეთთან თამაშს ვერ დავაბრალებ. კი, მაშინ ძალიან დავიღალე, ორი ტაიმი ვირბინე და ბევრიც მომხვდა ფეხებში, მაგრამ... ბედის ამბავია, სხვა არაფერი. 19 წლამდე ტრავმა საერთოდ არ მქონია, მაგრამ მერე დაიწყო და აღარ დამთავრდა...

**— ისე, გვახსოვს, რუსეთთან თამაშის წინა დღეებში ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე პეტარ სეგრტი დიდად არ გტვირთავდა, უეცრად კი ძირითადში დაგაყენა და შეუცვლელად გათამაშა. უცნაურია...**

— მეც გამიკვირდა. ცხადია, რუსეთთან თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ არ ველოდი, ძირითადში თუ დამაყენებდა. ხუთი თავდამსხმელი უთამაშებელი დატოვა, მე კი მენდო. არადა, ოპტიმალურ ფორმაში არ ვიყავი.

**— ახლა ოპერაცია გჭირდება. როდის იკეთებ და სად?**

— 21 დეკემბერს მივფრინავ ბრიუსელში, იქ გამიკეთებენ 24-ში. ახალი წლის წინა დღეებში ჩამოვალ. ღმერთმა ქნას, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

**— საუკეთესო შემთხვევაში, რამდენ ხანში დაიწყებ ვარჯიშს?**

— ზაფხულის დასაწყისში. აგვისტოში კი უკვე შემეძლება თამაში.

**— ალბათ, ისიც გიფიქრია, მოდი, შევეშვები ფეხბურთსო...**

— მიფიქრია, მაგრამ იცით, რა არის?! ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია, ამის გარეშე ცხოვრების შანსი არ მაქვს. თუ რამე ვიცი ამ ცხოვრებაში, ეს ფეხბურთია და კოჭლიც რომ ვიყო, მაინც ვითამაშებ!

**— ისე, გასამხნევებლად: წლეულს გაზაფხულზე ლონდონის „არსენალის" ხორვატი ფორვარდი, ედუარდო ისე საშინლად დაამტვრიეს, ეგონათ, ფეხბურთს საერთოდ ვერ ითამაშებდა, თუმც სულ ახლახან დაბრუნდა მინდორზე. ასევე იყო შვედი ჰენრიკ ლარსონიც...**

— ღმერთის წყალობით, ყურების ჩამოყრა არ მჩვევია. იცით, რა განწყობაზე ვარ? რომ დავბრუნდები, ძალიან, ძალიან მაგრად უნდა ვითამაშო.

**— ფეხბურთელებისგან თანადგომას თუ გრძნობ? ხშირად გეხმიანებიან?**

— არა.

— ...

— ასეა. რამდენიმე მეგობრის გარდა, ყველამ დამივიწყა. სხვანაირ ყურადღებას ველოდი. ფეხი თუ გადაგიბრუნდა, აღარავის ახსოვხარ. როცა ვთამაშობდი, ყველა თავზე მეხვეოდა, ძმობას მეფიცებოდნენ...

**— ზოგი ჭირი მარგებელიაო — ის მაინც შეიტყვე, ვინაა შენი მეგობარი და ვინ არა...**

— ზუსტად. სიმართლე ვთქვა, არც მწყინს.

**— სტადიონზე დადიხარ ხოლმე ფეხბურთის საყურებლად?**

— ხანდახან, ისიც „ამერის" თამაშებზე. არ შემიძლია ყურება, სხვები რომ თამაშობენ და მე ვიტანჯები...

**— არც ტელევიზორში უყურებ?**

— ჩემპიონთა ლიგას ვუყურებ ხოლმე. სადაც ვიცი, რომ მეც უნდა ვთამაშობდე და ვერ ვთამაშობ, იმ მატჩებს ვერ ვუყურებ.

**— „ზესტაფონში" შენი გადასვლა მოულოდნელია. როგორ მოხდა, რომ ტრავმირებული აგიყვანეს?**

— „ამერში" ფინანსური კრიზისია, „ამერის" და „ზესტაფონის" პრეზიდენტებს, ზურაბ ფოცხვერიასა და ილია კოკაიას კარგი ურთიერთობა აქვთ და მათი შეთანხმებით მოხდა „ზესტაფონში" ჩემი გადასვლა.

**— „ზესტაფონში" ბევრი შენი თანატოლი თამაშობს, რომლებსაც კარგად იცნობ...**

— დიახ, უცხო გარემოში ნამდვილად არ მივდივარ. ზოგიერთ მათგანთან ვმეგობრობ კიდეც.

**— მწვრთნელ გია გეგუჩაძეს იცნობ?**

— ჯერ არა.

**— ისე, „ზესტაფონში" ადრეც გადადიოდი — სამი წლის წინ...**

— მაშინ თავში მქონდა ავარდნილი. პატარა ვიყავი, ჭკუა მერე ვისწავლე.

**— უფრო კონკრეტულად?**

— „ზესტაფონი" მეპატიჟებოდა, მაგრამ ვერ მოვრიგდით. მერე მივხვდი, რომ „ამერი" არ იმსახურებდა ჩემგან ასეთ მოქცევს, ანუ ასე წასვლას. ყველაფერზე ვბუზღუნებდი და ერთხელ „ამერის" მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ სათადარიგოებში რომ დამსვა, ავჯანყდი. დამსაჯეს და ჭკუა ვისწავლე.

**— ტელეპროექტ „ჯეობარში" რომ განახეს სიგარეტით ხელში, ის ისტორიაც გაიხსენე...**

— ამაზე უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, რა ვიცი, კიდევ ღირს გახსენება? მართლა თავში მქონდა ავარდნილი, უკვე დიდი ფეხბურთელი მეგონა თავი...

**— ვარჯიშებს აცდენდი ხოლმე?**

— არა, ვარჯიში უმიზეზოდ ცხოვრებაში არ გამიცდენია. ღამის ცხოვრება მიყვარდა, მაგ დროს ვერთობოდი ხოლმე. ეგ იყო და ეგ... საერთოდ, რადგან „ჯეობარი" გახმაურდა, მერე ისეთებს ყვებოდნენ ჩემზე, ფანტაზია არ უნდოდა?.. რუსეთთან ახალგაზრდული ნაკრების მატჩის მერეც კი სერიოზულად მკითხეს, მინსკში მართლა დაგიჭირა მილიციამო?

**— რუსეთთან 0:4 წაგებაზე ცალკე ვთქვათ. რატომ მოხდა, რომ ასეთი უსუსურები იყავით?**

— შესაძლოა, ზედმეტმა მონდომებამ უკუღმა შემოგვიტრიალა ყველაფერი. სეგრტმა კარგად განგვაწყო თამაშისთვის, მაგრამ პირველი გოლის მერე ავირიეთ.

**— მართალია, რომ მატჩამდე მინსკის სასტუმროში არ გასვენებდნენ და წინა დღეს ასფალტზე ივარჯიშეთ?**

— სასტუმროში არავის შევუწუხებივართ. ეგ იყო, რუსი ჟურნალისტები მოვიდნენ თამაშის დაწყებამდე 2-3 საათით ადრე, მაგრამ ინტერვიუები არ მივეცით — სეგრტმა, მატჩამდე არ ილაპარაკოთო. ასფალტზე კი ნამდვილად ვირბინეთ.

**— რატომ? მოედანი არ გამოგიყვეს?**

— არ ვიცი... ეგ მწვრთნელებმა იციან. ჩვენ რასაც გვეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდით. ფაქტია, კარგად ვერ მოვემზადეთ.

**— თამაშის დროს რუს ფეხბურთელებს სიტყვებით ხშირად „ებრძოდით"?**

— დიახ, არც ისინი გვაკლებდნენ და არც ჩვენ. გინება იმათ მეტი მოხვდათ. ნეტავ, თამაშშიც გვეჯობნა. მეორე ტაიმში ჩხუბი რომ ატყდა, ხელი გავარტყი რუსს და მსაჯმაც დამინახა. წითელი ბარათი გარანტირებულია-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მსაჯმა არ დაძაბა სიტუაცია და გადავრჩი. გასახდელში აღარაფერი მომხდარა, თუმც ცხადია, რუსებისთვის მოგება არ მიგვილოცია...

**— ბოლო წუთებში ძლივსღა დადიოდი მინდორზე...**

— ძალიან დავიღალე. წარმოიდგინეთ, სეგრტმა წინ ორი თავდამსხმელი დაგვაყენა და ჩვენ ორს ოთხი მცველის წინააღმდეგ გაუთავებელი პრესინგი უნდა გვეთამაშა. სადაც ბურთი წავიდოდა, იქით უნდა გავქცეულიყავით. ტყუილად ვირბინეთ — ბაგა-ბაღის ბავშვები ხომ არ იყვნენ რუსები, მოკლე პასები შეშლოდათ.

**— შეგიძლია, გამოჰყო ერთი თანაგუნდელი, რომელთანაც ყველაზე კარგად ხარ შეთამაშებული?**

— გამიჭირდება. როგორ გითხრათ, არ მახსენდება...

**— რომელ უცხოურ ნაკრებს და კლუბს ქომაგობ?**

— გამორჩეულად არავის გულშემატკივარი არ ვყოფილვარ, ადრიანო მომწონს და მის გამო „ინტერს" ვქომაგობ ხოლმე.

**— ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა გაღიზიანებს?**

— პირფერობა და მედროვეობა. „ვიგოდნიკებს" ვერ ვიტან. ვატყობ, რომ ადამიანების გარჩევა ვისწავლე.

**— ახალ წელს სად შეხვდები, რა წრეში?**

— სამწუხაროდ, ყავარჯნებით შევხვდები, მაგრამ ძალიან მიყვარს ახალი წელი და მაინც მოვილხენ. ალკოჰოლის მიღება საერთოდ არ შეიძლება, ნაოპერაციევი ვიქნები და... მეგობრების წრეში აღვნიშნავ ახალ წელს.

**ილია ნანობაშვილი**



თბილისში ბევრი საფეხბურთო სკოლაა, თუმცა რამდენი მიდის სწორი გზით, საკითხავია. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია შეძლებისდაგვარად აკონტროლებს სკოლებს, თუმც პრობლემები ჯერაც მრავლადაა... ჩვენც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ნიკა დოლიძეს ვესაუბრეთ და ბევრ საინტერესო ამბავზე დავკითხეთ...



# გადაზრდილი? დავიჭირეთ და კიდევ დავიჭერთ!

## ნიკა დოლიძე: ვთქვათ ღიად, რაც სათქმელია

— ელიტლიგის პირველი ეტაპი შეიძლება, დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს — დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწება.

— ელიტლიგაში მხოლოდ ლიცენზიაგავლილი სკოლები იღებენ მონაწილეობას?

— დანარჩენი სკოლები სხვადასხვა ჩემპიონატში მონაწილეობენ და მათაც ვეხმარებით, მაგრამ თუ პირობებს არ გააუმჯობესებენ, ლიცენზიის აღება გაუჭირდებათ. სკოლას მხოლოდ კომერცია არ უნდა აინტერესებდეს, ბავშვების ნორმალურ აღზრდაზე უნდა იფიქროს. მომავალში ლიცენზირება უფრო გამკაცრდება. სადღეისოდ, 13-მა სკოლამ აიღო C ლიცენზია, შემდეგ B და A კატეგორიაც იქნება.

— ამ სკოლებში რამდენად აკონტროლებთ მწვრთნელების ლიცენზირებას?

— მომავალი წლიდან ელიტლიგაში მოთამაშე გუნდის ყველა მწვრთნელს ლიცენზია უნდა გააჩნდეს, ისე არ ვამუშავებთ.

— დიდი ხანია, საქართველოში გადაზრდილთა პრობლემა დგას. ამას როგორ ებრძვით?

— თუ არის ეჭვი, წერილობით მივმართავთ სახელმწიფო არქივს და ასე ვადგენთ მათ წლოვანებას.

— ერთი შემთხვევა მაინც თუ გამოავლინეთ?

— ერთზე დავადგინეთ, რომ გადაზრდილი იყო და მის მწვრთნელთან გვქონდა მკაცრი საუბარი — მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში უმკაცრესად დაისჯებიან. ახლა იმიტომ არ დავსაჯეთ, რომ თავად მწვრთნელსაც არ სცოდნია.

— ელიტლიგაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯები მსაჯობენ, რაც სიახლეა...

— ადრე ბავშვთა ჩემპიონატს ერთი კაცი სჯიდა, ახლა კი, როგორც წესია, ისე ხდება. ფიფას მსაჯები სჯიან მატჩებს და არცერთ შეხვედრაში არ მომხდარა აყალმაყალი. გასულ წლებთან შედარებით 100 პროცენტით გავუზარდეთ ანაზღაურება. ასევე უფასოდ გადავეცით „სალერის" ეკიპირება.

— „სალერი" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორია...

— „სალერი" ყველა პროექტის განხორციელებაში გვეხმარება. ელიტლიგის გუნდებს „სალერი" ბევრ სიურპრიზს ჰპირდება. არის ასეთი შემოთავაზება, რომ თუ ყველა გუნდი ჩაიცმევს „სალერის" პროდუქციას, გათამაშების გამარჯვებულებს გერმანიაში წაიყვანენ შეკრებაზე.

— „სალერთან" როდემდე გაქვთ ხელშეკრულება?

— 2009 წლის ბოლომდე.

— ცოტა ხნის წინ ბავშვთა ფესტივალი ჩატარდა, სადაც 1000-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა...

— ასეთი ფესტივალების ჩატარება აუცილებელია, უამრავმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა და ეს დღეები მათთვის ზეიმი იყო. ამ პროექტის ორგანიზებაში ბევრი დაგვეხმარა და მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას. ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის მერიის სპორტის სამსახური, რომლის ხელმძღვანელმა ზაზა დოლიძემ 10 000 ლარი ჩაგვირიცხა. ახლა ელიტლიგაში საუკეთესოებს ვავლენთ და ამ პროექტშიც მონაწილეობს მერია. საუკეთესო სკოლას 3000 ლარი და გარდამავალი თასი გადაეცემა, საუკეთესო გუნდს „სალერის" სრული ეკიპირება, საუკეთესო მწვრთნელს კი 1500 ლარი, რაც, ვფიქრობ, ამ ხალხს მომავალში მოტივაციას გაუზრდის. დაჯილდოვების ცერემონიალი 29 დეკემბერს „მიხეილ მესხზე" იქნება.

— მომავალში რა პროექტები გაქვთ დაგეგმილი?

— სულ 15 პროექტია. ორჯერ ჩატარდება ფესტივალი, ერთი იქნება საერთაშორისო, რომელსაც „ფოლკსვაგენის" გერმანიის ოფისი დააფინანსებს. ფიფაში ვაგზავნით პროგრამას რეგიონებში საყრდენი ცენტრების გახსნის თაობაზე, სადაც ხარჯთაღრიცხვაცაა და ფიფადან სიტყვიერი თანხმობა უკვე არსებობს. ასევე, ფაქტობრივად, შექმნილია თბილისის 14-15-წლამდელთა ნაკრები — მათი მწვრთნელები იქნებიან გოჩა ავსაჯანიშვილი და გუბაზ დოლიძე. ისინი მაისში ნანტში წავლენ და ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. გოგონათა ფესტივალიც ჩატარდება.

— არჩევნების მერე იყო საუბარი, რომ საფეხბურთო სკოლებს 10000 დოლარით დაეხმარებოდით, ამ მხრივ რა ხდება?

— ამ პროექტის განხორციელება დაწყებულია. „ნორჩმა დინამოელმა" წარმოადგინა პროგრამა და ამის მიხედვით გავურემონტეთ სამედიცინო ცენტრი და სამსაჯო ოთახი. სხვა სკოლებიდან ხარჯთაღრიცხვას ველოდებით. სხვათა შორის, ღია ტენდერს ვატარებთ და ვინც საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს, მათ ვარემონტებინებთ.

— სტადიონების მხრივ რა ხდება?

— „ავაზაზე" უკვე დაასრულა გაკეთება, 35-ე სკოლას თებერვალში ექნება თანამედროვე დონის ხელოვნურსაფარიანი მოედანი. გაზაფხულზე „ნორჩ დინამოელზე" გაკეთდება მოედანი, „საბურთალოს" კი სექტემბერში ექნება ახალი სტადიონი.

— როგორ შეაფასებთ ამ დროში ჩატარებულ სამუშაოებს?

— საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც რთული მდგომარეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი პარტნიორი გამოვძებნეთ და კარგი პროექტები განვახორციელეთ. დღევანდელ მსოფლიოში ყველაფერი სწრაფად იცვლება, მათ შორის, ცხადია, პროფესიული მომზადების დონის განმსაზღვრელი მოთხოვნები. პროფესიონალიზმი და კონკურენცია კვალიფიკაციის პერმანენტულ ამაღლებას საჭიროებს. დროა, მოვლენების რეალურად შეფასება ვისწავლოთ. უნდა გადაიჭრას საკადრო პოლიტიკის არსებითი საკითხი და თავი ძველებურად არ უნდა მოვიტყუოთ. ზედმეტ ლოიალობას და უპრინციპულობას თავი უნდა დავანებოთ და ღიად ვთქვათ, რაც სათქმელია.

**ნუკრი ლოლაძე**







## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

ამერი 2 3:0 ზოოვეტი
სპარტაკი 2 5:0 ერთობა
დანარჩენი მატჩები დიდთოვლობის გამო გადაიდო

პირველი წრის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 48:22 | 35 |
| ამერი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 34:11 | 35 |
| დუშეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 35:14 | 35 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 10 | 3 | 3 | 34:18 | 33 |
| გარეჯი | 16 | 9 | 2 | 5 | 26:15 | 29 |
| ჰერეთი 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 36:25 | 25 |
| 35-ე სკოლა | 16 | 7 | 4 | 5 | 28:26 | 25 |
| სამგორი | 16 | 6 | 6 | 4 | 29:24 | 24 |
| ერთობა | 17 | 7 | 2 | 8 | 24:38 | 23 |
| ბორჯომი 2 | 15 | 7 | 1 | 7 | 19:24 | 22 |
| იბსუ | 16 | 7 | 1 | 8 | 29:32 | 22 |
| ლიახვი | 17 | 6 | 4 | 7 | 27:29 | 22 |
| იმედი (რ) | 16 | 5 | 5 | 6 | 19:24 | 20 |
| ალგეთი | 16 | 5 | 2 | 9 | 19:35 | 17 |
| არაგველები | 16 | 4 | 4 | 8 | 17:23 | 16 |
| ზოოვეტი | 17 | 4 | 2 | 11 | 21:35 | 14 |
| ალაზანი | 16 | 3 | 2 | 11 | 11:31 | 11 |
| ნ. დინამო 2 | 16 | 1 | 3 | 12 | 10:40 | 6 |

## აფხაზეთის ღია ჩემპიონატი

### 1991-92-წლიანები

აკადემია 1 3:2 35-ე სკოლა 2
35-ე სკოლა 1 5:3 ნ. დინამო 1
35-ე სკოლა 3 1:2 იმედი
ფორვარდი 3:3 ვეფხვები
იმედი 91 0:3 აკადემია 2
სოხუმი 2:0 ალგეთი
განთიადი 91 3:0 ამირანი 2
იმედი 92 2:1 მიმინო 99
ფორვარდი 1:4 ნ. დინამო 2

პირველი წრის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა 1 | 14 | 13 | 1 | 0 | 48:15 | 40 |
| იმედი (რ) | 13 | 11 | 2 | 0 | 35:8 | 35 |
| აკადემია 2 | 13 | 9 | 2 | 2 | 36:14 | 29 |
| 35-ე სკოლა 3 | 14 | 8 | 2 | 4 | 39:29 | 26 |
| აკადემია 1 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:15 | 21 |
| იმედი 92 (რ) | 13 | 6 | 2 | 5 | 23:18 | 20 |
| იმედი 91 (რ) | 13 | 5 | 4 | 4 | 33:31 | 19 |
| ნ. დინამო 1 | 13 | 5 | 3 | 5 | 28:25 | 18 |
| განთიადი 91 | 13 | 5 | 1 | 7 | 26:28 | 16 |
| მიმინო 99 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:18 | 16 |
| ნ. დინამო 2 | 14 | 4 | 2 | 8 | 18:25 | 14 |
| ალგეთი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:28 | 14 |
| სოხუმი | 13 | 4 | 2 | 7 | 19:26 | 14 |
| ამირანი 2 | 13 | 4 | 1 | 8 | 21:37 | 13 |
| ვეფხვები | 13 | 2 | 4 | 7 | 17:31 | 10 |
| 35-ე სკოლა 2 | 13 | 3 | 0 | 10 | 14:34 | 9 |
| ფორვარდი | 14 | 1 | 3 | 10 | 21:49 | 6 |
| დუშეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მრავალმხრივი დარღვევების გამო გათამაშებიდან მოიხსნა „დუშეთი" და მის მიერ ჩატარებული მატჩები გაუქმდა*

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33:9 | 38 |
| ამერი | 16 | 11 | 3 | 2 | 28:7 | 36 |
| დინამო 2 | 16 | 8 | 6 | 2 | 25:12 | 30 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25:6 | 29 |
| დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21:12 | 23 |
| თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25:26 | 18 |
| სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21:38 | 18 |
| გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26:37 | 17 |
| კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8:25 | 10 |
| ნორჩი დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16:30 | 8 |
| ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11:37 | 7 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991-92-წლიანები

ბორჯომი 2:3 გაგრა
მგლები 3:1 სპარტაკი
სიონი 4:1 მესხეთი
ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი
დინამო 6:0 ოლიმპი
ნაკრები U16 0:1 ზესტაფონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 1 | 2 | 52:14 | 37 |
| გაგრა | 15 | 12 | 0 | 3 | 49:25 | 36 |
| ზესტაფონი | 15 | 10 | 0 | 5 | 10:17 | 30 |
| მგლები | 15 | 9 | 2 | 4 | 37:25 | 29 |
| ნაკრები U16 | 15 | 8 | 1 | 6 | 46:25 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 1 | 6 | 19:14 | 25 |
| სპარტაკი | 15 | 6 | 4 | 5 | 28:19 | 22 |
| სიონი | 15 | 5 | 1 | 9 | 20:40 | 16 |
| ოლიმპი | 15 | 4 | 3 | 8 | 36:41 | 15 |
| ლოკომოტივი | 15 | 4 | 1 | 10 | 17:41 | 15 |
| ბორჯომი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:39 | 12 |
| მესხეთი | 15 | 0 | 1 | 14 | 11:74 | 1 |

### 1993-94-წლიანები

გაგრა 3:0 ბორჯომი
სპარტაკი 0:2 მგლები
მესხეთი 2:0 სიონი
ლოკომოტივი 0:2 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 0:4 დინამო
ამერი 4:1 ზესტაფონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 14 | 1 | 0 | 53:1 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 29:14 | 33 |
| ამერი | 15 | 10 | 2 | 3 | 39:17 | 32 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 2 | 5 | 22:16 | 26 |
| მგლები | 15 | 6 | 4 | 5 | 34:21 | 22 |
| სპარტაკი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:23 | 21 |
| ლოკომოტივი | 15 | 5 | 3 | 7 | 25:17 | 18 |
| გაგრა | 15 | 4 | 5 | 6 | 20:23 | 17 |
| ოლიმპი | 15 | 4 | 4 | 7 | 21:27 | 16 |
| ბორჯომი | 15 | 3 | 5 | 7 | 12:30 | 14 |
| სიონი | 15 | 1 | 2 | 12 | 7:34 | 5 |
| მესხეთი | 15 | 1 | 2 | 12 | 7:64 | 5 |

### 1995-96-წლიანები

გაგრა 0:1 ბორჯომი
სპარტაკი 1:1 მგლები
სიონი 2:0 მესხეთი
ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 4:0 დინამო
ამერი 1:1 ზესტაფონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 15 | 13 | 0 | 2 | 45:6 | 39 |
| გაგრა | 15 | 10 | 1 | 4 | 34:9 | 31 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 31:20 | 27 |
| ოლიმპი | 15 | 8 | 3 | 4 | 25:16 | 27 |
| მგლები | 15 | 7 | 3 | 5 | 25:17 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 2 | 6 | 18:20 | 23 |
| ბორჯომი | 15 | 7 | 1 | 7 | 19:14 | 22 |
| დინამო | 15 | 5 | 6 | 4 | 11:16 | 21 |
| ამერი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:21 | 19 |
| სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 15:35 | 11 |
| სპარტაკი | 15 | 1 | 5 | 9 | 7:29 | 8 |
| მესხეთი | 15 | 0 | 2 | 13 | 1:45 | 2 |

# ჩვენ ვეძებთ სპონსორებს!
# რა სჭირდება სპორტს თურქული წყალივით?

„სარბიელი" ისევ უბრუნდება საქართველოში სათამაშო ბიზნესის პრობლემებს და ამ თემაზე მეორე წერილს გთავაზობთ.

სპორტული გაზეთის ამგვარი ინტერესი სათამაშო ბიზნესისადმი, ვფიქრობთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რაკი, ვთვლით, რომ საქმიანობის ეს სფერო საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული სპორტთან და ხელშეწყობისა და სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში სპორტს სერიოზულ პარტნიორობასაც გაუწევს: ისე, როგორც ეს დანარჩენ ევროპაში ხდება...

**თავიდან** კი ის ვთქვათ, რომ პრობლემა არსებობს და ეს პრობლემა, ჩვენი აზრით, არასწორ დაბეგვრაში გამოიხატება. დეტალებში არ ჩავღრმავდებით და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სათამაშო ბიზნესისთვის ყოველწლიურად გადასახადებისა თუ ლიცენზიის ღირებულების 100, 200, 300 პროცენტით გაზრდა, საქმიანობის ამ სფეროს განვითარებას ხელს ვერაფრით შეუწყობს. შესაძლოა, რაღაც ეტაპზე კანონმდებლებმა გადასახადების გაზრდა საჭიროდ ჩათვალონ, მაგრამ ერთბაშად ამხელა ზრდა, გვეეჭვება, სიკეთის მომტანი იყოს.

გნებავთ, ერთ მარტივ მაგალითს მოვიტანთ: ორი წლის წინ გადაწყდა, რომ ბუქმეიკერებს გადასახადი ოფისებში არსებული ფანჯრების რაოდენობის მიხედვით უნდა გადაეხადათ. არადა, ოფისში ფსონის მიმღები ბევრი ფანჯრის არსებობას ერთადერთი მიზანი აქვს: კლიენტისთვის კომფორტის შექმნა. ფანჯრებზე გადასახადის დაწესებამ კი ასეთი შედეგი გამოიღო: ბუქმეიკერებმა ფანჯრების რაოდენობა შეამცირეს, რამაც თანამშრომელთა ნაწილის უმუშევრად დარჩენა გამოიწვია, კლიენტებს რიგში დგომა უხდებათ, ბიუჯეტმა კი გათვლილი თანხები ვეღარ მიიღო. ერთი სიტყვით, აბსოლუტურად ყველა წაგებული დარჩა...

სპორტისა და სათამაშო ბიზნესის კავშირს მივუბრუნდეთ. მოგეხსენებათ, სპორტი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ფინანსურად მომგებიანი არ არის და დაფინანსების გარეშე ვერ არსებობს.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო სპორტის დაფინანსებას სპონსორებს და სპორტულ ლატარიებს „აკისრებს".

„დაკისრება" კი სპონსორობის მსურველთათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობასა და სპორტული ლატარიებიდან მიღებული მოგების სოლიდური ნაწილის სპორტისთვის მოხმარებას გულისხმობს.

წინა „სარბიელში" ამ თემაზე საუბრისას რამდენიმე მცდარი წარმოდგენა ვახსენეთ და დღეს ერთსაც შევმატებთ: როდესაც გვესმის, რომ საქართველოში ესა და ეს კომპანია ამა და ამ პროექტის თუ კლუბის სპონსორობას კისრულობსო, ტერმინის არევასთან გვაქვს საქმე. რასაც ჩვენ სპონსორობას ვუწოდებთ, არსით ქველმოქმედება ან რეკლამაა, რადგან სპონსორობა სულ სხვა რამაა.

***სპონსორი: იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ღონისძიებას აფინანსებს. კომერციული ღონისძიების დაფინანსებისას სპონსორი შემოსავლის განაწილებაში მონაწილეობს. არაკომერციული ღონისძიებების დაფინანსებისას სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით.***

სპონსორობის ეს განმარტება ეკონომიკური ტერმინების ლექსიკონიდან ამოვიწერეთ და თუ ამ საქმიანობასთან ოდესმე შეხება გქონიათ, დაგვეთანხმებით, რომ სპონსორობის კლასიკურ განმარტებას „ქართულ სპონსორობასთან" საერთო თითქმის არაფერი აქვს.

ამიტომაც არის, რომ საქართველოში არათუ კონკრეტული კლუბები, მთელი სახეობებიც წითელ წიგნშია შესატანი.

ამიტომაც არის, რომ კლუბები და ფედერაციები სანთლით დაეძებენ სპონსორებს და ვერ პოულობენ, მაშინ როცა, სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში, კლუბებსაც და ფედერაციებსაც სპონსორები ასარჩევად ეყოლებოდათ.

და სახელმწიფოს ამით რა? ძალიან ბევრიც. გნებავთ, ჩამოვთვალოთ.

სპორტის ხელშეწყობა განავითარებს ინფრასტრუქტურას, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებითი საშემოსავლო გადასახედების მიღებას ნიშნავს. ახალგაზრდების სპორტით დაკავება ამცირებს მანკიერების რაოდენობას და იწვევს ერის გაჯანსაღებას. ბოლოს და ბოლოს, ქართველ სპორტსმენთა წარმატებები ეროვნულ სიამაყეს გვმატებს.

და თუ ნაღდ სპონსორობაზე ვილაპარაკებთ, აშკარაა, რომ საამისოდ სურვილი უპირველესად სათამაშო ბიზნესში მოსაქმეებს გაუჩნდებათ. ოღონდაც, ერთხელაც გავიმეოროთ: სათამაშო ბიზნესი უსაშველო გადასახადებით არ უნდა იბეგრებოდეს და სპონსორობისთვის შეღავათიანი საკანონმდებლო ბაზა არსებობდეს.

შეღავათების თაობაზე ერთ კონკრეტულ ამბავს გავიხსენებთ, რაზეც ამ ორი წლის წინ გვეწერა „სარბიელში".

თურქეთის მთავრობამ წლების წინ მოედნების სარწყავ წყალზე გადასახადი მიზერულამდე შეამცირა. ამან თურქეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე საფეხბურთო მოედნების მოწყობის ბუმი გამოიწვია. სტადიონების ბუმმა ზამთრის ფანჯრისას ანთალიასა და მის შემოგარენში ასობით კლუბი მიიზიდა. 2006 წლის მონაცემებით, ზამთარში თურქეთის სამხრეთ სანაპიროს 1200 კლუბი ეწვია. ეს დაახლოებით 50 ათასი კაცია.

ახლა დავიანგარიშოთ, რამდენი თვითმფრინავი სჭირდება 50 ათასი კაცის გადაყვანას, რამდენი ავტობუსი სჭირდება ადგილზე, სასტუმროების რამდენი ათასი ნომერი შეივსება, რამდენი საჭმელი სჭირდება, რამდენ სუვენირს იყიდის ეს 50 ათასი კაცი და რამდენი ათასი ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება... და ეს ყველაფერი ხდება, ზამთარში, ეგრეთ წოდებულ, მკვდარ საკურორტო სეზონზე, ხოლო გამომწვევი მიზეზი, როგორც მოგახსენეთ, სარწყავ წყალზე გადასახადის შემცირება გახდა.

რაც მოვყევით, ვფიქრობთ, კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად, რომ ერთ კონკრეტულ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც კონკრეტულ შეღავათს თუ წახალისებას ითვალისწინებს, უზარმაზარი სარგებლის მოტანა შეუძლია.

ის, რაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს ქართულ სპორტს, უსპონსორობაა და აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთი წახალისება სათამაშო ბიზნესს, რომელსაც შეუძლია, ქართული სპორტის უპირველეს სპონსორად იქცეს...

„სარბიელი" ქართული სპორტისა და სათამაშო ბიზნესის პარტნიორობის თემას ისევ მიუბრუნდება.

**გიორგი დარჯანია**












სპორტის და სათამაშო ბიზნესის პარტნიორობის თვალსაჩინო მაგალითები: კალათბურთი და Bwin, მოტოსპორტი და EUROBET, ცხენოსნობა და William Hill

ქვარციტი QUARTZITE
ლიბერთი

# საქართველო ჯერაც 0,1 პროცენტის მოლოდინშია

## გია ნიჟარაძე: ოცნებას ავისრულებ!

კარს მომდგარი ახალი წელი ქართული რაგბისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ეროვნული ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში ჩაებმება და პარალელურად მსოფლიოს თასის საგზურისთვის იბრძოლებს. რაგბის კავშირი სახელმწიფოსგან 3 მილიონ ლარს ელის, რაც საშუალებას მისცემს, ინფრასტრუქტურა და ბავშვთა რაგბი მეტად განავითაროს. წლეულს ჩატარდა ბავშვთა რაგბის ფესტივალები. პრიორიტეტი იქნება მაქსიმალურად მეტი სარაგბო გუნდის დაარსება და ამ საქმეში რეგიონების ჩართვა. რაგბის კავშირის პრეზიდენტ გია ნიჟარაძეს ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ...



— ჩვენი პრიორიტეტი ბავშვთა რაგბი იქნება. რაც შეიძლება, მეტმა ახალგაზრდამ უნდა დაიწყოს თამაში. რაგბის საერთაშორისო ფედერაციაში არსებობს სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რომ ქვეყანა იმ შემთხვევაშია წარმატებული, თუ ქვეყნის მოსახლეობის 0,1 პროცენტი თამაშობს რაგბის. საქართველოში დაახლოებით 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. გამოდის, რომ მოთამაშეების საკმარისი რაოდენობა ჯერ არ გვყავს. ეს კრიტერიუმი უნდა დავაკმაყოფილოთ, თუმცა ამ მხრივ პროგრესი გვაქვს. შარშან თუ 2 500 ადამიანი თამაშობდა რაგბის, წლეულს 3 400 მორაგბე გვყავს. აქ ბავშვებიც ითვლებიან. ეს ზრდა დიდწილად 2007 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ მოხდა და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, დღეს როგორი მდგომარეობაა ბავშვთა რაგბიში?

— ქუთაისში 600 ბავშვი თამაშობს, ყველა ასაკობრივი ჯგუფი გვყავს. შეიძლება ითქვას, იმერეთი მთლიანად დაფარულია. სამეგრელოში კიდევ გვაქვს სამუშაო. ზუგდიდში უნდა გავაკეთოთ გუნდი. გურიაში სამივე რაიონში წინსვლაა. გვაქვს ბაზები ბორჯომში და სამცხე-ჯავახეთში. ძალიან გვინდა გუნდის გაკეთება ხაშურში და შიდა ქართლსაც მივხედავთ. ახლა ომმა შეგვიშალა ხელი. რუსთავს მშვენიერი გუნდი ჰყავს და კახეთიც მთლიანად დაფარულია. მთავარი კი თბილისია და აქ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. თუმცა მარტო ფინანსები ვერ გვიშველის. ინფრასტრუქტურის საკითხი სასწრაფოდ გადასაჭრელია, თორემ ისე არაფერს აზრი არ აქვს. ცალკე უნდა ითქვას მთიან რეგიონებზე. პირველ ეტაპზე აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ გუნდებს სვანეთსა და რაჭაში. ნელ-ნელა სხვა კუთხეებსაც მივხედავთ. ჩემი ოცნებაა, რომ საქართველოს ნაკრებში ყველა კუთხის შვილი თამაშობდეს და ამით კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით. ამ ოცნებას ავისრულებ...

— სახელმწიფოს მხარდაჭერით რამდენიმე სარაგბო მოედანი უნდა აშენებულიყო. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?

— ჯერჯერობით პროექტი შეჩერებულია, თუმცა ახალ მინისტრთან შეხვედრამ ოპტიმისტურად განმაწყო და იმედი მაქვს, სიტუაცია შეიცვლება. ინფრასტრუქტურის გარეშე შორს ვერ წავალთ. ელემენტარულს ვითხოვთ: მთავარი მოედანია და არა ტრიბუნების რაოდენობა და ტევადობა. გუნდს ერთი სათამაშო და ერთიც სავარჯიშო მოედანი უნდა ჰქონდეს. დაფინანსების მხრივ პრობლემა აღარ გვექნება და თუ რამე არ შეიცვალა, 3 მილიონ ლარს ველით.

— მთავრობის მიერ გამოყოფილი სუბსიდიები კარგია, მაგრამ სპონსორებიც საჭიროა. როგორც ვიცით, აქ გარკვეული პრობლემები გაქვთ...

— ომის შემდეგ სპონსორების მოზიდვა გაჭირდა. არადა, ოფისის ქირაც გადასახდელია და კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. იმედი გვაქვს, რომ გამოჩნდებიან ბიზნესმენები. არის კარგი სიახლეც: თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლუდსახარში „ნატახტარი" სპონსორობას გაგვიწევს.

— სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიოს სერიის ორივე ეტაპზე ყველა თამაში წააგო...

—რაც ჩვენ, პრინციპში, წინასწარ ვიცოდით. ჯერჯერობით არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მთავარ ნაკრებშიც და აქაც ლეგიონერები ვათამაშოთ. ასეთი არჩევანი გავაკეთეთ: შვიდკაცა ნაკრებში გვეყოლება საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეები და ამით ისინი დიდ გამოცდილებას შეიძენენ. თან ისეთი მეტოქეები გვყავდა, რომ რთულია მათი დამარცხება.

— ეროვნულმა ნაკრებმა კი სეზონი შოტლანდიური ტურნეთი დაასრულა...

— ამ თამაშების ორგანიზებაზე ბევრი ვიწვალეთ და ბოლოს ისე მოხდა, რომ ორი დღით ადრე გავიგეთ, ფრანგები ლეგიონერებს რომ არ უშვებდნენ. ამის გამო ლამის გადავიფიქრეთ წასვლა — თუმცა მაინც წავედით და არც ვნანობთ. პირიქით, შოტლანდიასთან თამაშმა ნაკრების სუსტი მხარეები წარმოაჩინა. ფიზიკური თვალსაზრისით, პრობლემები გვაქვს და უნდა გამოვასწოროთ. კარგია, რომ ეს ახლა დავინახეთ და არა ერთა თასის მიმდინარეობისას. ჩვენმა ახალმა ფიზმომზადების მწვრთნელმა ბიჭებს კონკრეტული მითითებები მისცა და იმედია, ისინი ნაკრებს უკეთეს ფორმაში დაუბრუნდებიან.

— ფიზმომზადების ტონგელი მწვრთნელი ახსენეთ. რამდენხნიანი კონტრაქტი გაუფორმეთ?

— ჯონა ნამუ ნაკრებში მსოფლიოს თასამდე იმუშავებს და დაცვის გაძლიერებასა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე იზრუნებს. მან მითითებები მისცა როგორც ეროვნული, ასევე ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეებს. ჩვენს მორაგბეებს მისი გამოცდილება უდავოდ წაადგებათ.

— ზემოთ ფრანგული კლუბების თავნებობა ახსენეთ. როგორც ვიცით, ერთა თასზე ჩვენს მორაგბეებს ნაკრებში ჩამოსვლის პრობლემა აღარ ექნებათ.

— ერთა თასის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ჩვენი მატჩები ირბ-ის მიერ განსაზღვრულ სანაკრებო თარიღებს ემთხვევა. ასე რომ, ფრანგული კლუბები პრობლემას ველარ შეგვიქმნიან და ნაკრები სრული შემადგენლობით მოახერხებს შეკრებას. თუმცა შეიძლება გარკვეული გამონაკლისები დავუშვათ, ოღონდ ისე, რომ ნაკრების ინტერესები არ დაზარალდეს. უნდა გავითავისოთ, რომ სერიოზული მატჩების ჩატარება მოგვიწევს. მსოფლიოს თასზე გასვლა ახლა წინანდელზე გართულდება, რადგან მეტოქეები საგრძნობლად გაძლიერდნენ და ყველა მატჩი ფინალივით უნდა ვითამაშოთ. რუმინეთის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დასრულდა. მათ საერთოდ უარი თქვეს ლეგიონერებზე და შიდა ჩემპიონატში მოთამაშეზე გააკეთეს აქცენტი. ერთად ძალიან ხშირად ათამაშებენ. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თავკაცად კარგი ახალზელანდიელი სპეციალისტი ჰყავთ და ორი ზელანდიელის და ერთი სამოელი მორაგბის ნატურალიზებას აპირებენ. ასე რომ, რუმინელებთან ურთულესი მატჩები გველის.

რუსეთმა მენეჯმენტი მთლიანად უცხოელებს მიანდო და კარგადაც ემზადებიან. დარწმუნებული ვარ, იმაზე ძლიერი ნაკრები ეყოლებათ, ვიდრე ბოლოს კრასნოიარსკში ჰყავდათ. პორტუგალია მუდმივად პროგრესირებს და კიდევ უფრო ძლიერი ნაკრები ეყოლება. არ უნდა დაგვავიწყდეს ესპანეთიც — მათ სიურპრიზები უყვართ. არ შეგვაცდინოს იმან, რომ რუსეთთან დიდი ანგარიშით წააგეს. თან ჩვენ გვიჭირს ესპანელებთან თამაში. ხელწამოსაკრავი არც დებიუტანტი გერმანია იქნება. ასე რომ, ურთულესი მატჩები გველის, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი 2011 წელს ახალი ზელანდიის მსოფლიოს თასზე მოხვედრაა, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებთ.

— ნაკრებს გაისად ტესტები ვისთან ექნება?

— იენისში ამერიკაში ვითამაშებთ ამერიკის, კანადის, არგენტინის A, ირლანდიის A და ინგლისის A ნაკრებებთან. იქ ჩვენი ბიჭები სრული შემადგენლობით წავლენ და ასეთ კრებულში რამხელა გამოცდილებას მიიღებენ თავად განსაჯეთ. ნოემბერში კი გვინდა, რომ თბილისში ჩავატაროთ 2 ტესტი.

**ლევან მაისურაძე**

---

ჩოგბურთი

## ლადო ჩიხლაძემ სეზონი დაასრულა

**ქართველ**[illegible] ჩოგბურთელთადან სეზონი ლადო ჩიხლაძემ დაასრულა. მან ჩეხურ ოპავაში 15 ათას დოლარიან ტურნირზე პირდაპირ ძირითად ბადეში ითამაშა. ჩიხლაძეს პირველ მეტოქედ ბრიტანელი კოლინ ფლემინგი ჰყავდა, რომელმაც თავის მხრივ, კვალიფიკაცია მოიგო.

ლადომ საკმაოდ რთულ დაპირისპირებაში მოახერხა მეტოქის დაჯაბნა და 7:6 5:7 6:2 მოიგო. ქართველის მომდევნო მეტოქე ირლანდიელი ჯეიმს მაკგი იყო, რომელთანაც ჩვენი მეჩოგნე 4:6 7:6 4:6 დამარცხდა.

---

კალათბურთი

## ქართველებს ქვეყნები ჩამოურიგეს

**ევროპის** კალათბურთის ფედერაციამ იმ ქვეყნების სია ჩამოწერა, სადაც გაისად ბევრი კონტინენტის ასაკობრივი ჩემპიონატები ჩატარდება. საქართველოს სამივე ასაკობრივი ნაკრები B დივიზიონში ჩაუქობს და მომავალ ზაფხულს ელიტაში ასასვლელად ითამაშებს. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი 20-წლამდელები 16-26 ივლისს მაკედონიის მთავარქალაქ სკოპიეში ეცდებიან ელიტაში ასვლას. მიხეილ კობეშავიძის დამოძღვრილი 18-წლამდელები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე გამოვლენ. 16-წლამდელთა ნაკრები კი, რომელსაც გიორგი კაზანჯიანი წვრთნის, პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე 6-16 აგვისტომდე იბრძოლებს.

---

ფარიკაობა

## გოგელიას პრეზიდენტობა გაუხანგრძლივეს

**ფარიკაობის** ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე 44 დელეგატმა პრეზიდენტად მეორე ვადით ერთხმად აირჩია არჩილ გოგელია, რომელიც ფარიკაობის ფედერაციას კიდევ 4 წელი უხელმძღვანელებს.

თავისი კანდიდატურები ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივან მორის სახვაძეს და 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონ ვლადიმერ აფციაურსაც ჰქონდათ წამოყენებული, თუმცა არჩევნების დაწყებამდე ორივემ მოხსნა და დელეგატებმა მხოლოდ არჩილ გოგელიას კანდიდატურას უყარეს კენჭი. პრეზიდენტმა ახალი გუნდიც დაასახელა: პირველი ვიცე-პრეზიდენტი მორის სახვაძე იქნება, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები ზურაბ ცქიტიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე და დავით თურქია. გენერალური მდივანი დავით სახვაძე გახდა.


შტეფანი და ელენე







# ვინ არის შტეფან ლამბელი?
# გედევანიშვილის საათი შვეიცარიულ დროს აჩვენებს



**თხოვდება** თუ არა ელენე გედევანიშვილი?

ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გაზაფხულ-ზაფხულში იყო, მას შემდეგ ხმები მინელდა, თუმცა ახლა ახალი ტალღა აგორდა.

უნიჭიერესი ქართველი ფიგურულად მოსრიალე, 18 წლის ელენე გედევანიშვილისა და შვეიცარიელი შტეფან ლამბელის რომანზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ.

რუსეთიდან დეპორტაციის შემდეგ ელენე ამერიკაში, შტატ ნიუ-ჯერსის ქალაქ ჰაკენსაკში დაფუძნდა და რომან სეროვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

სწორედ „ამერიკულად“ გაწვრთნილმა ელენემ მიიღო მონაწილეობა 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომლის დასრულების შემდეგაც დაიწყო ლაპარაკი მისი და ლამბელის სიყვარულზე.



უცხოური სააგენტოების ცნობით, წყვილი საკმაოდ თბილად ექცეოდა ერთმანეთს და მხურვალე ფოტოებსაც იღებდა.

შტეფან ლამბელი შვეიცარიული ფიგურული სრიალის იმედად ითვლებოდა, 23 წლისაა და ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ერთხელ კი, ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი.

ორიოდ თვის წინ ლამბელმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო კარიერის დასრულება გამოაცხადა, რამაც მთელი შვეიცარია შოკში ჩააგდო.

აქა-იქ ისიც ითქვა, ლამბელი პრობლემებს მოაგვარებს და ისევ დაბრუნდებაო...

საინტერესოა, რომ მისი ერთ-ერთი საყვარელი სპორტსმენი რუსეთის სახელით მოსრიალე ქართველი ანტონ სიხარულიძეა.



უცხოელი გოგონების სამიზნე — ასე აფასებენ ჩვენი კოლეგები შტეფან ლამბელს და იმასაც წერენ, შვეიცარიელზე შეყვარებულმა ელენე გედევანიშვილმა უკვე ბევრი გაამწარაო.

მოკლედ, ეს თემა სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია „ფიგურულ“ სამყაროში.

ამასობაში კი, ელენე წმინდა სპორტულ მხარესაც არ ივიწყებს და თავდაუზოგავად ემზადება მომავალი ტურნირებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში გედევანიშვილმა მე-7 ადგილი დაიკავა პარიზულ გრან-პრიზე.

კითხვა კი ჯერაც პასუხგაუცემელია: მართლა თხოვდება ელენე გედევანიშვილი?

**ოთარ მხეიძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნახევარი ოქრო

## თევზაძე რუმინეთში შემოდგომის აზნაურია

*რუმინეთის ხელბურთელთა ჩემპიონატში პირველი წრე დამთავრდა — სატურნირო ცხრილის სათავეში ჩვენებური შოთა თევზაძის „ბაკაუ".*
*ქართველის გუნდი სეზონის წინ საჩემპიონოდ ნაკლებად იყო მომართული. ხელმძღვანელობაც მოთამაშეებს ოდენ ოთხეულში მოხვედრას უსახავდა მიზნად. თუმცა დროთა განმავლობაში მადა ჭამაში მოვიდა, „ბაკაუმ" მიჯრით მოგებული მატჩების სერიები გამოაცხო და ცხრილის თავშიც ნამოსკუპდა.*
*ეს ამბავი გასახარი იმადაც არის, რომ საქართველოს ნაკრების მეკარე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. თევზაძემ გუნდში არსებული კონკურენცია იოლად დაძლია და მისი პოზიციის მორყევა ჯერ არავის გამოსდის. შოთასთან საუბარი სწორედ საკლუბო ამბებით დავიწყეთ...*



— პირველი წრის ბოლო ტურში სტუმრად „ორადას" მოვუგეთ 33:31. საკმაოდ რთული მატჩი გამოვიდა და გვარიანად დაძაბულ დაპირისპირებაში ვიმარჯვეთ. ახლა ცხრილის თავში ვართ მოქცეულები და საჩემპიონო ბრძოლაში მთავარ კონკურენტ „კონსტრანცას" ურთიერთშეხვედრის წყალობით ვჯობნით. ჩვენც და მათაც 20 ქულა გვაქვს, თუმცა, როგორც ვოქვი, მათი დამარცხება მოვახერხეთ და ამიტომ პირველ ადგილზე „ბაკაუა".

— შენ თამაშზე რას იტყვი. ძირითადის მეკარე ხარ და თან არც კონკურენტები გყავს ძლიერი...

— მართლა კარგ ფორმაში ვარ და მწვრთნელიც მუდმივად მენდობა. თუ არ დაიმსახურე, ისე ძირითადში არავინ დაგაყენებს. კონკურენტებიც კარგი მეკარეები არიან, მაგრამ ამ ეტაპზე ვჯობნი. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ასე თვლის.

— რუმინეთის ჩემპიონატზე რას იტყვი. მაღალი დონეა?

— საკმაოდ კარგი ჩემპიონატია. აქ ხელბურთს დიდ ყურადღებას უთმობენ და შედეგიც სახეზეა. თითქმის ყველა გუნდი თანაბარი ძალისაა და იოლად ვერავის მოუგებ. გამორიცხულია, გამარჯვება წინასწარი დაგეგმო, განსაკუთრებით გასვლით მატჩებში.

— რადგან ასე მოგწონს რუმინეთის ჩემპიონატი, ალბათ, სხვაგან წასვლაზე ჯერ არც ფიქრობ...

— „ბაკაუსთან" 2-წლიანი კონტრაქტი მაქვს და ჯერ არ მგონია, რომ სხვა გუნდში გადავიდე. აქაურ გარემოს შევეწყვე და თან მუდმივი სათამაშო პრაქტიკაც მაქვს, რაც ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჯერჯერობით აქ ვრჩები.

— „ბაკაუ" ევროპის ფედერაციის თასზეც გამოდის...

— ევროთასზე გაისამდე შესვენება გვაქვს, მერე კი იქაც სერიოზული დაპირისპირებები გველის. გადაწყვეტილია, რომ იქაც მაქსიმუმისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ისე არ იქნება, რომ, ვთქვათ, პრიორიტეტი მარტო ჩემპიონატი იყოს. ყველგან ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— მეორე წრისთვის თუ აპირებს ხელმძღვანელობა, რომ გუნდი გააძლიეროს?

— კი, აპირებენ და უკრაინელ ლეგიონერს რომ ვიმატებთ, ნამდვილად ვიცი. შეიძლება, კიდევ მოიყვანონ ვინმე, ვნახოთ, რას გადაწყვეტენ.

— ადრე გვითხარი, რომ „ბაკაუ" ჩემპიონობისთვის ალბათ არ იბრძოლებს, მიზანი ოთხეულში მოხვედრააო. ახლა როგორი განწყობა გაქვთ, როცა პირველი წრის შემდეგ ცხრილის თავში ხართ?

— ნაადრევია ჩემპიონობაზე ლაპარაკი. მით უმეტეს, „კონსტანცას" მხოლოდ ურთიერთშეხვედრის წყალობით ვუგებთ. საქმეს ისიც ართულებს, რომ მეორე წრეში ცუდი კალენდარი გვაქვს. უმთავრეს კონკურენტებს სტუმრად ვეთამაშებით. ცხადია, ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ და ვნახოთ, რა გამოვა.

— ნაკრებზეც გკითხავ. პოლონეთში ჩატარებულ მატჩებზე რას იტყვი?

— კარგია, რომ ნაკრების შეკრება მოხერხდა. ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა ხომ სწორედ მატჩების სიმცირე და შეუთამაშებლობაა. პოლონეთთან ჩატარებული შეხვედრები უდავოდ წაგვადგება. ბიჭებმა მეტი გამოცდილება მიიღეს.

— გაისად, ალბათ ისევ „ჩელენჯ ტროფის" ტურნირს ითამაშებთ...

— რა გითხრათ, აბა? ცუდია, რომ ევროშესარჩევს აღარ ვითამაშებთ. როგორც ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ისე იქნება.

— მოტივაციის ნაკლებობას ხომ არ გრძნობ?

— დიახ, რადგან „ჩელენჯ ტროფი" უკვე მოვიგეთ და უფრო მაღალ დონეზე თამაში გვინდა.

**ლექსო მაისურაძე**

# ვინც არ უნდა იყო მანდ

## როცა მინისტრის კარი ყველასთვის იღება



დავით ნამგალაური, ნიკა რურუა და გია ნაცვლიშვილი

**გრიგოლ ვაშაძე** დაახლოებით ერთი თვე იყო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის თანამდებობაზე. მისი ადგილი ახლახანს ნიკა რურუამ დაიკავა, რომელიც წინამორბედის მსგავსად, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს სპორტის დეპარტამენტში შეხვდა, მათგან ბევრჯერ ნათქვამი პრობლემები კიდევ ერთხელ მოისმინა და საკუთარი გეგმები და მიზნები გააცნო.

დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში 40-მდე ფედერაციის პრეზიდენტმა მოიყარა თავი. მინისტრს მათ გარდა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური დახვდნენ.

თავიდან სიტყვა ნამგალაურმა აიღო: „ძალიან მოკლე დროში ხელმეორედ გვიწევს იმ საკითხებზე საუბარი, რომელიც მომავალ ოთხ წელიწადში უნდა შესრულდეს. აქ არიან წამყვანი ფედერაციების წარმომადგენლები და სპორტული ჟურნალისტები. დასამალი არაფერია და გთხოვთ, რომ გულღიად ვისაუბროთ. პრობლემები არის და ერთად უნდა მოვაგვაროთ."

ნიკა რურუა: „ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან სტუმრობა, თუმცა არ მინდა, რომ სტუმრად ვიგრძნო თავი. სანამ მინისტრობას დავთანხმდებოდი, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ დღეს აქ ვარ და ჩემს პრიორიტეტსაც გაგაცნობთ: მთავარი ბავშვთა სპორტი იქნება, ყველაფერი აქედან უნდა დაიწყოს. სპორტი უბრალოდ სპორტი არ არის, ის ჯანმრთელობის, ერთიანობის და ერის სიძლიერის საწინდარია."

ამის შემდეგ რურუამ ფედერაციის მესვეურებს პრობლემებზე ღიად საუბარი სთხოვა და მიკროფონთან ათამდე ადამიანი მივიდა. ყველაზე მწვავედ ინფრასტრუქტურის პრობლემა დადგა და ეს არცაა გასაკვირი. ზუსტად იგივე პრობლემებზე იყო საუბარი წინა მინისტრთანაც და ერთ თვეში რომ ბევრიც ვერაფერი შეიცვლებოდა, რა გასაკვირია.

მინისტრი ყველას გულისყურით უსმენდა, რაღაცეებს ინიშნავდა და დაპირებას აძლევდა, პრობლემები გადაიჭრებაო. ესეც თქვა — ტყუილი დაპირებები არ იქნება, თუ ვიტყვი, მაშინ ის საქმე აუცილებლად გაკეთდებაო.

საერთოდ კი შეხვედრა უფრო გაცნობითი ხასიათის იყო. ძნელია, ერთ საათში ყველას მოუსმინო და პრობლემაც გადაუჭრა. მინისტრიც ყველას ცალკე შეხვედრას და უფრო კონკრეტულ საუბარს დაჰპირდა.

ინფრასტრუქტურის გარდა გამოიკვეთა ბავშვთა სპორტის პრობლემები. რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ დამსწრეებს შეახსენა — სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები თითქმის არ ტარდებაო.

სპორტის აკადემიის წარმომადგენელმა ირაკლი დოლაბერიძემ აკადემიის ნაცნობ პრობლემებზე ისაუბრა და რურუასგან კონკრეტული დაპირებაც მიიღო. მოკლედ, ინფრასტრუქტურაში პრობლემების მოგვარებაზე საუბრისას უარი არავის მოუსმენია.

ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა სპორტული მედიცინის ცენტრის სასიცოცხლო აუცილებლობაზე ილაპარაკა. ყველამ იცის, რომ ესეც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

რურუა ამ საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას დაჰპირდა და საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ხალხი კმაყოფილი გაისტუმრა.

ერთი საყურადღებო ნიუანსიც შევნიშნეთ: შეხვედრისას რურუა ფედერაციის წარმომადგენლებისგან დაჟინებით ითხოვდა პრობლემებზე ღიად საუბარს, თუმცა ინფრასტრუქტურის საკითხის გარდა სხვა საჭირბოროტო თემა, ფაქტობრივად, არ წამოჭრილა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს სხვა მხრივ ყველაფერი კარგადაა ამ ჩვენს მრავალმხრივ აწეწილ ქვეყანაში. ბევრ რამეს რომ თავი დავანებოთ, საეჭვოა, ფედერაციებს იდეალური დაფინანსება ჰქონდეთ. არადა, ამაზე პრაქტიკულად არაფერი თქმულა. კონკრეტულ მოხელეებთან ინტერვიუებში ხშირად მოგვისმენია ჩივილი — ფინანსების სიმცირის გამო შეკრება ჩაგვეშალა, ანაც საერთაშორისო ტურნირზე რომ წავსულიყავით, უკეთესი იქნებოდაო და მისთანები...

ვითომ მართლა გვეშველა და ფინანსური პრობლემები შემცირდა? ვნახოთ, ალდგომა და ხვალეო. თუმცა ეჭვი კი გვეპარება...

**ნიკა ძოპაძე**



# ჰოი და არა ჰემილტონი

**ჩემპიონია**, მაგრამ საუკეთესო ვკრაა. ლუის ჰემილტონმა 23 წლისამ მოიგო ფორმულა ერთის ჩემპიონატი, გახდა ავტოსპორტის უპრესტიჟულესი სახეობის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. ამაზე საგმირო რაღა უნდა ჩაიდინოს? მაგრამ სამშობლოში წლის სპორტსმენად შედგომისთვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.

შარშან ჰემილტონი ორმაგ მეორე ადგილს დასჯერდა — ტრასაზე კიმი რაიკონენს ჩამორჩა, გამოკითხვაში კი მოკრივე ჯო კალძაგემ გაასწრო. წლეულს მან ფორმულა ერთში მეორე ადგილი პირველით შეცვალა, ბრაზილიელ ფელიპე მასასთან უდაძაბულეს დუელში უკანასკნელ ეტაპზე მოიპოვა ჩემპიონობა, მაგრამ კუნძულზე მაინც სხვას დაადგეს დაფნის გვირგვინი.

ბრიტანეთის წლის სპორტსმენი გახდა ტრეკის ველომრბოლი, ზორბა შოტლანდიელი კრის ჰოი, რომელმაც აგვისტოში პეკინის ოლიმპიადაზე „იუნიონ ჯეკს“ სამი ოქროს მედალი მოუპოვა და სამჯერ გააჟღერებინა „ღმერთო ჰფარვიდე დედოფალს!“ პეკინში ველორბოლაში სულ მედლების 18 კომპლექტი გათამაშდა, ბრიტებმა 8 ოქრო დაისაკუთრეს და ჰოი მეტრეკეთა უძლიერესი არმიის ჭეშმარიტი მედროშე გახლდათ.

ჰემილტონი ამბიციური ჯეელი კია, მაგრამ დიდად ნაწყენი არ ჩანს — „მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ ოლიმპიურ წელს გზა ოლიმპიელებისთვის უნდა დაგვეთმო. ჰოი დიდი ჩემპიონია და დამსახურებულად გახდა საუკეთესო. ჩემთვის უდიდესი პატივია, ასეთი კაცის გვერდით დგომა.“

ჰოი პირველი იყო, ჰემილტონი მეორე, მესამე ადგილი კი შეხვდა 19 წლის ქალ მოცურავე რებეკა ადლინგტონს, რომელმაც პეკინიდან ორი ოქრო წაიღო.

ჰემილტონს კი ალბათ კიდევ მიეცემა შანსი, გვერდით ამოუდგეს ჯონ სარტრისს, სტირლინგ მოსს, ჯეკი სტიუარტს, ნაიჯელ მენსელსა და დეიმონ ჰილს, ფორმულა ერთის ლეგენდებს, რომლებიც ბრიტანეთში წლის სპორტსმენებად დასახელებულან.

**ვანო ძოზიაშვილი**

# ბატონი ჰონდასთან ერთად იძირება

**„ჰონდას“** დაშლამ და ჩაძირვამ შეიძლება თან ჩაიტანოს ჯენსონ ბატონის კარიერა. გამოცდილი ბრიტანელი მრბოლი იაპონურ საჯინიბოსთან გრძელვადიანი კონტრაქტით იყო დაკავშირებული, ახლა კი თამაშგარეში რჩება, რადგან ფორმულა ერთის პრაქტიკულად ყველა გუნდი დაკომპლექტებულია და მისი ადგილი არსად ჩანს. მხოლოდ მაჩანჩალა „ტორო როსოს“ აქვს საეჭვო ვაკანსია და ბატონი ამას ვარიანტად არც განიხილავს. რჩება ერთი გამოსავალი: 2004 წლის ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა, 155 რბოლის მონაწილემ, 232 ქულის მშოვნელმა, 15-ჯერ პოდიუმზე მდგარმა და თანაც მხოლოდ 28 წლის ვარსკვლავმა, 2009 წლის ჩემპიონატი უნდა გამოტოვოს და ერთი წლის მერე დაბრუნების იმედით გადაბარგდეს მაყურებლებში.

„ცხადია, ეს გამოსავალი არაა და ამდენი ხნით უქმობამ შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს ჩემს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე, მაგრამ სხვა გზა არაა — წუხს ბატონი — ამჟამად „ჰონდას“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად ვეძებ სპონსორს, რომელიც იყიდის და გააცოცხლებს ჩვენს საჯინიბოს.“

*„უილიამსით“ არაერთ გამორჩეულ მრბოლს უქროლია ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ ვინ იყო მათ შორის საუკეთესო? ძალიან ძნელია სხვადასხვა თაობელთა ერთმანეთთან შედარება. ივივე იქნება, იმაზე ვიმსჯელოთ, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი, მაგრამ ამ თემაზე საუბარს მაინც არაფერი უდგას წინ. ევროსპორტის ვებ-საიტი საინტერესო გამოკითხვას ატარებს, რაც საუკეთესოს თუ არა, საყვარელი მრბოლის გამოსავლენად ნამდვილად კარგი საშუალებაა. შერჩეულია შვიდი კანდიდატი. ამგვარად: ვინ იყო „უილიამსის“ ყველა დროის ყველაზე პოპულარული მრბოლი?*

# ევროსპორტი უილიამსს განიკითხავს

**დეიმონ ჰილი** (ბრიტანეთი) — ფორმულა ერთის არაერთი ჩემპიონის შვილი დამდგარა მამის კვალზე, მაგრამ მშობლის წარმატება ერთადერთმა გაიმეორა. 1962 და 68 წლების სეზონების ჩემპიონ გრემ ჰილის ვაჟი დეიმონ ჰილი ოთხი წელი მართავდა „უილიამსის“ საჭეს, იყო ლეგენდარული აირტონ სენას უკანასკნელი თანაგუნდელი, 1994 და 95 წლებში გაჩემპიონებული მიხაელ შუმახერის მთავარი მეტოქე და 1996 წლის ჩემპიონი, სეზონის განმავლობაში მოხვეჭილი სარეკორდო 8 დიდი პრიზით. ამ ოთხ სეზონში ჰილი მუდამ და უპრობლემოდ ხვდებოდა სამეულში.

**ალან ჯონსი** (ავსტრალია) — გუნდიდან გუნდში მოგზაურმა ჯონსმა საკუთარი თავი 70-იანი წლების ბოლოს აქ იპოვა და ფრენკ უილიამსის საჯინიბოს 1980 წელს პირველი ჩემპიონობა მოუტანა. ახალბედა ალენ პროსტი ოზს ცეცხლოვანს, ძალმოსილს და მძვინვარესაც კი უწოდებდა, იძახდა — მაგ კაცის მეშინიაო.

**ნაიჯელ მენსელი** (ბრიტანეთი) — ულვაშა ბრიტანელი არაერთი გუნდის ავტოთი დაქროდა, მაგრამ „უილიამსის“ კოკპიტში ჩაჭედილი ის ნამდვილ ჩიტად იქცეოდა ხოლმე. 1992 წელს ჩემპიონი გახდა, როცა სეზონის სტარტზე ზედიზედ ხუთი გამარჯვების წყალობით სენას დამარცხებაც კი შეძლო. 1987 წელს „სილვერსტოუნზე“ ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას თანაგუნდელ და დაუძინებელ მოწინაალმდეგე ნელსონ პიკესთან შეჯიბრში 11-ჯერ გააუმჯობესა ტრასის რეკორდი.

**ნელსონ პიკე** (ბრაზილია) — პიკემ სამჯერ მოიგო ფორმულა ერთის ჩემპიონატი, მესამედ სწორედ „უილიამსით“ 1987 წელს. საჯინიბოს მშობლიურ ბრიტანეთში დიდად არ უყვარდათ აშარი ხასიათის გამო და აგრეთვე მენსელთან შიდა მეტოქეობისთვის. ჩემპიონიც იმის წყალობით გახდა, რომ ნაავარიებმა მენსელმა ბოლო ორი რბოლა გამოტოვა.

**ალან პროსტი** (საფრანგეთი) — ფრანგი „პროფესორის“ ზღაპრულ წარმატებათა დიდი წილი სულ სხვა გუნდზე, „მაკლარენზე“ მოდის, რომლის სახელითაც მან სამჯერ იჩემპიონა, მაგრამ პროსტმა „უილიამსშიც“ დატოვა კვალი, როდესაც პენსიაზე გასული ერთი წლით მობრუნდა, 1993 წლის სეზონი ამ მანქანით ირბოლა და მეოთხედ და უკანასკნელად გაჩემპიონების მერე საბოლოოდ გადავიდა დიდი გზიდან.

**კეკე როსბერგი** (ფინეთი) — შეიძლება ითქვას, ჩემპიონობა შემთხვევით ეღირსა. 19982 წელს ალან ჯონსმა მოულოდნელად დაასრულა კარიერა და მანმადე ბევრი არაფრით გამორჩეულ როსბერგს გაუმართლა, „უილიამსის“ საჭესთან რომ დასვეს. იმავე წელს ერთადერთი რბოლა მოიგო, მაგრამ სტაბილური გამოსვლის წყალობით ტიტული მას ხვდა. „უილიამსში“ კიდევ სამი სეზონი გამოდიოდა.

**ჟაკ ვილნევი** (კანადა) — შეძლო ის, რაც არ დასცალდა 1982 წელს რბოლაში ტრაგიკულად დაღუპულ ლეგენდარულ მამამისს, ჟილ ვილნევს. ჟაკ ვილნევმა ფორმულა ერთში თავის პირველივე სეზონში გაიბრწყინა, 1996 წელს მეორე იყო და საბოლოო ჩათვლაში მხოლოდ თანაგუნდელ დეიმონ ჰილს ჩამორჩა. სამაგიეროდ შემდეგ სეზონში მან ჰილსაც აჯობა და შუმახერსაც.

**ვანო ძოზიაშვილი**

# მაკლარენი სენასია



*რამდენიმე დღით ადრე ევროსპორტზე დასრულდა ანალოგიური გამოკითხვა და 6 ათასზე მეტი მონაწილის 60-მა პროცენტმა „მაკლარენის“ ყველაზე პოპულარულ მრბოლად დაასახელა ბრაზილიელი აირტონ სენა, რომელიც „მაკლარენით“ 1988-93 წლებში დაფრინავდა და 1988, 90 და 91 წლებში სამჯერ იჩემპიონა. ივი 1994 წლის 1 მაისს „უილიამსის“ საჭესთან დაიღუპა...*



HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org



შვეიცარიაში დაბადებული ამერიკელი ავტომრბოლი ლუის შევროლე, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის შუალედობისას დაიწყო საკუთარი სახელობის სპორტული ავტომობილი. გამოდიოდა ინდი 500-ის რბოლებში

22 დეკემბერი

1959 გერმანელი ფეხბურთელი ბერნდ შუსტერი
1963 იტალიელი ფეხბურთელი ჯუზეპე ბერგომი
1966 რუსი ტანმოვარჯიშე დმიტრი ბილოზერჩევი
1967 რუმინელი ფეხბურთელი დან პეტრესკუ
1969 კანადელი ბიატლონისტი მირიამ ბედარი
1975 რუსი ფეხბურთელი დმიტრი ხოხლოვი

23 დეკემბერი

1929 ამერიკელი ბოულერი დიკ ვებერი
1956 იტალიელი ავტომრბოლი მიქელე ალბორეტო
1970 კანადელი მოცურავე ქაროლინა ლე მეი დონი
1974 ეკვადორელი ფეხბურთელი აგუსტინ დელგადო
1978 ვენესუელელი ბეისბოლისტი ვიქტორ მარტინესი
1979 შოტლანდიელი ფეხბურთელი კენი მილერი
1981 კუბელი მოკრივე იურიორკის გამბოა
1983 ინგლისელი ფეხბურთელი მაიკლ ჩოპრა

24 დეკემბერი

1898 ურუგვაელი ფეხბურთელი ექტორ სკარონე
1940 რუსი მოჭადრაკე გრიგორი კრისი
1947 ავსტრალიელი მობურთალი კევინ შიდი
1959 ინგლისელი დარტსისტი კიტ დილერი
1974 ჩილელი ფეხბურთელი მარსელო სალასი
1978 თურქი ფეხბურთელი ილდირაი ბაშთურქი

25 დეკემბერი

1878 ამერიკელი ავტომრბოლი ლუის შევროლე
1930 ირანელი მოკრივე ემანუელ აგასი (ანდრე აგასის მამა)
1944 ბრაზილიელი ფეხბურთელი ჟაირზინიო
1948 ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი ჟოელ სანტანა
1964 შოტლანდიელი ფეხბურთელი გარი მაკალისტერი
1973 ინგლისელი ფეხბურთელი რობი ელიოტი

26 დეკემბერი

1954 ამერიკელი ბეისბოლისტი ოზი სმიტი
1972 არგენტინელი ფეხბურთელი ესტებან ფუერტესი
1975 ჩილელი ჩოგბურთელი მარსელო რიოსი
1978 იაპონელი ფრენბურთელი კაორი ხუგაიამა
1979 ურუგვაელი მეკარე ფაბიან კარინი
1984 იტალიელი მოსიარულე ალექს შვაცერი

27 დეკემბერი

1896 ბელგიელი ველომრბოლი მორის დე ვაელი
1900 გერმანელი ავტომრბოლი ჰანს სტუკი
1915 უნგრელი ფეხბურთელი გიულა ენგელერი
1934 უკრაინელი ტანმოვარჯიშე ლარისა ლატინინა
1950 იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბეტეგა
1971 შოტლანდიელი ფეხბურთელი დანკან ფერგიუსონი
1972 უელსელი მორაგბე კოლინ შარვისი
1979 ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ დანი
1984 ფრანგი ჩოგბურთელი ჟილ სიმონი

28 დეკემბერი

1929 კანადელი ჰოკეისტი ტერი საუჩუკი
1932 კანადელი ჰოკეისტი ჰარი ჰოუელი
1960 კანადელი ჰოკეისტი რეი ბურკი
1961 დანიელი ფეხბურთელი კენტ ნილსენი
1972 პერუელი ფეხბურთელი რობერტო პალაციოსი
1974 კანადელი ჰოკეისტი რობ ნიდერმაიერი
1979 ამერიკელი ჩოგბურთელი ჯეიმს ბლეიკი
1980 კონგოელი ფეხბურთელი რომანა ლუალუა
1981 ჰოლანდიელი ფეხბურთელი ხალიდ ბულაჰრუზი
1981 ფინელი ფეხბურთელი მიკა ვაირინენი
1986 ინგლისელი ფეხბურთელი ტომ ჰადლსტოუნი





# შრომამ შექმნა ჩოგბურთელი

## რაფაელ ნადალი და ელენა იანკოვიჩი

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონებად დაასახელა ჩოგბურთელები, რომლებმაც სეზონი კაცთა და ქალთა რეიტინგსიის პირველ საფეხურზე ჩაამთავრეს და გახდნენ ამ ძნელი საქმის შემძლე პირველი ესპანელი და პირველი სერბი.

რაფაელ ნადალისთვის ეს წელი მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა, სხვაგვარად ის როჯერ ფედერერის ტახტს ძვრასაც ვერ უზავდა. 22 წლის ესპანელმა ძალიან ბევრი იშრომა, ირბინა, მოიგო როლან გაროსი, ფედერერის საყვარელი უიმბლდონი, პეკინის ოლიმპიადა, დევისის თასი (ესპანეთის ნაკრებთან ერთად), კიდევ ექვსი წვრილმან-მსხვილმანი ტურნირი და სამი წელი შვეიცარიელი ზურგსუკან ლოდინის შემდეგ როგორც იქნა გახდა პირველი კაცი დიდი კორტზე.

„წარმოუდგენლად კარგი წელი იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება — ამბობდა მსოფლიოს ჩემპიონად შერაცხული ნადალი — ბევრი ტურნირი მაქვს მოგებული, მათ შორის მეიჯორებიც, მაგრამ პირველობა მაინც განსაკუთრებულ შეგრძნებას მიტოვებს. ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიადაც მოვიგე და ჩემს ნაკრებს დევისის თასის მოპოვებაში დავეხმარე."

რაფას არაფერი უთქვამს, მაგრამ ალბათ ჩვენზე და თქვენზე კარგად ხვდება, რომ მომავალი წელი კიდევ უკეთესად თუ არ ჩაატარა, აგრერიგ ტკბილ პირველობასთან გამოთხოვება მოუწევს. ძნელად წარმოსადგენია, წლების განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი ასე იოლად შეეგუოს დაქვეითებას და ჩოგანი დაუხაროს ხუთი წლით უმცროს მეტოქეს, რომელიც კარგად კი არა ზღაპრულად თამაშობს, მაგრამ არა იდეალურად და რასაც მიაღწია, ძირითადად შრომისმოყვარეობას და არაადამიანური ფიზიკური მომზადების ხარჯზე. როდემდე გაიძლებს რაფა ასეთ შრომას და დღეში 7-საათიან ვარჯიშებს? ასე რომ, მომავალი წელი მისი და როჯერის ახალი დაპირისპირებით მოიტაცებს ჩოგბურთის გურმანების ყურადღებას.

რაც შეეხება ელენა იანკოვიჩს, ისიც კარგი მუშაა და სწორედ ამის ხარჯზე შეძლო ქალთა ჩოგბურთის მორყეული ტახტის დაკავება. წლეულს მას არ მოიგია დიდი სლემის არცერთი ტურნირი, ამერიკის ღია პირველობის ფინალში იყო გასული. სამაგიეროდ ქალი სპორტსმენის კვალობაზე ფიზიკურად არაბუნებრივად კარგად მომზადებულმა მთელი წელი სტაბილურად ჩაათამაშა, ჯამში მოიგო ყველაზე მეტი მატჩი, ოთხი ტურნირიც ზედ მიაყოლა და პირველობა ჩამოართვა გაცილებით სიმპატიურ თანამემამულე ანა ივანოვიჩს, რომელიც ჩოგბურთის ახალ ლამაზმანად იქცა და მოდელობა-კეკლუცობა-სიყვარულობაში დრო აღარ რჩება ჩოგბურთის სათამაშოდ.



კარგად იცით, ლონდონი ნალექიანი ქალაქია. ზაფხულის შხაპუნა წვიმამ „უადგილოდ" იცის მოსვლა და უიმბლდონის ორგანიზატორებს დავთრებს ურევს. მაგრამ მასთანაც შეიძლება ბრძოლა. ცენტრალურ კორტს მუშები შესევიან და გასაწევ სახურავს ამონტაჟებენ, რომელიც მაისისთვას იქნება მზად და ციდან მოსულ დაუპატიჟებელ სტუმარს დაუხვდება

# გამარჯვებულის გაასამართლეს

**წლეულს** ესპანეთმა დევისის თასი ვერ მოიგო, არგენტინაში გამართულ ფინალში რაფაელ ნადალის ტრავმის მიუხედავადაც დაამარცხა მძლავრი მასპინძლები, მაგრამ ესპანური ჩოგბურთის მამებმა გასაოცარი გადაწყვეტილება მიიღეს: მოხსნეს ნაკრების კაპიტანი, ანუ მწვრთნელი ემილიო სანჩეს ვიკარიო და მისი საქმე ყოფილ ჩოგბურთელ კარლოს კოსტას ჩააბარეს.

კოსტა რიგიანი ჩოგბურთელი იყო, 2002 წელს როლან გაროსი მოიგო, 2000-ში ესპანეთს დევისის თასი მოგებაში ლომის წილი დაიდო და კიდევ 11 მცირე ტიტულითაც აქვს კარიერა მოოჭვილი, მაგრამ ემილიო სანჩეს ვიკარიოს რას ერჩოდნენ? აქედან ძნელი გასარკვევია. 33 წლის კოსტას სამწვრთნელო დებიუტი მარტში ნოვაკ ჯოკოვიჩის სერვიასთა შედგება.

ასევე ახალი კაპიტანი ჰყავს დევისთასის ფინალში ესპანეთისგან ძლეულ არგენტინეს — 2006 და 08 წლებში ფინალების წამგებ ალბერტო მანსინის საერთოდ უცნობი სპეციალისტი მოდესტო ვასკესი შეცვლის.



# ლინდსი მეორეს აჩენს

**ჩოგბურთიდან** არაერთხელ წასული და მერე ისევ მობრუნებული 32 წლის ვეტერანი ლინდსი დევენპორტი საბოლოო წასვლას არც მომავალ წელს გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ ორსულადაა და მეორე ბავშვს ელოდება. ის, უბრალოდ, გააცდენს იანვარში მელბურნში გასამართ ავსტრალიის ღია პირველობას, მერე კი პაწიას ძიძას დაუტოვებს და ჩოდნით ხელში ისევ კორტზე მიბრუნდება, რათა კარიერის განმავლობაში მოგებულ 55 ტიტულს კიდევ ერთიორი მიამატოს. როგორ ახერხებს ეს ქალი ამდენს? ზორბა და ყოჩაღი კია, მაგრამ მაინც გასაკვირია.

ამერიკელი ასევე ჩოგბურთელ ჯონ ლიჩზეა დაქორწინებული. შარშან მას პირველი შვილი ეყოლა, მერე დედა ლინდსი საყვარელ საქმეს დაუბრუნდა და თავის მრავალფეროვან კოლექციას ოთხი ტიტული მიამატა. ბარემ ისიც ვთქვათ, რო ათეულობით მოგებული ტურნირებიდან სამი დიდი სლემისაა და ლინდსიმ 1998, 01, 04 და 05 წლები პირველ ჩოგნად ჩაამთავრა.

**ვანო ძოძიაშვილი**



ჩარლზ ბარკლი ლებრონზე, ბრაიანტზე, ობამაზე, ცისფერებზე, ათას რამეზე და, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე

# მყრალი გულწრფელობა

*ლეგენდარული მოთამაშე ჩარლზ ბარკლი თავისას არ იშლის, კომენტატორის სტუდიიდან პირდაპირ ეთერში ისეთივე მწარე ფრაზებს ისვრის, როგორც ამას ჯეელობაში მოედანზე აკეთებდა. ამასწინათ მოურიდებლად შეეხო კომერციული ამერიკის ერთ-ერთ ვეშაპს, თვით ლებრონ ჯეიმსს, როცა მას სულელი უწოდა და ურჩია, „კლივლენდიდან" გადასვლა-არგადასვლაზე სპეკულაციას მოეშვი და კალათბურთი ითამაშეო. მას ხომ „სხვაგვარად არ ძალუძს" — ისევ ის აულაგმავი „სერ ჩარლზია". იაჰუსთან მის ინტერვიუს გვარიანად შემოკლებულს გთავაზობთ — ბარკლის ბევრი ლაპარაკი უყვარს*



— სერ ჩარლზ, თქვენ პირდაპირ ეთერში ამბობთ ყველაფერს, რაც მოგესურვებათ და ვისზეც მოგესურვებათ. როგორ მიაღწიეთ ამას?

— დავიწყოთ იქიდან, რომ არავისი არ მეშინია. ვცდილობ ვთქვა ის, რაც ჩემამდე არავის უთქვამს. ვცდილობ, მაყურებელს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მივანიჭო. კალათბურთს სახლში მარტოდმარტო რომ ვუყურებ, მაშინაც ვეძებ მასში რაიმე სასაცილოს და სასიამოვნოს. სპორტმა სიამოვნება უნდა მოგვანიჭოს. კიბოს ოპერაციას ხომ არ ვიკეთებთ, კალათბურთს ვუყურებთ და რაც მეტს ვისიამოვნებთ, მით უკეთესი. ამიტომ, როცა მოთამაშე სასაცილოა, მეც ვიძახი — ხალხო, შეხედეთ, რა სასაცილოა ეს ტიპი-მეთქი.

**— მაგრამ როცა კალათბურთელი ცუდად თამაშობს, თქვენ არც იმის თქმას ერიდებით, რომ ის „ყარს"...**

— მაგას გუნდზე ვამბობ-ხოლმე. კონკრეტულ მოთამაშეზე ეგ არასდროს მითქვამს.

**— თქვენი პროფესიის ადამიანების უმრავლესობას მაგის თქმაც ეშინია...**

— მოიცა ერთი, თუ კაცი ხარ. განა ტელევიზია ცოტა ძალაუფლებას გვაძლევს? ჩვენი საქმე გვავალდებულებს, გულწრფელები ვიყოთ. ამხელა აუდიტორია გვყავს, ხალხი იჯერებს ჩვენს ნათქვამს და აუცილებელია, მათ სიმართლე მოვუთხროთ. მაგრამ მოთამაშეს მაინც არ გავწირავ და თუ ვიტყვი, ისევ გუნდზე ვიტყვი, რომ „ყარს". მთავარი კი იცით რა არის? თვითონ იმ გუნდშიც გრძნობენ თავიანთ სიმყრალეს. და ქომაგებმაც გადასარევად იციან, რომ მათ გუნდს სუნი უდის.

**— და მაინც, კომენტატორებში თქვენ ერთადერთი ხართ, რომელიც თავს ამის თქმის უფლებას აძლევს.**

— გულწრფელად რომ გითხრათ (ეს ჩემი საყვარელი ფრაზაა), მე არ ვთვლი, რომ ყოველთვის სიმართლეს ვიძახი, მაგრამ ხომ ვცდილობ? ასეთია ჩვენი პროფესია.

**— არ შეამჩნიეთ, რომ თქვენი ნათქვამი სხვებისაზე უფრო ფეთქებადსაშიშია?**

— როგორ არა, და მერე ვართ ხოლმე ცეცხლის ალში გახვეულები.

**— როგორც ლებრონ ჯეიმსის შემთხვევაში მოხდა ხომ?**

— ჰო, ოღონდ მაშინ მე 100 პროცენტით მართალი ვიყავი. ლებრონზე ისიც ვთქვი, ძალიან მაგარი მოთამაშეა-მეთქი, მაგრამ ხალხმა ეს ყურებში გაატარა და ჩემი კომენტარი სკანდალად დაახურდავა. ვილაცეები მეუბნებოდნენ — მოკეტე და მაგ ბიჭზე ცუდს ნურაფერს ამბობო. არადა, ცამდე მართალი ვიყავი.

**— მას მერე ლებრონთან ხომ არ დაგირეკიათ, რათა დაძაბულობა განგემუხტათ?**

— რატომ უნდა დამერეკა?! მე არ ვმუშაობ არც „კლივლენდზე" და არც ლებრონზე. მე თიენთი-ზე ვმუშაობ. რამდენიმე წლის წინ კობი ბრაიანტიც გავაკრიტიკე. მთელი სეზონი ვიძახდი, ნბა-ში მაგაზე უკეთესი არავინაა, მაგრამ უზომოდ ბევრს ესვრის-მეთქი. ერთხელაც გაჯიუტდა და „ფინიქსთან" პლეი ოფის მეშვიდე თამაშის ბოლო მეოთხედში საერთოდ არ უსვრია. მე მიმტკიცებდა რამეს? მან მე იმედები გამიცრუა როგორც მოთამაშემ და ეს არც დამიმალავს.

**— ხომ არ თვლით, რომ ნბა-ს კალათბურთი გახმა და უგემური გახდა?**

— არა, მაგრამ ამის გარეშეც ბევრი უარყოფითი აქვს. ძალიან ცოტაა კარგი გუნდი, ბილეთის ფასი კი შეუსაბამოდ აწეულია. კი, სალარო ცუდად არ მუშაობს და ეკონომიკური მხარე ყველას აკმაყოფილებს, მაგრამ ხარისხი ყოველთვის შესატყვისი რომ ვერაა? სეზონის დაწყებამდე ვიძახდით — ვა, რამდენი გუნდი მოძლიერდა და მაგარი სეზონი გვექნება-თქო, მაგრამ ერთი თვე გავიდა და მხოლოდ ექვსიოდე მართლა ძლიერი გუნდი გამოიკვეთა. დანარჩენები უბრალოდ დროს კლავენ. მინდოდა, კარგი კალათბურთი მენახა, ხომ იცით, როგორი გულშემატკივარიც ვარ, თანაც ეს ხომ ჩემი საქმეცაა და ბლომად თამაშის ყურება მიწევს, მაგრამ ბევრმა იმედი გამიცრუა. ზოგჯერ ვიძახი, ესენი, მგონი, დაგვცინიან, ისე უხეიროდ ირჯებიან-მეთქი.

**— კარგით, წარმოვიდგინოთ, რომ ნბა-ს კომისარი ხართ: პირველ რიგში რას შეცვლიდით?**

— ახალგაზრდა მოთამაშეებს სტუდენტურ ლიგაში სულ ცოტა ორი წლით დავაბამდი. ჩვენი ლიგა ზედმეტად გაახალგაზრდავდა. გუნდები დრაფტებზე ფაცაფუცით იყვანენ დაუღვინებელ სტუდენტებს, ან სულაც სკოლის მოსწავლეებს, მერე ორი-სამი წელი სკამზე უზით და მთქნარებით ელოდებიან, როდის შეეჩვევა მათი სუპერბიჭუნა დიდებთან თამაშს. 18 წლის ბავშვმა რა უნდა ქნას? გაუმართლებელია ამ ასაკის მოთამაშეების ნბა-ში მიზღვავება, თუნდაც ესენი მომავალში ლებრონები, ბრაიანტები და გარნეტები გახდნენ.



**— თქვენ ძველი დროის შვილად ითვლებით. როგორ გგონიათ, ინტერნეტის, ვებკამერების და იუთუბის ეპოქაში რომ აღზრდილიყავით, მაშინაც ასეთი პირდაპირი იქნებოდით?**

— არა მგონია, პიროვნულად სხვა ვყოფილიყავი. პირდაპირი ვიქნებოდი ნებისმიერ დროში და სიტუაციაში. ვიცი, რომ ჩემი ლაპარაკით და ქცევით ყველას ვერ გავაბედნიერებ. ამას ნბა-ში მოსვლის პირველივე დღიდან მივხვდი. მე უბრალოდ ვცდილობ, გულწრფელი ვიყო, მიუხედავად იმისა, მართალი ვარ თუ მტყუანი.

**— დღესაც ძალზე პოპულარული ხართ. გიჭირთ ქომაგებისთვის უარის თქმა?**

— არ მიჭირს. შეიძლება კვირაში 20 ავტოგრაფი გავცე და 80 ადამიანი მაინც უკმაყოფილო დამირჩება — მე არ მომიწერაო. მივეჩვიე „არას" თქმას. „ფილადელფიაში" რომ ვთამაშობდი, მატჩის მერე ხალხში გამოსვლა და ავტოგრაფების დარიგება გვიწევდა. დაღლილი ვიყავი, მშიოდა და 10-15-ჯერ მაინც ვაწერდი ხელს, მაგრამ ათი ამდენს დაუკმაყოფილებელს ვტოვებდი. რომ ვიძახი, ყველას ვერ გავაბედნიერებ-მეთქი, ამასაც ვგულისხმობ.

**— გასაგებია, პოპულარობა დამღლელია. ამის გამო ხომ არ ამბობთ უარს „ბარკლის ბრენდის" გაზრდაზე? ბევრი ცნობილი ადამიანი თქვენებრ ხმაურიან სახელს მეტად გამოიყენებდა.**

— კომერციას თუ გულისხმობ, ამ მხრივ მატება არც მჭირდება. მე არ ვარ ნასუქი ღორი, რომელიც რაც მეტს ჭამს, მით მეტი უნდა. წელიწადში მხოლოდ ერთ რეკლამაში გადაღებას ვთანხმდები. იყოს, ვთქვათ, „ტი-მობაილის" რეკლამა, მერე ყველას უარს ვეუბნები.

**— „ტი-მობაილის" რგოლის გადაღებებზე დიდი ამბები დაგიტრიალებიათ. იაო მინმა თქვა, ბარკლი უკეთესი მსახიობია, ვიდრე მოთამაშე იყოო. ჭკუიდან ხომ არ გადავიდა?**

— მაგრად გამაცინა მაგის თქმით. თანაც მე ხომ უკვე ბებერი ვარ და იაოს არ ეხსომება, რა ბიჭიც ვიყავი.

**— სამაგიეროდ უფროსებს გვახსოვს... ის მოყევით, როგორ მოხვდით ტელევიზიაში.**

— თავიდან თიენთი-ში არც ვაპირებდი. პირველად ენბისი-ს დიკ ებერსოლმა შემომთავაზა, თავს ტელევიზიაში ხომ არ ცდიდიო და მეც თითქოს დავთანხმდი. მაგრამ მერე ერთმა მეგობარმა მითხრა, თიენთი-ს ბიჭებთან კარგად ვარ, წამო ვახშამზე გეპატიჟებიანო და მათი კომპანია ისე მომეწონა, რომ ბოლოს იქით წავედი. ძალიან გამიჭირდა დიკისთვის უარის თქმა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული არჩევანი ჩემს ცხოვრებაში.

**— დავუბრუნდეთ თქვენს „ცეცხლოვან" გამონათქვამებს: „ტი-მობილის" გადაღებებზე თქვით, რომ „დალასის" დაცვა ისეთი სუსტია, რომ დედათქვენიც კი 45 ქულას ჩაუგდებდა...**

— ტყუილი ვთქვი? მიპოვეთ კაცი, რომელიც არ დამეთანხმება. მაგრამ ბევრი გამოხტება და ლებრონისა არ იყოს, ეცდება ჩვენს შორის სიტყვების ომის გაჩაღებას. რასაც ვგრძნობ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, იმას ვიძახი კიდეც. ხომ არ გავჩუმდები? მაშ რისთვის ვზივარ სტუდიაში?

**— არასდროს იღლებით კალათბურთზე ლაპარაკით?**

— ზოგიერთ სხვა თემაზე გაცილებით მეტსაც ვლაპარაკობ.

**— მაგალითად პოლიტიკაზე?**

— ჰო. გეტყვით, რომ გეების ქორწინების მომხრე ვარ. თუ გეის თავისნაირთან დაქორწინება სურს, ეს მისი პირადი საქმეა და ხელის შეშლა დისკრიმინაციაა. კიდევ ვიტყვი, რომ შავკანიანთა უფლებები აუცილებლად, საქმითაც უნდა გაუთანაბრდეს სხვათა უფლებებს. საკუთარ მაგალითზე ვიცი, რას ნიშნავს, იყო შავი პერსონა ამ ქვეყანაში. მოკლედ, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგი ვარ.

**— ბარაკ ობამას მხურვალე მხარდამჭერად გიცნობენ. მას რომ დაერეკა და ეთქვა: „ჩარლზ, შენი დახმარება მჭირდება"...**

— მეორე დღეს მასთან გავჩნდებოდი.

**— და ამ ყოველივეს მიატოვებდით?**

— ჰო. დიდებული იყო, ჩემს შტატში, ალაბამაში რომ წარვადგინე. თუ სხვა მხრივაც საჭირო ვიქნებოდი, აუცილებლად გვერდში დავუდგებოდი... მერე კი ვეცდებოდი მასთან თიენთი-სთვის ინტერვიუ გამეჩარხა.

**— არ გიჩნდებათ სურვილი, კალათბურთის გარდა სხვა სფეროში დააბანდოთ თქვენი ენერგია?**

— იცით, ღმერთმა დამაჯილდოვა მრავალმხრივი ნიჭით, მაგრამ მე არ მსურს ის ათას რამეში გამოვიყენო და ამით ფული ვაკეთო. ეს პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. როცა საქმე ქველმოქმედებას ეხება, რა თქმა უნდა, გავირჯები და ვიშოვი ფულს. „კატრინას" მსხვერპლთათვის ჩემი ჯიბიდან გავიღე მილიონი, შტატის ღარიბ ბავშვებსაც მივეცი მილიონი, სკოლებსაც დავეხმარე. მაგრამ სხვა სფეროებში პირად გამორჩენას არ ვეძებ.

**— მაგრამ ისიც ცნობილია, რომ შტატის გუბერნატორობა გინდათ.**

— ჰო, მაგრამ 2014 წლამდე ნამდვილად არაფერს ვაპირებ. გულწრფელად რომ გითხრათ, კომენტატორი რომ გავხდი, ვერც ვიფიქრებდი, რომ ამ საქმეს ამდენი ხანი შემოვრჩებოდი. ჯერჯერობით კონტრაქტი მაქვს და ამ სფეროში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მომავალში ჩემთვის ალბათ პოლიტიკა გახდება ახალი გამოწვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

### კვირიდან კვირამდე

**14 დეკემბერი**
ტორონტო 91:99 ნიუ ორლეანი
მემფისი 102:86 მაიამი
სან ანტონიო 109:104 ოკლაჰომა
ლეიკერსი 98:86 მინესოტა

**15 დეკემბერი**
ვაშინგტონი 98:118 ინდიანა
ატლანტა 83:79 შარლოტი
ტორონტო 87:94 ნიუ ჯერსი
მაიამი 83:98 მილუოკი
ბოსტონი 100:91 იუტა
დალასი 88:98 დენვერი
ფინიქსი 111:103 ნიუ იორკი
საკრამენტო 118:103 მინესოტა
გოლდენ სტეიტი 98:109 ორლანდო

**16 დეკემბერი**
შარლოტი 110:101 ჩიკაგო
მემფისი 84:91 ნიუ ორლეანი
ოკლაჰომა 88:98 კლიპერსი
ჰიუსტონი 108:96 დენვერი
პორტლენდი 109:77 საკრამენტო
ლეიკერსი 116:114 ნიუ იორკი

**17 დეკემბერი**
ფილადელფია 93:88 მილუოკი
ატლანტა 85:88 ბოსტონი
ტორონტო 86:96 დალასი
ინდიანა 127:120 გოლდენ სტეიტი
დეტროიტი 88:74 ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი 92:103 იუტა
მინესოტა 70:93 კლივლენდი
ჩიკაგო 115:109 კლიპერსი
ნიუ ორლეანი 90:83 სან ანტონიო

**18 დეკემბერი**
ორლანდო 90:78 სან ანტონიო
პორტლენდი 124:119 ფინიქსი

**19 დეკემბერი**
ინდიანა 109:117 კლიპერსი
ვაშინგტონი 103:109 ფილადელფია
ნიუ იორკი 81:105 მილუოკი
ბოსტონი 126:108 ჩიკაგო
ატლანტა 115:99 გოლდენ სტეიტი
ნიუ ჯერსი 121:97 დალასი
ოკლაჰომა 91:83 ტორონტო
მემფისი 83:112 შარლოტი
დეტროიტი 114:120 იუტა
მაიამი 89:87 ლეიკერსი
ჰიუსტონი 107:96 საკრამენტო
დენვერი 88:105 კლივლენდი

**20 დეკემბერი**
შარლოტი 103:110 გოლდენ სტეიტი
ორლანდო 106:103 ლეიკერსი
ფილადელფია 94:95 ინდიანა
ნიუ ჯერსი 103:106 მაიამი
ნიუ ორლეანი 99:90 საკრამენტო
მინესოტა 102:109 ჰიუსტონი
მილუოკი 119:85 კლიპერსი
ჩიკაგო 106:98 იუტა
სან ანტონიო 107:97 ტორონტო
ფინიქსი 108:101 დენვერი

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 18.12 | 52 |
| ჯამალ კროუფორდი (გ. სტეიტი) | 20.12 | 50 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 20.12 | 43 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 20.12 | 41 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 19.12 | 41 |
| ალენ აივერსონი (დეტროიტი) | 19.12 | 38 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 19.12 | 35 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 20.12 | 34 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 20.12 | 34 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 19.12 | 34 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპერსი) | 19.12 | 34 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 19.12 | 33 |
| ნეიტ რობინსონი (ნიუ იორკი) | 16.12 | 33 |
| ჯერალდ გრინი (ოკლაჰომა) | 14.12 | 33 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 17.12 | 32 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 17.12 | 32 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 16.12 | 32 |
| პოლ მილსაპი (იუტა) | 15.12 | 32 |
| დონ ნელსონი (ორლანდო) | 15.12 | 32 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 19.12 | 30 |
| რიპ ჰამილტონი (დეტროიტი) | 19.12 | 30 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპერსი) | 17.12 | 30 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 17.12 | 27 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 19.12 | 16 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპერსი) | 19.12 | 16 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 19.12 | 15 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 19.12 | 13 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 20.12 | 8 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| რონი ტურიაფი (გ. სტეიტი) | 17.12 | 6 |

# ნბა-ში დაუმარცხებელი ბოსტონი სისწრაფეში უსაინ ბოლტს ეჯიბრება

**კვირის მატჩი**

17 დეკემბერი. ატლანტა

**ატლანტა 85:88 ბოსტონი**

**ატლანტა:** ბიბი (14), ჯონსონი (20), უილიამსი (16), სმიტი (14), ჰორფორდი (8 ქულა, 11 მოხსნა); მიური (6), ფაჩულია (14 ქული, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება), ევანსი (3)

**ბოსტონი:** რონდო (15), რ. ალენი (16), პირსი (18), გარნეტი (18), პერკინსი (8 ქულა, 10 მოხსნა); ტ. ალენი (4), პოუი (4), ჰაუსი (3), დევისი (2)

*ბოსტონმა ზედიზედ მე-16 მოიგო*

საშინელი სიჩქარე აქვს აკრეფილი „ბოსტონ სელტიქსს", ვერავინ ახერხებს მის გაჩერებას. 17 დეკემბერს ატლანტელებს მათი ძლევის დიდი იმედი ჰქონდათ, რამდენიმე დღის წინ მათ „კლივლენდს" შეაწყვეტინეს 11-მატჩიანი მოგებების სერია. გარდა ამისა, მათ ხომ კარგად გამოსდით „სელტიქსთან" თამაში, განსაკუთრებით შინაურ არენაზე, სადაც წინა სეზონის პლეი ოფში სამჯერ დასცეს მომავალი ჩემპიონი. მაგრამ ჯორჯიელები ბჭობდნენ, ბოსტონელები კი იცინოდნენ და თავის გზაზე მიდიოდნენო.

თამაში ზედაძაბული გამოვიდა, მთელი 48 წუთი ქულა-ქულაში მიედინებოდა, „ატლანტა" არაფერს თმობდა. ბოლო მეოთხედი მისი მცირე უპირატესობით დაიწყო, მაგრამ სტუმრებს მანამდე მძიმედ მოთამაშე ლიდერი კევინ გარნეტი წამოეშველათ, რომელმაც ამ პერიოდში თამაშიდან ხუთივე სროლა გამოიყენა და 10 ქულა მიახმარა თავისიანებს. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებზე ტაქტიკურ ჯარიმებში გაირკვა: მატჩის დასრულებამდე 9 წამით ადრე ბოსტონელმა რაჯონ რონდომ ორი საჯარიმოდან ერთი გააცუდა, მაგრამ მისი გუნდი 86:84 წინ გავიდა. 7 წამის შემდეგ ჯო ჯონსონმაც ასევე მხოლოდ ერთი გამოიყენა, რამაც დამღუპველად იმოქმედა მის გუნდზე — ამით მან ხელიდან გაუშვა თამაშის გადარჩენის ურეალურესი შანსი. არადა ჯონსონი საშუალოდ საჯარიმო სროლების 80 პროცენტზე მეტს აგდებს. მატჩს წერტილი დაუსვა სტუმარმა რეი ალენმა, რომელმაც უკანასკნელ წამს ორივე სროლა ჩააგდო.

რაც შეეხება ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას, მან ბოლო მეოთხედში არც ისე დიდხან ითამაშა, რაიმეს შეცვლის შანსი რომ გასჩენოდა.

17 დეკემბერი. ბოსტონი

**ბოსტონი 126:108 ჩიკაგო**

**ბოსტონი:** რონდო (4 ქულა, 15 პასი), რ. ალენი (27), პირსი (16), გარნეტი (17), პერკინსი (25); ტ. ალენი (10), ჰაუსი (9), პოუი (6), სკალაბრინი (5), დევისი (4), პრუიტი (3), ობრაიანტი

**ჩიკაგო:** როუზი (14), გორდონი (10), დენგი (19), გუდენი (4), გრეი (2); ნოჩიონი (16), ნოა (10), ჰიუზი (9), სეფოლოშა (8), საიმონსი (8), ჰანტერი (8)

*ბოსტონმა ზედიზედ მე-17 მოიგო*

ატლანტური თრილერის შემდეგ „ბოსტონისთვის" „ჩიკაგოსთან" შინაური მატჩი გასეირნებას გავდა. გარეთ ისე თოვდა, რომ მიწისზედა მოძრაობა შეწყდა, ბავშვები სკოლებიდან დაითხოვეს, მაგრამ ხალხი მაინც მივიდა „კელტების" მორიგი გამარჯვების სანახავად — 19 ათასმა ბოსტონელმა ბეჯითად შეავსო „ბოსტონ გარდენი". წინა რიგში მჯდომთა შორის გამოირჩეოდა ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი უსაინ ბოლტი და „კელტები" გასახდელში გასახდელში ხორხოცით მსჯელობდნენ — ჩვენი ყველაზე სწრაფი მოთამაშე რაჯონ რონდო ბოლტს თუ აჯობებს სირბილშიო. რა თქმა უნდა ვერ აჯობებს, მაგრამ იმ საღამოს რონდომ მართლაც ფეთიანივით ირბინა და თანაგუნდელებს 15 პასი გაუკეთა.

„წინა თამაშში გასახდელში მაიკლ ფელპსმა შემოგვიარა და მას ვუთხარი, 2012 წელს ლონდონში შევხვდებით-მეთქი" — ტრაბახობდასავით რონდო ნამატჩევს. როგორც ჩანს, ამერიკის ნაკრებში მოხვედრის და ლონდონის ოლიმპიადაზე თამაშის იმედი აქვს.

თამაში კი დიდი ვერაფერი ვერაფრიშვილი გამოდგა. რეი ალენმა პირველ მეოთხედში 10 ქულა გააკეთა და ეს მეოთხედი 31:19 მოაგებინა თავის გუნდს. მოუხეშავმა ცენტრმა კედრიკ პერკინსმაც კი 25 ქულა მოიხვეჭა და კარიერის რეკორდი დაამყარა. მასპინძლებმა ბოლო მეოთხედში სასტარტოები დაასვენეს, მაგრამ მაინც სეზონში სარეკორდოდ ბევრი 126 ქულით ჩაამთავრეს შეხვედრა. ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი მეფარე კევინ გარნეტი ნამატჩევ ბლიც-ინტერვიუში კორესპონდენტს შესცინოდა — მარტო ერთი მოხსნა მქონდა, ეს რონდო და პერკინსი ხომ არაფერს შეგარჩენენ, გუნდი ალბათ ხვალევე გამცვლისო.

ხუმრობა იქით იყოს და, „ბოსტონ სელტიქსმა" ზედიზედ მე-17 თამაში მოიგო. ერთიც და, 1982 წელს დამყარებულ ლარი ბერდის დროინდელ საკლუბო რეკორდს გაუთანაბრდება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ბოსტონელი კედრიკ პერკინსი ატლანტელთა დაცვას მიარღვევს

| ალმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 25 | 2 | 92,6 | 15-1 | 10-1 | 17 მოგ | 10-0 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 13 | 50,0 | 5-9 | 8-4 | 1 წაგ | 4-6 |
| ფილადელფია | 12 | 15 | 44,4 | 7-8 | 5-7 | 1 წაგ | 5-5 |
| ნიუ იორკი | 11 | 15 | 42,3 | 7-5 | 4-10 | 3 წაგ | 3-7 |
| ტორონტო | 10 | 17 | 37,0 | 5-8 | 5-9 | 5 წაგ | 2-8 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 22 | 4 | 84,6 | 13-0 | 9-4 | 2 მოგ | 9-1 |
| დეტროიტი | 14 | 10 | 58,3 | 7-5 | 7-5 | 1 წაგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 13 | 14 | 48,1 | 10-3 | 3-11 | 1 მოგ | 5-5 |
| მილუოკი | 13 | 16 | 44,8 | 7-4 | 6-12 | 2 მოგ | 6-4 |
| ინდიანა | 10 | 17 | 37,0 | 6-6 | 4-11 | 1 მოგ | 3-7 |
| **სამხრეთ-ალმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 21 | 6 | 77,8 | 11-3 | 10-3 | 4 მოგ | 8-2 |
| ატლანტა | 16 | 10 | 61,5 | 10-2 | 6-8 | 1 მოგ | 6-4 |
| მაიამი | 14 | 12 | 53,8 | 8-5 | 6-7 | 2 მოგ | 6-4 |
| შარლოტი | 9 | 19 | 32,1 | 7-10 | 2-9 | 1 წაგ | 2-8 |
| ვაშინგტონი | 4 | 20 | 16,7 | 3-11 | 1-9 | 5 წაგ | 2-8 |
| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| ნიუ ორლეანი | 16 | 7 | 69,6 | 9-3 | 7-4 | 4 მოგ | 8-2 |
| ჰიუსტონი | 18 | 9 | 66,7 | 9-3 | 9-6 | 3 მოგ | 7-3 |
| სან ანტონიო | 16 | 10 | 61,5 | 9-5 | 7-5 | 1 მოგ | 7-3 |
| დალასი | 14 | 11 | 56,0 | 7-6 | 7-5 | 1 წაგ | 7-3 |
| მემფისი | 9 | 17 | 34,6 | 7-7 | 2-10 | 2 წაგ | 5-5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 17 | 10 | 63,0 | 9-4 | 8-6 | 3 წაგ | 6-4 |
| პორტლენდი | 17 | 10 | 63,0 | 9-2 | 8-8 | 2 მოგ | 6-4 |
| იუტა | 17 | 12 | 58,6 | 10-4 | 7-8 | 1 წაგ | 5-5 |
| მინესოტა | 4 | 22 | 15,4 | 2-11 | 2-11 | 12 წაგ | 0-10 |
| ოკლაჰომა | 3 | 24 | 11,1 | 2-12 | 1-12 | 1 მოგ | 2-8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 21 | 5 | 80,8 | 14-1 | 7-4 | 2 წაგ | 7-3 |
| ფინიქსი | 16 | 11 | 59,3 | 9-5 | 7-6 | 1 მოგ | 5-5 |
| კლიპერსი | 8 | 19 | 29,6 | 3-10 | 5-9 | 1 წაგ | 5-5 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 20 | 28,6 | 4-7 | 4-13 | 1 მოგ | 3-7 |
| საკრამენტო | 7 | 21 | 25,0 | 5-9 | 2-12 | 3 წაგ | 2-8 |
| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |

## NBAმზები



სემ მიტჩელი



მორის ჩიკსი



ედი ჯორდანი



რეჯი თეუსი



ფიჯეი კარლესიმო



რენდი უიტმენი

თვენახევარში ექვსმა გუნდმა გამოიცვალა მთავარი მწვრთნელი — სულ ბოლო გაგდებული „საკრამენტოს" ექსშეფი რეჯი თეუსია — მაგრამ მაინც და მაინც მათი შემცვლელებიც რომ ვერ ამართლებენ? ცვლილება ჯერ მხოლოდ „ფილადელფიას" დაეტყო.

| | ძველი თავკაცი (მოგ-წაგ) | ახალი თავკაცი (მოგ-წაგ) |
|---|---|---|
| ვაშინგტონი | ედი ჯორდანი (1-10) | ედ ტარსკოტი (3-10) |
| ოკლაჰომა | ფიჯეი კარლესიმო (1-12) | სკოტ ბრუქსი (2-12) |
| ტორონტო | სემ მიტჩელი (8-9) | ჯეი ტრაიანო (2-8) |
| მინესოტა | რენდი უიტმენი (4-15) | კევინ მაკჰეილი (0-7) |
| ფილადელფია | მორის ჩიკსი (9-14) | ტონი დილეო (3-1) |
| საკრამენტო | რეჯი თეუსი (6-18) | კენი ნათი (1-3) |

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალი

**რუსთავი. „ქიმიკოსები". 21-24 დეკემბერი**



17 წლის დინამოელმა გივი ბაქრაძემ 4 წამში 7 ქულა გააკეთა

21 დეკემბერი

**ნტდ-თბილისი 93:57 დინამო**

15:11 17:20 38:10 23:16

ნტდ: ფაშაევი (13), სარიევი (14), ნუფთალიევი (5), ბახშიევი (11), დ. ბარბაქაძე (17); კოლულაშვილი (11) კუიდია (8), ჩიჩაშვილი (6), ტეტელაშვილი (2), მამაცაშვილი (2), სუხიშვილი (2), როდუმტა (2)

დინამო: სიგუა (2), სორდია, ლაფანაშვილი (13), ქადარია (10), ხიზანიშვილი (3); ბაქრაძე (15), ნანიტაშვილი (5), დოლიძე (5), კობიძე (2), ხანიაშვილი (2), ბოლქვაძე, გემაზაშვილი

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**შსს 72:96 ენერჯი-ინვესტი**

20:28 16:18 14:14 22:26

შსს: ნინუა (15), გოლეთიანი (4), ბერუაშვილი (22), ბ. ნოზაძე (2), აბულაძე (6); ამაშუკელი (7), ი. ბაქრაძე (4), პატარაია (4), ქვილითაია (3), ბერია (3), ფაიქრიძე (2), მიქაბერიძე

ენერჯი: გამყრელიძე (17), ლეჟავა (3), ტუღუში (11), ბაბიაშვილი (15), უგრეხელიძე (2); ჭოჭუა (12), დიდია (10), დვალიშვილი (7), ცეცხლაძე (7), ტუჯანი (6), მაჭავარიანი (4), არწივიძე (3)

*მსაჯები: ხათუნა გაბედავა, გურამ მიქელაძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნტდ | 1 | 1 | 0 | +36 | 2 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | -36 | 1 |
| მაკაბი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 1 | 1 | 0 | +24 | 2 |
| შსს | 1 | 0 | 1 | -24 | 1 |
| სასოფლო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

22 დეკემბერი

**დინამო — მაკაბი 13:00**

**ენერჯი — სასოფლო 15:00**

23 დეკემბერი

**სასოფლო — შსს 13:00**

**მაკაბი — ნტდ 15:00**

24 დეკემბერი. ფინალი

A1 — B1

# ერთი დარტყმით 7!

**რუსთავის** „ქიმიკოსთა" საკალათბურთო დარბაზი მეორე წელია ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების — ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციულ მემორიალს მასპინძლობს. საქართველოს ჩემპიონატში ცხრა გუნდი თამაშობს, მაგრამ ამ შეჯიბრში მონაწილეობა მათგან სამმა გუნდმა იუარა — „ავიამშენი", თსუ და „ბათუმი" ფინანსური პრობლემების გამო გამოეთიშნენ რუსთავულ ბატალიებს.

6 გუნდი 2 ჯგუფში გადანაწილდა და კვირას საქმესაც შეუდგნენ. ორ ჯგუფში სამ-სამი გუნდი პირველობისთვის იბრძოლებს. მხოლოდ საუკეთესოები გადიან შემდეგ ეტაპზე, ანუ პირდაპირ ფინალში.

დღეს პირველი მატჩები გაიმართა — მემორიალის მასპინძელმა „ენერჯი-ინვესტმა" შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს აგემა საჩემპიონო ძალა. კიდევ უფრო მსხვილსხვაობიანი გამარჯვება ჩაიწერა „ნტდ-თბილისმა", რომელსაც „დინამო" მხოლოდ ერთი ტაიმი გაუმაგრდა. ოთხი აზერბაიჯანელი ლეგიონერით გაძლიერებულ ნუგზარ კანდელაკის ნტდ-ს ამ დღეებში დაემატა ფინანსურად დაუძლურებული თსუ-ს ლიდერი დავით ბარბაქაძე, რომელსაც ერთი ტაიმი დასჭირდა, რომ ჩვეული შემართებით ათამაშებულიყო. ბარბაქაძე აზერბაიჯანის ნაკრების წევრია და ნტდ-ში სწორედ სანაკრებო თანაგუნდელები — ტაირ ბახშიევი, ანარ სარიევი, ფუად ნუფთალიევი და ზაურ ფაშაევი დახვდნენ.

მათი გუნდი ალბათ პირველივე ტაიმში წინ გაიჭრებოდა, „დინამოს" 17 წლის გამთამაშებელ გივი ბაქრაძეს მცირე სასწაული რომ არ მოეხდინა. მან მეტოქე გიორგი მამაცაშვილის დისკვალიფიკაციის სარგო ოთხი საჯარიმო ისროლა და ერთხელაც არ აუკანკალდა ხელი. შემდეგ ნტდ-მ ბურთი რომ თამაშში შემოიტანა, ჩაჭრა და გარღვევაზე წასულმა ორიანიც ჩააგდო და მისი მომყოლი საჯარიმოც. ამგვარად ბაქრაძემ რამდენიმე წამში შვიდი ქულა გააზერხა და თავისი გუნდი 29:28 დააწინაურა.

მაგრამ ნუგზარ კანდელაკის გუნდმა მალევე უკუიპყრო ლიდერობა და მეორე ტაიმში საბოლოოდ გატეხა მეტოქე.

**ვანო ძობიაშვილი**

EFES

EUROLEAGUE BASKETBALL

# ეფესი კალათბურთის ევროლიგის ოფიციალური სპონსორი გახდა

**კომპანია „ეფესი"**, რომელიც საქართველოში ნატახტარის ლუდსახარშის მფლობელია, კალათბურთის ევროლიგის 2008-2009 წლის სეზონის ოფიციალური სპონსორი გახდა.

„ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვუჭერდით მხარს მსოფლიოში სპორტის განვითარებას. კომპანიის დაარსებიდან, 1976 წლიდან, ჩვენს პრიორიტეტს კალათბურთის განვითარებისთვის ხელშეწყობა წარმოადგენდა" — განაცხადა „ეფესის" კომერციულმა დირექტორმა იუკსელ გოკბულუტმა.

„ეფესის" გარდა კალათბურთის ევროლიგის სპონსორები არიან NIKE, GOOGLE, UNICEF, SPORTINGBET და GNTO.

„ეფესი" მსოფლიოს დაახლოებით 50 ქვეყანაში მუშაობს. ის სიდიდით მე-5 ლუდსახარშია ევროპაში. მსოფლიოს მასშტაბით მე-15 კომპანიაა ლუდის მწარმოებლებს შორის.

გარდა კალათბურთისა, „ეფესი" სპონსორობას ფეხბურთს, მუსიკას, თეატრისა და კინოს სფეროებს უწევს.

კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით, „ეფესს" კალათბურთის ევროლიგის ორგანიზატორებთან თანამშრომლობა მომავალ წლებშიც აქვს გადაწყვეტილი.

# ევროლიგა

**ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 17-18 დეკემბერი**

**A ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 93:64 ციბონა

ლე მანი 73:87 მაკაბი

უნიკახა 72:68 აველინო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 2 | +90 | 14 |
| უნიკახა | 8 | 6 | 2 | +49 | 14 |
| მაკაბი | 8 | 5 | 3 | +14 | 13 |
| ციბონა | 8 | 5 | 3 | -7 | 13 |
| აველინო | 8 | 2 | 6 | -60 | 10 |
| ლე მანი | 8 | 0 | 8 | -86 | 8 |

**B ჯგუფი**

ბარსელონა 87:61 მონტეპასკი

პანათინაიკოსი 83:69 ნანსი

ჟალგირისი 79:68 პროკომი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | +129 | 15 |
| მონტეპასკი | 8 | 6 | 2 | +56 | 14 |
| პანათინაიკოსი | 8 | 6 | 2 | +39 | 14 |
| პროკომი | 8 | 2 | 6 | -25 | 10 |
| ნანსი | 8 | 2 | 6 | -114 | 10 |
| ჟალგირისი | 8 | 1 | 7 | -85 | 9 |

**C ჯგუფი**

ულქერი 89:63 ხუვენტუტი

ლოტომატიკა 74:69 ოლიმპია

ალბა 68:73 ტაუ კერამიკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 8 | 6 | 2 | +93 | 14 |
| ლოტომატიკა | 8 | 6 | 2 | +39 | 14 |
| ხუვენტუტი | 8 | 4 | 4 | +2 | 12 |
| ულქერი | 8 | 4 | 4 | 0 | 12 |
| ალბა | 8 | 3 | 5 | -53 | 11 |
| ოლიმპია | 8 | 1 | 7 | -81 | 9 |

**D ჯგუფი**

მილანო 73:59 პარტიზანი

ცსკა 78:82 რეალი

პანიონიოსი 64:78 ეფესი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 6 | 2 | +114 | 14 |
| რეალი | 8 | 5 | 3 | +31 | 13 |
| ეფესი | 8 | 4 | 4 | -19 | 12 |
| პარტიზანი | 8 | 3 | 5 | -7 | 11 |
| მილანო | 8 | 3 | 5 | -30 | 11 |
| პანიონიოსი | 8 | 3 | 5 | -89 | 11 |

## ქართველები უცხოეთში



# მანუჩარის ტრიუმფი

**ზაზა ფაჩულია** და მისი „ატლანტა ჰოქსი" — ვერ ვიტყვით — ნბა-ს აზანზარებენ, მაგრამ მოსაგებ თამაშებს კი იგებენ. გასულ კვირას ჯორჯიელები საკუთარ მოედანზე გამოიკეტნენ და მიჯრით სამი მატჩი ჩაატარეს. სუსტ „შარლოტთან" „ატლანტას" ხელის გამოღება დასჭირდა და ოდენ ოთხი ქულით იძალა — 83:79. ქართველი ცენტრის მონაგარმა 7 წუთში 4 ქულა და 2 მოხსნა შეადგინა. მომდევნო მატჩი მძლავრ „ბოსტონთან" იყო, ვისაც აქამდე 15 გამარჯვება მიეწყო ერთმანეთისთვის და ახლა მე-16 მიაყოლა. ფაჩულიამ და კომპანიამ ახლახანს ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს" 11-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვიტინეს და ხასიათის გაფუჭება „ბოსტონისთვისაც" სურდათ, მეტოქეს გვარიანი ბრძოლა გაუჩალეს და სულ ბოლო წამებზე საჯარიმოების და ნერვების შეჯიბრი დათმეს. საბოლოოდ — 85:88. ქართველმა 14 წუთი ითამაშა და 4 ქულას და 2 მოხსნას დასჯერდა.

ამის მერე „ატლანტას" ლიგის უსუსტესი გუნდი „გოლდენ სტეიტი" 115:99 შემოემარცხა. ზაზამ 14 წუთში 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი გაჩარხა.

ევროპაში გადმოვინაცვლოთ:

მანუჩარ მარკოიშვილს და მის „ბკ კიევს" ევროჩელენჯზე თამაში კარგად გამოსდის. მართალია, ამჯერად მანუჩარმა 26 წუთში 6 ქულა და 3 მოხსნა გაჩარხა, მაგრამ თამაში იყო ისეთი, რომ ქულა ოქროდ ფასობდა. უკრაინელებმა რუსული „ტრიუმფი" 66:65 წააქციეს და ოთხ თამაშში სამი მოგებით ჯგუფში პირველ ადგილზე მოკალათდნენ.

ევროჩელენჯზე გიორგი ცინცაძის და ვიქტორ სანიკიძის „ტარტუ როკმაც" ითამაშა, მაგრამ შინ ვერაფერი მოუხერხა რუსულ ცსკას და 59:89 დამარცხდა. „ბუ" 28 წუთში 5 ქულას, 1 მოხსნას და 3 პასს დასჯერდა, ვიქტორი კი — 4 ქულას და 5 მოხსნას. „როკერები" ახლა G ჯგუფში 4-დან 2 მოგებით მეორე ადგილზე არიან.

აქვე ტაისონ ელისის ამბავიც ვთქვათ, ვის „კახასოლსაც" სტუმრად პოლონური „ენერჯი ჩარნი" შემოელახა — 83:53. ელისმა ესპანელებს 10 ქულა 2 მოხსნა და 4 პასი მიაშველა.

ევროლიგაში გამოჩნდა გიორგი შერმადინი და ფრანგულ „ნანსთან" 83:69 მოგებულ მატჩში 10 წუთში 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მო გროვა.

მისი „პანათინაიკოსი" B ჯგუფში 8 თამაშში 6 გამარჯვებით იწონებს თავს და მომდევნო ეტაპის საგზური განაღდებული აქვს.

მანუჩარ მარკოიშვილის ამბავს დავუბრუნდეთ — მისმა „ბკ კიევმა" შინაური ჩემპიონატის მე-12 ტურში მორიგი გამარჯვება მიითვალა „ბკ-93 პულსარს" 97:78 მოუგო. მანუჩარმა 31 წუთში 22 ქულა, 4 პასი, 1 მოხსნა გააკეთა და ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

**ლევსო მაისურაძე**



# თქვენ გეთამაშებათ სოფელი ჰოფენჰაიმი

## რა უპასუხა დიტმარმა დედას კითხვაზე: შვილო, მასწავლებლობა არ გინდა?

„**ყოველი** გოლისთვის იქაური ყასბები ძეხვით მასაჩუქრებდნენ" — გაიხსენა მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, რომლის ქონებაც ახლა სამ მილიარდ დოლარს უკაკუნებს...

1940 წლის 26 აპრილს ჰაიდელბერგში დაბადებული დიტმარ ჰოპი ჰოფენჰაიმში გაიზარდა და 60-იან წლებში ამ სოფლის (3300 მოსახლე) გუნდში რამდენიმე წელი ფორვარდად თამაშობდა.

მერე ბურთის დევნა მოსწყინდა, სასწავლებლად წავიდა, კორპორაცია IBM-ში პროგრამისტად მუშაობდა და 1972 წელს ოთხ თანამოაზრესთან ერთად საკუთარი ფირმა IAP შექმნა. თავიდან ოფისი მანჰაიმში ჰქონდათ, შემდეგ კი ვალდჰოფში გადაიტანეს.

ამჟამად ეს ფირმა ევროპაში უდიდესია პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში და მისი პროდუქციით (საბუღალტრო, სავაჭრო და საწარმოო პროგრამები) მთელი მსოფლიო სარგებლობს.

ჰოფენჰაიმი კოხტა ევროპული სოფელია, კოხტა „დიტმარ ჰოპ შტადიონით", რომელიც 6350 მაყურებელზეა გათვლილი და კლუბის ასწლოვანი იუბილესთვის (1999) დიტმარ ჰოპის ფულით ააშენეს.

იქვეა გოლფ კლუბი „ლეონ-როტი", სადაც თვით ტაიგერ ვუდსს სამი დიდი ტურნირი მოუგია.

1989 წელს „ჰოფენჰაიმს" რაისლიგიდან (მერვე ლიგა) გავარდნა ემუქრებოდა და მაშინ უკვე მილიონერმა ჰოპმა თავისი სოფლის გუნდის აყვავება გადაწყვიტა. დასაწყისისთვის 10 ათასი მარკა გაიღო, რითაც ბურთები და სავარჯიშო ფორმები იყიდეს.

„ჰოფენჰაიმის" პატრონს გერმანიაში „სოფლელი აბრამოვიჩი" შეარქვეს, მაგრამ მას რუს ოლიგარქთან შედარება არ სიამოვნებს და ამბობს: „მე სრულიად საწინააღმდეგოს ვაკეთებ. ის ვარსკვლავებს ყიდულობს, მე კი ფულს ახალგაზრდა ფეხბურთელებში ვაბანდებ".

და მართლაც, შედეგი 19 წლის შემდეგ მოვიდა — 2008-ის აგვისტოში „ჰოფენჰაიმმა" ბუნდესლიგაში პირველი მატჩი ითამაშა.

ბუნდესლიგამდე გზა გრძელი და რთული იყო. ოთხი სეზონი ლანდესლიგაში (მეექვსე ლიგა) გაატარა, ოთხი კი — ფერბანდსლიგაში (მეხუთე). 2000 წელს ჰანს ფლიკის თავკაცობით (ამჟამად იოახიმ ლიოვის თანაშემწეა) ობერლიგა გაირა და რეგიონალლიგაში (მესამე) გადავიდა, სადაც ექვსი წლით გაიჭედა.

მაშინ რომ ეყიდა რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი, რაც მილიარდერს არ გაუჭირდებოდა, რეგიონალლიგაში არ იყურყუტებდა ამდენი ხანი, მაგრამ ჰოპს აბრამოვიჩობა არ სურდა.

ანდრეას ბეკი, ბრაზილიელი კარლოს ედუარდო, სენეგალელი დემბა ბა და ნიგერიელი ობასი „ჰოფენჰაიმში" მისვლისას დაულევინებელი ფეხბურთელები იყვნენ. ვედად იბიშევიჩი — ბუნდესლიგის ახლანდელი ბომბარდირი — არც პსჟ-ში ბრწყინავდა და არც „ალემანიაში". კომპერი და ვაისი თავის დროზე „დორტმუნდმა" და „შტუტგარტმა" დაიწუნეს, „ჰოფენჰაიმში" კი თავი ისე გამოიჩინეს, რომ ლიოვმა ნაკრებში უხმო.

როგორ მოახერხეს ამ უცნობმა ფეხბურთელებმა ბუნდესლიგის შეზანზარება? ჰოპის ფულებმა ასწავლა უკეთ თამაში?

არა — აქ უკვე ნიჭიერი მწვრთნელის ხელი ურევია. ფლიკის ნაცვლად დანიშნულმა რალფ რანგნიკმა (მეტსახელად „პროფესორი") თანაშემწედ აიყვანა ბერნარდ პეტერსი — ბალახის ჰოკეიში გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

„როგორ შევქმნათ ცალკეული მოთამაშეებისგან კარგი გუნდი" — ასე ჰქვია ლექციას, რომელსაც პეტერსი სხვადასხვა გერმანულ კომპანიებში კითხულობდა. მისი აყვანა თავის დროზე ნაკრებში იურგენ კლინსმანს სურდა, ქვეყნის ფეხბურთის კავშირმა კი, რა სისულელეაო.

„პროფესორმა" და „ლექტორმა" ორ წელიწადში ისეთი გუნდი გააკეთეს, რომელიც სწრაფ, შემტევ, ერთშეხება ფეხბურთს თამაშობს და სულ გრიალ-გრიალით, უკან მოუხედავად გაიარეს რეგიონალლიგაც და მეორე ბუნდესლიგაც.

ამიტომაც გახდა „ჰოფენჰაიმი" „ზამთრის" ჩემპიონი და სოფლის გუნდი დანარჩენ ბუნდესლიგელებს ზემოდან გადაჰყურებს.

„რას ნიშნავს „ზამთრის ჩემპიონი"? — უთქვამს თურმე ჰოპს პირველი წრის დასრულების შემდეგ — ამ ტიტულით რამის ყიდვა შეიძლება? მაისის ბოლოს ვინ იქნება პირველი — აი, ესაა მთავარი!"

შვიდი თვის წინ, მაისში, მეორე ბუნდესლიგიდან პირველში გადასვლას რომ ზეიმობდნენ, ტრაქტორებზე დამსხდარან და ისე უვლიათ ჰოფენჰაიმში.

„დიდი კლუბები ჩემპიონობას ავტობუსების სახურავებზე ზეიმობენ, ჩვენ კი, სოფლელებს ტრაქტორები უფრო გვიხდება" — იხუმრა „სოფლელმა აბარმოვიჩმა".

...დიტმარმა დედის კითხვას: „შვილო, მასწავლებლობა არ გინდა?" უპასუხა: „არა, მილიონერობა მინდა!".

და გახდა მილიარდერი...

**რომან თურძია**

# კაფუ. აპრილი. სოფელი

**მსოფლიოს** ორგზის (1994, 2002) ჩემპიონი, „რომისა" და „მილანის" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მცველი კაფუ მომავალი წლიდან ინგლისის მერველიგელ „გარფორტში" ითამაშებს.

„ის აპრილში ჩამოვა და ჩვენს გუნდში რამდენიმე მატჩს გამართავს — თქვა კლუბის მენეჯერმა საიმონ კლიფორდმა — ეს დიდი ჯილდო იქნება „გარფორტისთვის", რადგან ამ გუნდის მაისურას მსოფლიოს ჩემპიონი ჩაიცვამს".

38 წლის კაფუ წინა სეზონში „მილანიდან" წავიდა და იმ ბრაზილიელების სიაში მოხვდება, რომლებსაც ჩრდილო იორკშირულ „გარფორტში" უთამაშიათ. კაფუმდე ამ გუნდში ბურთი სოკრატესს და კარეკას გაუგორებიათ.

კაფუს ნაკრებში 142 მატჩი უთამაშია, ჩემპიონთა ლიგა (2007) და ორჯერ იტალიის ჩემპიონატი (2001, 2004) მოუგია.

# ბურთის კაცმა მოტოკაცს გაასწრო



**ალესანდრო** დელ პიერო იტალიის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, თავად კი თქვა, რომ ჯერ კიდევ აქვს „ოქროს ბურთის" მოგების იმედი.

„იუვენტუსის" კაპიტანმა RAI-ს გამოკითხვაში 58 პროცენტით პირველი ადგილი დაიკავა და მოტომრბოლ ვალენტინო როსის 18 პროცენტით გაასწრო.

„საუცხოო შეგრძნებაა და სასიამოვნოა, რომ ხალხმა ასე დამაფასა — თქვა 34 წლის დელ პიერომ — კმაყოფილი ვარ განვლილი წლით, ჩემი თამაშით და იმითაც, რაც ჩემს გარშემო ხდება. „ოქროს ბურთის" მოგება მინდა და ამის იმედი ჯერ არ დამიკარგავს. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რას მივაღწევთ ჩემპიონთა ლიგაში.

სიბერეს ჯერ ვერ ვგრძნობ, რადგან ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ამით ბედნიერი ვარ. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე თამაშსაც ვაპირებ. არ ვიცი, რას ვიზამ კარიერის დასრულების შემდეგ, რადგან ამაზე ჯერ არ მიფიქრია".

# ვიქტორიას ქმრის თავგადასავალი

**მილანში** გუშინწინ ჩასულმა დევიდ ბექემმა თქვა, ჩემთვის უდიდესი პატივია ამ კლუბში თამაშიო.

სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ინგლისელმა, რომელმაც „შავ-წითლებთან" სამთვიანი კონტრაქტი გააფორმა, საკლუბო ტელევიზიას ინტერვიუ მისცა: „ეს თავგადასავალი ძალიან ამაღელვებელია — ბრძანა ბექემმა — „მილანი" მართლაც უდიდესი გუნდია მსოფლიოში, რომელიც თავისი ისტორიით სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას.

საუკეთესო ინგლისურ (მანჩესტერი) და ესპანურ (რეალი) კლუბებში მითამაშია და ახლა საუკეთესო იტალიურში ვარ. ჩემი მიზანი გულიანად ვარჯიში და „მილანის" დახმარებაა."

დევიდ ბექემს თამაშის უფლება იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ ექნება.

„ის ჩვენთან 9 მარტამდე დარჩება — განაცხადა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — ბოლო მატჩს 8-ში, „ატალანტასთან" ითამაშებს, მერე კი ვინ იცის, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. შესაძლოა, ასეთივე კონტრაქტი მომავალში კიდევ გავაფორმოთ. „გალაქსიდან" იჯარით მისი გადმოყვანა და იტალიაში თამაშის უფლების მოპოვება, იოლი მოსაგვარებელი არ იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ".



## ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
### მერვედფინალი. წილისყრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწისძვრა


ძველი და კარგი ნაცნობები: ჟოზე მოურინიუ და ალექს ფერგიუსონი

ატლეტიკო (ესპანეთი) – პორტუ (პორტუგალია)
ლიონი (საფრანგეთი) – ბარსელონა (ესპანეთი)
არსენალი (ინგლისი) – რომა (იტალია)
ინტერი (იტალია) – მანჩესტერი (ინგლისი)
რეალი (ესპანეთი) – ლივერპული (ინგლისი)
ჩელსი (ინგლისი) – იუვენტუსი (იტალია)
ვილიარეალი (ესპანეთი) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სპორტინგი (პორტუგალია) – ბაიერნი (გერმანია)

**წილისყრის** შედეგები ისეთი იყო, რომ ნიონში უეფას შტაბ-ბინა შეაზანზარა. იტალია ინგლისს დაეჯახა.

ჟოზე მოურინიუსაც მეტი რა უნდოდა — უმალ ამბავი ატეხა.

ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „მანჩეტერი“ — „ოლბორგის“ მატჩისას უეინ რუნიმ მეტოქე კასპერ რისგაარდი ჩაწიხლა და უეფამ დისკვალიფიკაცია არ მისცა.

ჟოზე მოურინიუმ კი ბრძნულად თქვა, რუნი რომ დასჯილიყო, „ინტერთან“ მერვედფინალში ვერ ითამაშებდაო.

„როცა „ჩელსიში“ ვიყავი, მსგავსი რამ ჩვენც გადაგვხდა“ — აქედანვე შეუტია მეტოქეს პორტუგალიელმა — „ტელეგამეორებაზე მიკაელ ესიენი „დაიჭირეს“, რომელიც „ლივერპულთან“ შეხვედრისას (2005) დიტმარ ჰამანს ეუხეშა. ამის გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და „ბარსელონასთან“ ორივე თამაში გამოტოვა...

ზუსტად იგივე უნდა მომხდარიყო უეინ რუნის შემთხვევაშიც, მაგრამ უეფამ რატომღაც დაინდო და ახლა ის ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებს“.

რუნიზე ლაპარაკი რომ დაამთავრა, მოურინიუმ „მანჩესტერი“ და ფერგიუსონი აქო: „ისინი ჩემპიონთა თასის მფლობელები არიან, ჰყავთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და დიდებული მწვრთნელი...

დარწმუნებული ვარ, რომ პირველ მატჩზე „სან სიროზე“ ყველა ბილეთი გაიყიდება და საუცხოო სანახაობა გამოვა. ასეთი შეხვედრები არასოდეს მავიწყდება და რაღა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ კვლავ ვესტუმრები „ოლდ ტრეფორდს“.

ჟოზე მოურინიუს „პორტუ“ ფერგიუსონის „მანჩესტერს“ 2004 წელს ასევე მერვედფინალში დაეჯახა. მაშინ პორტუგალიელებმა იმარჯვეს და იმ სეზონში თასიც მოიგეს.

მერე მეტოქეობა უკვე პრემიერლიგაში გაგრძელდა. მოურინიუს „ჩელსი“ ზედიზედ ორჯერ (2005, 2006) გახდა ინგლისის ჩემპიონი. ეს მწვრთნელები სულ 12-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს („პორტუ“ — „მანჩესტერის“ ჩათვლით) და შოტლანდიელმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა გამარჯვება.

„საინტერესო იქნება ჟოზე მოურინიუს „ინტერის“ წინააღმდეგ თამაში“ — თქვა ფერგიუსონმა — „ძალიან კარგი პიროვნებაა და საერთო ენას ყოველთვის ვპოულობდით. მისმა „პორტუმ“ ერთხელ უკვე გამოგვაგდო მერვედფინალიდან და ვიმედოვნებ, რომ ამჯერად იღბალი ჩვენს მხარეს იქნება...

ბოლო წლებში „ინტერი“ სერია A-ს უცვლელი ჩემპიონია, რაც გუნდის სტაბილურობაზე მიუთითებს“.

„მანჩესტერმა“ ჩემპიონთა ლიგის (1998-99) მეოთხედფინალში, ორი მატჩის ჯამში უმოურინიო „ინტერი“ 3:1 დაამარცხა და თასსაც დაეუფლა.

„ჩელსისთვის“ უბედურება იქნება, მეოთხედფინალში თუ ვერ გავა“ — ეს კი კლაუდიო რანიერის სიტყვებია, რომელმაც „ჩელსის“ ოთხი სეზონი (2000-04) შეალია — „ეს გუნდი აბრამოვიჩმა ჩემპიონთა თასის მოსაგებად შექმნა და კიდევ ერთხელ რომ ვერ მიაღწიოს მიზანს, უკვე კატასტროფაა...

არა მგონია, მათ „იუვენტუსთან“ შეხვედრა უხაროდეთ. ვიმედოვნებ, რომ თებერვლისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნებით. „ჩელსი“ ამ ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. იმის გამო, რომ რომან აბრამოვიჩმა გამათავისუფლა, შურისძიებაზე არ ვფიქრობ. მისი უდავოდ მადლიერი ვარ, რადგან პირველად ჩემს კარიერაში, „ჩელსიში“ მქონდა იმის საშუალება, ძვირფასი ფეხბურთელი მეყიდა...

ტურინსა და ლონდონში ორ საინტერესო მატჩს ვნახავთ. ზოგადად კი, იტალიური კლუბებისთვის ინგლისურებთან შეჯიბრი სასარგებლო უნდა იყოს. ერთმანეთის ფონზე გამოჩნდება მათი ძალა“.

„ჩელსის“ მღივანმა დევიდ ბანადმა განაცხადა: „ნებისმიერი მერვედფინალისტი უმაღლესი კლასისაა, თუმც შეიძლებოდა უფრო ძლიერიც შეგვხვედროდა, მაგალითად, „ბარსელონა“. მჯერა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩვენი ფანები კლაუდიო რანიერის გულთბილად მიიღებენ“.

„არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა აქედანვე გააფრთხილა ფეხბურთელები, „რომა“ იოლი მეტოქე არ გეგონოთო:

„ისევე, როგორც ყველა სხვა გუნდს, ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი ჩვენც გვაქვს. მერვედფინალში შეცდომები უკვე ძვირად ფასობს. 180 წუთიდან ხუთი წუთიც რომ მოდუნდე, მორჩა, ტურნირს დაემშვიდობები. ასე დაგვემართა გაზაფხულზე „ლივერპულთან“...

„რომამ“ სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ ახლა ისეთ ფორმაშია, რომ ევებ საუკეთესოც კი იყოს ამ მომენტისთვის იტალიაში...

კარგად დაბალანსებული გუნდია, რომელიც მოკლე პასებით საუცხოოდ თამაშობს და მათ წინააღმდეგ ნებისმიერი კლუბის დაცვას გაუჭირდება...

ლიგის ფინალი რომშია და, ცხადია, რომ ისინი მაქსიმალური მონდომებით იბრძოლებენ. ამიტომ ჩემ ფეხბურთელებს მეტოქის შეუფასებლობას არ ვურჩევ“.

რანიერივით და მოურინიუსავით პრემიერლიგაში ნამუშევარ ხუანდე რამოსსაც მოუწევს ინგლისში დაბრუნება, რადგან წილისყრამ მის „რეალს“ „ლივერპული“ არგუნა.

რამოსმა თქვა, მოწინააღმდეგის არ მეშინიაო: „მერვედფინალში ბევრი ძლიერი კლუბია და მათ შორის ორი, „ლივერპული“ და „რეალია“. არც ჩვენ და, ალბათ, არც „ლივერპულს“ გაუხარდა, ერთმანეთს რომ შევხვდით. თუმცა რაფაელ ბენიტესის გუნდის არ გვეშინია. მეც კარგად ვიცნობ მათ და ბენიტესიც კარგად იცნობს ჩემს გუნდს“.

**ვაჟა ხუციშვილი**



კლაუდიო რანიერის ფრენკ ლამპარდის კარგი თამაში სულაც არ გაუხარდება

## უეფას თასი 2008–2009
### მეთექვსმეტედფინალი. წილისყრა

პსჟ (საფრანგეთი) – ვოლფსბურგი (გერმანია)
კოპენჰაგენი (დანია) – სიტი (ინგლისი)
ნაიმეგენი (ჰოლანდია) – ჰამბურგი (გერმანია)
სამპდორია (იტალია) – მეტალისტი (უკრაინა)
ბრაგა (პორტუგალია) – სტანდარდი (ბელგია)
ასტონ ვილა (ინგლისი) – ცსკა (რუსეთი)
ლეხი (პოლონეთი) – უდინეზე (იტალია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – სტ. ეტიენი (საფრანგეთი)
ფიორენტინა (იტალია) – აიაქსი (ჰოლანდია)
ოლბორგი (დანია) – დეპორტივო (ესპანეთი)
ვერდერი (გერმანია) – მილანი (იტალია)
ბორდო (საფრანგეთი) – გალათასარაი (თურქეთი)
დინამო (უკრაინა) – ვალენსია (ესპანეთი)
ზენიტი (რუსეთი) – შტუტგარტი (გერმანია)
მარსელი (საფრანგეთი) – ტვენტე (ჰოლანდია)
შახტარი (უკრაინა) – ტოტენჰემი (ინგლისი)
















# ტოპ-10: იანვარში დაგეგმილია...

**ბრიტანულმა „დეილი ტელეგრაფმა" იმ ტრანსფერთა ტოპ-10 გამოაქვეყნა, რომელთა განხორციელებაც იანვარშია მოსალოდნელი.**

### 10. ლანდონ დონოვანი

**გალაქსი – ევერტონი**

ამერიკელმა სეზონის ბოლომდე დაშავებული აიეგბენი იაკუბუ უნდა შეცვალოს.

### 9. იონ არნე რიისე

**რომა – ნიუკასლი**

„ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი, ეგებ, ინგლისში დაბრუნდეს. ჯონ კინეარს ძალიან უნდა შორი დარტყმების კარგი შემსრულებელი ნორვეგიელი თავისთან ჰყავდეს.

### 8. ფერნანდო კავენაგი

**ბორდო – ლივერპული**

არგენტინელი ჩაკარგული იყო „სპარტაკში", „ბორდოში" კი გაიბრწყინა, 22 გოლი გაიტანა ერთ სეზონში და თუ დანიელ აგერი „მილანში" გადაბარგდა, „ლივერპული" კავენაგის იყიდის.

### 7. ანდრე-პიერ გინიაკი

**ტულუზი – ტოტენჰემი**

ჰარი რედნაპს დარენ ბენტი კი ჰყავს, მაგრამ მაინც უჩივის კლასიკური ცენტრფორვარდის საჭიროებას და 23 წლის ფრანგის ყიდვის აუცილებლობას ამით ასაბუთებს.

### 6. დარიო სრნა

**შახტარი – არსენალი**

ეს უფრო მოსალოდნელი ტრანსფერია, თუმცა ხორვატით „ლივერპულიც" საკმაოდ სერიოზულადაა დაინტერესებული.

### 5. ვინჩენცო იაკვინტა

**იუვენტუსი – არსენალი**

28 წლის იტალიელმა „არსენალს" გამოცდილი, ასაკიანი ფეხბურთელების ნაკლებობა უნდა აუნაზღაუროს. ამ ასაკისა, „მეთოფეებს" პრაქტიკულად არავინ ჰყავთ.

### 4. იაია ტურე

**ბარსელონა – არსენალი**

ეს კოტდივუარელი ჯეელი, შესაძლოა, უფროს ძმას, კოლო ტურეს შეუერთდეს ლონდონში.

### 3. ზორან ტოშიჩი

**პარტიზანი – მანჩესტერი**

სწრაფი და ღონიერი სერბი ალექს ფერგიუსონს რაიან გიგზის შემცვლელად ეგულება.

### 2. ჯანლუიჯი ბუფონი

**იუვენტუსი – მანჩესტერ სიტი**

იტალიელ მეკარეს „ქალაქელებთან" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. ჯო ჰარტი ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი მეკარეა, „სიტის" კი ასეთი არ აწყობს.

### 1. კაკა

**მილანი - მანჩესტერ სიტი**

ფიქრობენ, რომ „სიტის" მეპატრონე არაბი შეიხები „მილანს" ბრაზილიელის სანაცვლოდ 70 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ.















| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თებერვალი, 1997 | ☞ | პსჟ | ☞ | არსენალი | ☞ | 500 000 |
| აგვისტო, 1999 | ☞ | არსენალი | ☞ | რეალი | ☞ | 22 300 000 |
| ივლისი, 2000 | ☞ | რეალი | ☞ | პსჟ | ☞ | 22 000 000 |
| ივნისი, 2002 | ☞ | პსჟ | ☞ | სიტი | ☞ | 12 000 000 |
| იანვარი, 2005 | ☞ | სიტი | ☞ | ფენერბაჰჩე | ☞ | 7 000 000 |
| აგვისტო, 2006 | ☞ | ფენერბაჰჩე | ☞ | ბოლტონი | ☞ | 8 000 000 |
| იანვარი, 2008 | ☞ | ბოლტონი | ☞ | ჩელსი | ☞ | 15 000 000 |

# ნიკოლა ანელკა მილიონეზისთვის




**ვინ არის** ის ფეხბურთელი, რომელშიც ყველაზე მეტი ფულია გადახდილი? ეს ნიკოლა ანელკა გახლავთ.

განვმარტოთ: ლაპარაკია არა ერთ კონკრეტულ სატრანსფერო ფასზე, არამედ ფეხბურთელში ჯამში გადახდილ ფულზე. ერთი ტრანსფერის ღირებულებაზე რომ იყოს ლაპარაკი, ანელკა ახლოსაც ვერ მივიდოდა, ვთქვათ, ზინედინ ზიდანთან ან ლუიშ ფიგუსთან, მაგრამ მისი ყველა ტრანსფერის ღირებულებას თუ შევაჯამებთ, 86,8 მილიონ გირვანქას მივიღებთ, რაც მსოფლიოს ფეხბურთში აბსოლუტური რეკორდია. ჩვენთვის უფრო ნაცნობ ვალუტაში რომ გადავიყვანოთ, 86,8 მილიონი გირვანქა 162 316 000 დოლარია.

ანელკას ტრანსფერთა ცხრილს რომ ჩახედავთ, აღმოაჩენთ, რომ ყველაზე მეტად მის პირველ კლუბს, „პარი სენ ჟერმენს" უზარალია: მუქთად აყვანილი ფეხბურთელი ჯერ ნახევარ მილიონად გაყიდა, მერე 22 მილიონად იყიდა და მხოლოდ 12-ად გაყიდა. ანუ უზარმაზარი ფულის შოვნის ნაცვლად ათ მილიონამდე წააგო. სხვებზე გონივრულად კი „არსენალი" მოიქცა — ლონდონელმა „მეთოფეებმა" 21,8 მილიონი გირვანქა მოიგეს.

**კოტე კეკელია**

# მეშინოდაო

**ირინა აბრამოვიჩმა**, „ჩელსის" მეპატრონის ყოფილმა ცოლმა, ჟურნალისტებს განუცხადა, თქვენ რომ გგონიათ, არც ეგეთი დალხენილი ცხოვრება მქონდაო.

„მუდმივად გვეშინოდა ჩვენი შვილების გამო. თეატრში და მუზეუმშიც კი უამრავი პირადი მცველის თანხლებით დავდიოდით. არანორმალური ცხოვრების წესი გვქონდა" — დაიჩივლა რომან აბრამოვიჩის ექს-მეუღლემ, რომელმაც განქორწინების მერე ქმრის 11-მილიარდიანი ქონებიდან რაღაც „გროშები" მიიღო — 150 მილიონი გირვანქა.

აი, აბრამოვიჩის ახალ გატაცებაზე, დაშა ჟუკოვაზე, ყოფილი ცოლი არაფერს ამბობს: „მთავარია, ჩემი შვილები იყვნენ კარგად. რომანი მათზე მზრუნველობას დამპირდა და სიტყვას ასრულებს."

ისე, დავიჯეროთ, ახლა აღარ სჭირდებათ აბრამოვიჩის შვილებს მცველთა ამალა?

**კოტე კეკელია**



## საფლავის მძარცველები

**ლეგენდარული** ფერენც პუშკაშის საფლავი გაძარცვეს. ვანდალებმა მემორიალიდან, ნივთები წაიღეს, მათ შორის წიგნი, რომელშიც უნგრელი ფეხბურთელის თაყვანისმცემლები სამახსოვრო ჩანაწერებს ტოვებდნენ.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ როგორ შეაღწიეს მძარცველებმა საფლავზე, რომელსაც მუდმივად იცავენ. მადრიდის „რეალის“ მეგოლე და უნგრეთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი 2006-ში 79 წლისა გარდაიცვალა.

## ჩხუბი 500 გირვანქად

**შოტლანდიური** „ჰიბერნიანის“ პორტუგალიელ ლეგიონერ ფელიპე მორაშს 500-გირვანქიანი ჯარიმა გამოუწერეს. მიზეზი: ედინბურგის ერთ-ერთ კაზინოში პორტიე გატყიპა.

ამა წლის 26 სექტემბერს პორტუგალიელმა კაზინოში ჩხუბი ატეხა. პორტიეს ჯერ აგინა, მერე მუშტიც ჰკრა: სახეში ლეწა და წააქცია, წაქცეულს კი წიხლიც მიაყოლა.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მორაში მანამდე ხულიგნობაში შემჩნეული არ იყო და დანაშაული აღიარა.

ფელიპე მორაშის ჯამაგირი კვირაში 1 300 გირვანქაა და 26 აგვისტოს მერე ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია. სასამართლოსგან გამოწერილი ჯარიმის გარდა, პორტუგალიელის ჯიბე კლუბმაც შეამსუბუქა — ორი კვირის ხელფასი ჩამოაჭრა.

## მეცხვარე სერი

**სერ ბობი** რობსონმა მშობლიურ ქალაქ დარემში საძოვარზე ცხვრის გაყვანის საპატიო უფლება მიიღო. ინგლისის ნაკრების, „პორტუს“, „ბარსელონას“ და „ნიუკასლის“ ყოფილი მწვრთნელი ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის და ქველმოქმედებისთვის საგანგებოდ დააჯილდოვეს.

75 წლის რობსონის დაჯილდოების ცერემონია დარემის მერიაში შედგა. საძოვარზე ცხვრის გაყვანის უფლების მოპოვება დიდ პრივილეგიად ითვლება ბრიტანეთში.

სერ ბობი რობსონის საქველმოქმედო ფონდმა კიბოსთან ბრძოლაში მილიონ გირვანქაზე მეტი გაიღო. თვითონ რობსონი 1991 წლიდან კიბოთია დაავადებული. მკურნალობის კურსი არაერთხელ გაიარა, მაგრამ 2008-ის აგვისტოში ექიმებს უარი უთხრა, რადგან ქიმიოთერაპიის ბოლო კურსმა სასიკეთო შედეგი არ მოუტანა.

## პელეს ანიმაცია

**„ფეხბურთის მეფე“** პელე გახდება მთავარი გმირი ინდური მულტფილმისა, რომელსაც კომპანია COMPACT DISC INDIA გადაიღებს.

ამ კომპანიამ კომპიუტერულ თამაშებსა და სუვენირების წარმოებაში პელეს სახელის გამოყენების უფლებაც შეიძინა.

CDI-ის შეფმა სურეშ კუმარმა თქვა, რომ მულტფილმის სცენარზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ხოლო ბრაზილიურმა „პრაიმ ლიცენზინგმა“, რომელსაც პელეს სახელის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება გააჩნია, დაადასტურა — CDI-ის პროექტში „ფეხბურთის მეფე“ გმირი იქნება.

აქვე ვთქვათ, რომ 1981 წელს პელემ მთავარი როლი ითამაშა ფილმში „სწრაფვა გამარჯვებისკენ“.

# სანპედროელი



ხორხე ვალდანოს ცხრა წლის წინ გამოცემულ წიგნში არის ინტერვიუ გვარდიოლასთან, რომელიც ასე მთავრდება: ხორხე ვალდანო: პეპ, კარიერის დასრულების მერე რას აპირებ? ხოსეპ გვარდიოლა: არ ვიცი, ალბათ, მწვრთნელი გავხდები. ხორხე ვალდანო: შენ უკვე ხარ მწვრთნელი... 80-ანი წლების ბოლოს „ბარსელონა“ საშინელ დღეში იყო. დიდი ხნის განმავლობაში ჯილდოების სიმცირემ და შიდა საკლუბო სკანდალებმა ქომაგები უიმედო მდგომარეობამდე მიიყვანა. იცვლებოდნენ მწვრთნელ-ფეხბურთელები და ამის მიხედვით იცვლებოდა სათამაშო ყაიდაც, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ჩემპიონთა თასის ფინალში (1986) „სტიაუასათან“ მარცხმა ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა. 1987-88 წლების სეზონში „კამპ ნოუზე“ გულშემატკივართა დასწრებამ რეკორდულად იკლო. ზოგჯერ სტადიონის მესამედიც კი არ ივსებოდა. ასეთი ამბები ხდებოდა „ბარსაში“, როცა კლუბის პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო — 1988 წლის ივლისში მწვრთნელობა იოჰან კრუიფს შესთავაზა. ნუნიესის ავტორიტეტი იმხნად ნულს უტოლდებოდა და კრუიფის, „ბარსას“ ყოფილი ვარსკვლავის, დანიშვნაც მედიამ პიარ-კამპანიად მონათლა. კრუიფს უნდა გაეცოცხლებინა „ბარსელონა“ და გულშემატკივრები სტადიონზე დაებრუნებინა. ჩემპიონობას „ბარსა“ 11 წელი ელოდა და ტერი ვენეიბლზის თავკაცობით 1985-ში მოიპოვა. იმ სეზონში „კამპ ნოუს“ მოედნის კიდესთან, ბურთის მიმწოდებელ ბიჭებში 14 წლის შავტუხა, სუსტი ბავშვი ერია. ბერნდ შუსტერს და მის თანაგუნდელებს ბურთს მიუცუნცულებდა და თან „ბარსას“ მაისურაზე ოცნებობდა...

ბიჭი არაფრით გამოირჩეოდა. დაბალი და გამხდარი იყო, რამაც მის საფეხბურთო მომავალს კინაღამ წერტილი დაუსვა.

ქალაქ სანპედროში (კატალონია) 1971 წლის 18 იანვარს დაბადებულ ბავშვს ხოსეპ გვარდიოლა სალა დაარქვეს. კატალონიურად, ჟოზეპ გვარდიოლა ი სალა.

ფეხბურთი ბიჭს პატარაობიდანვე იტაცებდა და მშობლებმა მანსერას „ხიმნასტიკში“ მიიყვანეს. იქ „ბარსელონას“ სკაუტებს მოუვიდათ თვალში და სახელგანთქმული სელექციონერი ორიოლ ტორტი გვარდიოლას სანახავად საგანგებოდაც ჩაბრძანდა. ტორტი ბავშვით მოიხიბლა და „ბარსელონაში“ წაიყვანა. ახალმისულმა პირველ და მეორე მატჩებში თავი ვერაფრით გამოიჩინა და „ხიმნასტიკში“ მისი დაბრუნდება თითქმის გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ტორტი გაჯიუტდა და გვარდიოლას მესამე შანსი მისცეს.

მესამე თამაშს „ბარსელონას“ აკადემიის ლამის მთელი შეფობა დაესწრო და სანპედროელმა ბიჭმაც თავი არ შეირცხვინა.

1984 წლის 28 ივნისს ხოსეპ გვარდიოლა „ბარსელონაში“ მიიღეს, ოღონდ ამის მერეც გამოჩნდა რამდენიმე მწვრთნელი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ამ ფარატინა ბავშვისგან პროფესიონალი ვერ დადგებოდა. ისეთი ცეროდენა იყო, თანატოლებში მოედანზე წერტილივით ჩანდა.

კლუბის ექიმმა ბესტიტმა „ცეროდენას“ ჯანმრთელობა შეამოწმა და მწვრთნელებს მოახსენა, ხარივით ჯანიანიაო. საგანგებო დიეტაც დაუნიშნა, დრომ კი აჩვენა, რომ ბესტიტი მართალი გამოდგა.

ხოსეპ გვარდიოლას ბავშვობიდან შემორჩა მეტსახელი — „ბიჭი სანპედროიდან“.

სანპედროელი ბიჭი არც ტექნიკით და არც ლამაზი გოლებით არ გამოირჩეოდა. ტორტი იხსენებდა, რომ თანატოლებისგან განსხვავებით, რომლებიც ბურთს ვერ ელეოდნენ და ფინტაობდნენ, გვარდიოლა ერთი შეხებით თამაშობდა.

„კამპ ნოუზე“ ხოსეპ გვარდიოლა პირველად 1986 წლის 16 აპრილს, შვედურ „გიოტებორგთან“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ნახეს. პენალტების სერიაში „ბარსელონამ“ ვიქტორ მუნიოსის გოლით რომ მოიგო, 15 წლის გვარდიოლა მოედნაზე შევარდა და მუნიოსს კისერზე ჩამოეკიდა. ეს აკრძალული იყო, მაგრამ იმ სიხარულის ზღვაში ვინ დაეძებდა, შეიძლებოდა თუ არა...

კრუიფის „ბარსელონამ“ „რეალის“ ჰეგემონია პირველივე სეზონში ვერ შეწყვიტა, მაგრამ ძველი ტაქტიკა შეცვალა და ახალგაზრდებსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. კრუიფის ტაქტიკაში მთავარი ფლანგები და ცენტრალური ნახევარმცველი იყო, რომელიც ბურთს ჭკვიანურად გაანაწილებდა.

ამ პოზიციაზე ჯერ ლუის მილია თამაშობდა, რომელიც 1990-ში გუნდიდან წავიდა. მერე მწვრთნელმა გილერმო ამორი სცადა და ბოლოს იან მიალბის ყიდვასაც აპირებდნენ „ლივერპულიდან“, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. გარიგების ჩაშლის მიზეზი... ხოსეპ გვარდიოლა იყო — იოჰან კრუიფმა უკვე იცოდა, რომ „ბარსელონა B“-ში თამაშობდა 19 წლის ბიჭი სანპედროიდან, რომელსაც ყველა აქებდა.

1990 წლის 16 დეკემბერს ხოსეპ გვარდიოლას დებიუტი ძირითად შემადგენლობაში „კადისთან“ შედგა. ნერვიულობდა და ყვითელი ბარათიც მიიღო. მეორედ „გაყვითლებას“ გადაურჩა — სუბისარეტამ და ბაკერომ დააშოშმინეს. ეს ორნი დაეხმარნენ მომავალშიც და გვარდიოლა გუნდში ჩაეწერა. იმ სეზონში ოთხი მატჩი ითამაშა.

1977-ის ოქტომბერში, დიქტატორ ფრანკოს სიკვდილიდან ორ წელიწადში, კატალონიის გენერალიტეტის პრეზიდენტი ხოსეპ ტარადელიასი საფრანგეთიდან ბარსელონაში დაბრუნდა და გენერალიტეტის აივნიდან მოედანზე შეკრებილებს მიმართა: „კატალონიელო ხალხო, მე უკვე აქ ვარ!“.

ეს ისტორიული ფრაზა 15 წლის მერეც გაისმა, როცა „ბარსამ“ პირველად მოიგო ჩემპიონთა თასი და იმავე მოედანზე შეკრებილებს ჩაუტანა. „კატალონიელო ხალხო, ის უკვე აქაა!“ გაჰკიოდა გვარდიოლა.



იმავე წელს კიდევ ბევრი რამ მოხდა. გვარდიოლამ მშობლიურ „კამპ ნოუზე“ ოლიმპიური ოქროც მოიგო და „ტროფეო ბრავოც“ — ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდო, მისი ყიდვა კი „იუვენტუსმა“ მოინდომა.

1986 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალისკენ მიმავალ გზაზე, „ბარსამ“ „იუვენტუსი“ ჩამოიცილა და სანპედროელმა ბიჭმა მაშინ ნახა „კამპ ნოუზე“ მიშელ პლატინის გუნდი და ისე მოეწონა, რომ ფრანგის სურათი ოთახში ჩამოკიდა.

20 წლის გვარდიოლა ევროპაში უკვე ცნობილი ფეხბურთელი იყო, რომ არაფერი ვთქვათ მშობლიურ კუთხეზე, სადაც კერპად აქციეს. გუნდი ლეგიონერებით იყო სავსე, ქომაგს კი თვისტომი, კატალონიის სიმბოლო სჭირდებოდა. ისიც გულშემატკივრებს კატალონიურად მიმართავდა.

იოჰან კრუიფის „ოცნების გუნდში“ სანპედროელი ბიჭი კარგად ჩაეწერა. ის იყო მთავარი კაცი მოედნის ცენტრში, შეტევებს იწყებდა, ტემპს და მიმართულებას ცვლიდა და საუცხოო პასებს არიგებდა. მოედანზე მწვრთნელივით იყო.

კრუიფმა გვარდიოლასგან ახალი ამპლუის ფეხბურთელი შექმნა და სწორედ მის კვალზე დადგნენ ხავი, ინიესტა და ფაბრეგასი. ისინი გვარდიოლას ბაძავდნენ და სამაგალითოდ მიაჩნდათ.

1996 წლის გაზაფხულზე, როცა „მფრინავი ჰოლანდიელი“ კლუბის პრეზიდენტ ხოსეპ ნუნიესს ეჩხუბა და „ბარსადან“ გაათავისუფლეს, ხოსე ბაკერომ კი კარიერა დაასრულა, გვარდიოლა ბარსელონიზმის სიმბოლოდ იქცა. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა კაპიტნის სამკლავური უფრო გამოცდილ გეორგე „ჯიკა“ პოპესკუს ანდო.

„პარმალატით“ გამდიდრებული „პარმა“ იმ ზაფხულს მსუყე თანხას იმეტებდა ხოსეპ გვარდიოლას სანაცვლოდ, ფეხბურთელსაც მეტ ჯამაგირს ჰპირდებოდა და სანპედროელი ბიჭი იტალიაში რომ არ აღმოჩნდა, ლუის ვან გაალის ბრალია: ჰოლანდიელი „ბარსელონას“ მწვრთნელად დანიშნეს, გვარდიოლას კი მისი „აიაქსი“ ძალიან მოსწონდა და კატალონიაში დარჩა.

„პარმასგან“ უკეთესი ხელფასის შეთავაზებამ „ბარსას“ შეფები იძულებული გახადა, თავად მოემატებინათ ჯამაგირი. თავიდან უარზე იყვნენ, მაგრამ ქომაგების დაჟინებით, გვარდიოლას ხელფასიც გაუზარდეს და კონტრაქტი 2001 წლამდე გაუხანგრძლივეს. ამ ფაქტმა აჩვენა, თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ფეხბურთელს კატალონიაში, რაც კლუბის პატრონებს მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა.

1997-ის აგვისტოში რიგის „სკონტოსთან“

# ტორტის ბიჭი



მატჩში გვარდიოლა დაშავდა და წელიწად-ნახევარი გაუცდა. 1998 წლის დეკემბრისთვის გამოჯანმრთელდა. ამ ხნის განმავლობაში „ბარსას“ შეფები ქომაგების თვალში ფეხ-ბურთელის დისკრედიტაციას ცდილობდნენ, რათა მისი ავტორიტეტი დაეწიათ.

პრესაში გაჩნდა ცნობები გვარდიოლას პი-რადი ცხოვრებიდან. წერდნენ, რომ ტრავმი-სშემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში ფე-ხბურთელი, კატალონიელი დიზაინერის, ტონი მიროს დეფილეში მონაწილეობდა. საჯაროდ კითხულობდა კატალონიელი პოეტის მიგელ მარტის ლექსებს და ამის გამო ნაციონალი-ზმში დასდეს ბრალი.

ინტელიგენტ და ნაკითხ გვარდიოლას მუ-დამ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მწერლე-ბთან, რეჟისორებთან და კულტურის სხვა მოღვაწეებთან.

გვარდიოლას სახელის დალაქავება მის მტრებს არ გამოუვიდათ და ფეხბურთელი კვლავაც უპოპულარულეს კაცად დარჩა.

იმ სეზონში, როცა „ბარსელონა“ ასწლო-ვან იუბილეს ზეიმობდა (1999), ხოსეპ გვარ-დიოლამ კაპიტნის სამკლავური მოირგო, მა-გრამ ლუის ვან გაალი კაპიტანს ძირითად შემადგენლობაში რატომღაც იშვიათად აყე-ნებდა. ამბობენ, რომ ვან გაალიც მის ავტო-რიტეტს უფრთხოდა.

ერთხელ გვარდიოლას რამდენიმე მატჩი გაუცდა და „ბარსას“ საქმეც უკან წავიდა. დაბრუნებისთანავე კი გუნდმა თამაში ოამა-შზე მოიგო. კატალონიელმა ქომაგებმა და მედიამ უმალ დითირამბები უძღვნეს კაპი-ტანს, ვან გაალმა კი, გვარდიოლა რა შუა-შია, ეს მოგებები მეკარე რუუდ ჰესპის და-ბრუნების შედეგიაო. მოგვიანებით, ისევ გვა-რდიოლას გარეშე, „ბარსამ“ ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო, მისი გამოჩენისთანავე კი „ჩე-ლსი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში 5:1 დაამარცხა.

ვან გაალისგან ათვალწუნებულმა გუნდი-დან წასვლაზე ფიქრი დაიწყო. 2001-ის 11 აპრილს პრესკონფერენცია გამართა და გა-ნაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „ბარსელო-ნადან“ მიდიოდა. მიზეზად დაღლილობა და სხვა ევროპულ ლიგაში თამაშის სურვილი დაასახელა.

ასე ჩუმად და უსკანდალოდ წავიდა, მაგრამ ეს სიჩუმე მაინც ყვიროდა.

ბოლო მატჩი „კამპ ნოუზე“ „სელტას“ წი-ნააღმდეგ ითამაშა. თავმდაბალი სანპედრო-რელი ბიჭი ნამატჩევს თანაგუნდელებმა მხ-რებზე შეისვეს. სტადიონი რომ დაცარიელ-და, გვარდიოლა მოედანზე კიდევ ერთხელ გავიდა. თვალი შეავლო ცარიელ ტრიბუნე-ბს, რომლებიც 17 წლის განმავლობაში მისი სახლის კედლები იყო...

„ბარსელონას“ ისტორიაში საუკეთესო კა-ტალონიელ ნახევარმცველად აღიარეს, მე-რე კი საუკეთესო ფეხბურთელადაც. 2007 წელს სანპედრორში მისი სახელობის სტად-იონი გაიხსნა.

„ბარსადან“ „იუვენტუსში“ გადასვლა სუ-რდა, რომელსაც ბავშვობიდან პლატინის გამო ქომაგობდა, მაგრამ „იუვედან“ კარლო ანჩე-ლოტი წავიდა და მის შემცვლელ მარჩელო ლიპის გვარდიოლა არ აინტერესებდა.

„ბრეშა“ „იუვეს“ დონის კლუბი არ იყო, სამაგიეროდ, ბაჯო ჰყავდა და სანპედრორე-ლი ბიჭიც მისი თანაგუნდელი გახდა. მერე ამბობდა, ბაჯო საუკეთესოა მათ შორის, ვის გვერდითაც მითამაშიაო.

„ბრეშაში“ თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, სანამ თავს დოპინგ-სკანდალი დაატ-ყდებოდა. 2001 წლის 21 ნოემბერს, „პიაჩენ-ცასთან“ მატჩის შემდეგ ტესტმა გვარდიო-ლას სისხლში ნანდროლონი იპოვა.

ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია და შვიდი თვე ციხე ელოდა. ასეთი მკაცრი სასჯელი იმით იყო განპირობებული, რომ მაშინ იტა-ლიაში დიდი დოპინგ-საქმეები სკდებოდა და დამნაშავეებს სამაგალითოდ სჯიდნენ.

დისკვალიფიკაცია მოიხადა, ციხე კი ასცდა.

გვარდიოლამ უდანაშაულობის დასამტკი-ცებლად ადვოკატების აყვანა და სასამართ-ლოებში სიარული არ დაიზარა. თავისი გა-იტანა და შარშან შემოდგომაზე გაამართლეს.



სანპედრორში, გვარდიოლას სახლის ერთ-ერთ ოთახში, ფეხბურთელის მამა ვალენტიმ მუზეუმი მოაწყო... 2007 წელს, როცა „ბარსელონა B“-ში მისი შვილის სამწვრთნელო დებიუტი შედგა, ვალენტი გვარდიოლამ საჩუქრად დიდი ფოტო მიიღო, რომელზეც 14 წლის ბიჭი ტაშს უკრავს ფეხბურთელების მხრებზე მოყალათებულ ტერი ვენეიბლზს, „ბარსელონას“ ყოფილ მწვრთნელს, ვინაც 1985-ში გუნდს ჩემპიონობა მოუტანა. „ბარსელონას“ სკამზე სადებიუტო მატჩისას გადაღებული გვარდიოლას ფოტო ამ მუზეუმში მხოლოდ მას შემდეგ მოხვდება, როცა მასაც ვენეიბლზივით მხრებზე შეისვამენ...

2003 წელს „ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ერთ-ერთმა კანდიდა-ტმა ლუის ბასატმა გვარდიოლა თავის გუ-ნდში აიყვანა და გამარჯვების შემთხვევაში სპორტული დირექტორის პოსტს შეპირდა.

ბასატმა ლაპორტასთან წააგო, რომელსაც დირექტორის პოსტზე კანდიდტად გვარდი-ოლას ყოფილი თანაგუნდელი ჩიკი ბეგირი-სტაინი ჰყავდა.

საარჩევნო კამპანიამ სანპედრორელ ბიჭს ცუდი მოგონებები დაუტოვა, რადგან ბეგი-რისტაინმა მასზე ქილიკით ილაპარაკა.

ამის მერე ორი სეზონი ყატარის „ალ აჰ-ლიში“ გაატარა. კარგადაც გადაუხადეს იქა-ურმა შეიხებმა.

2005 წლის ბოლოს, როცა გვარდიოლა მალიორკაზე გოლფით ერთობოდა და კარი-ერის დასრულებაზე ფიქრობდა, მექსიკური „დორადოსიდან“ ხუან მანუელ ლილომ და-ურეკა. ამ მწვრთნელთან გვარდიოლა მეგო-ბრობდა და ამბობდნენ, რომ ბასატის გამა-რჯვების შემთხვევაში, მექსიკაში მომუშავე ესპანელი „ბარსელონას“ თავკაცი უნდა გა-მხდარიყო.

„დორადოსში“ ნახევარი სეზონი ითამაშა და მოსახდენი მოხდა — 2006 წლის ნოემ-ბერში ხოსეპ გვარდიოლა სალამ კარიერა ოფიციალურად დაასრულა.

იმავე წლის ივლისში მას უკვე ჯიბეში ედო მწვრთნელის ლიცენზია და სამუშაოს „ბარსელონაში“ ეძებდა. 2007-ის ზაფხულში „ბარსას“ ბავშვთა გუნდებში ადგილი გა-ჩნდა და ბეგირისტაინმა, რომლისგანაც ძვე-ლი წყენა გვარდიოლას უკვე დავიწყებული ჰქონდა, „ბარსელონა B“-ში სამსახური შე-სთავაზა, რაზეც, ცხადია, თანხმობა მიიღო.

სანპედრორელი ბიჭის გუნდმა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა და ეს ამბავი ფრანკ რაიკაარდის „ბარსელონას“ კრიზისს დაემთხვა. აქა-იქ უკვე ამბობდნენ, რაიკა-არდს გვარდიოლა შეცვლისო.

კლუბის დირექტორატის წევრების აზრი ორად გაიყო. ერთნი ჟოზე მოურინიუს და-ნიშვნას ემხრობოდნენ, მეორენი — ხოსეპ გვარდიოლასი. მეორეებმა — ლაპორტამ და ბეგირისტაინმა — გაიმარჯვეს.

ხოსეპ გვარდიოლა „ბარსელონას“ მწვრ-თნელია — ამ წინადადების მოსმენას უამ-რავი კატალონიელი ოცნებობდა და ამ ზა-ფხულს მათი ოცნება ახდა.

თვითონ თქვა, გამოუცდელობას ენთუზი-აზმით ავანაზღაურებო და ისე გულიანად მუშაობს, რომ საფეხბურთო სამყარო მთე-ლი შემოდგომა „ბარსელონას“ ფანტასტი-კურ ფეხბურთზე ლაპარაკობს.

ჯერჯერობით არც ერთი ჯილდო არ მო-უგია, მაგრამ მთავარია, რომ კარგად იცის, რა გუნდი აბარია — „მეტი, ვიდრე კლუბი“. უფრო სწორად, იცის, სადაც დაბრუნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 12 პირამოკერილი მწვრთნელი

**შოტლანდიის** პრემიერლიგის მწვრთნელებმა დაიფიცეს, რომ მსაჯთა საკამათო გადაწყვეტილებებზე სეზონის ბოლომდე ხმას არ ამოიღებენ და არ გაარჩევენ.

ეს იდეა „ფეხბურთის სამუშაო ჯგუფს“ ეკუთვნის, რომლის ბოლო სხდომასაც პრემიერლიგის კლუბების მწვრთნელები და ლიგის აღმასრულებელი შეფი ალექს გოლდი დაესწრნენ.

„რეინჯერსის“ თავკაცმა უოლტერ სმიტმა თქვა, რომ მატჩისშემდგომი კრიტიკა მსაჯებს დიდ ტვირთად აწვებათ და ამიტომ მათი ნამოქმედარის გარჩევა უნდა შეწყდეს. 12 მწვრთნელი „დამუნჯებაზე“ შეთანხმდა.

„ჩემი აზრით, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია — განაცხადა სმიტმა — და ჩვენს კეთილ ნებას გამოხატავს. წინა თვეში მსაჯებზე შეტევამ ძალიან იმატა და ეს აუცილებლად უნდა შემწყდარიყო. ამიტომაც შევთანხმდით თორმეტივე მწვრთნელი, რომ რაც უნდა მოხდეს, სეზონის ბოლომდე კრიტიკისგან თავს შევიკავებთ“.

„ძალიან კარგი იდეაა — კვერი დაუკრა სმიტს სელტიკელმა გორდონ სტრაჩანმა — ხალხი ფეხბურთს აღარ უყურებს და მხოლოდ მსაჯებზე ლაპარაკობს“.

## სუბოტიჩის პასპორტიზაცია

**„დორტმუნდის“** მცველმა 20 წლის ნევენ სუბოტიჩმა სერბეთის მოქალაქეობა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაში არჩია. მისი დებიუტი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევში შედგება.

„მალე ის სერბეთის მოქალაქეობას და პასპორტს მიიღებს. სასიხარულოა, თამაში ჩვენთან რომ გადაწყვიტა — თქვა სერბთა ნაკრების მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა — ძალიან ნიჭიერია და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გუნდს გააძლიერებს“.

სუბოტიჩი ბოსნიის ქალაქ ბანიალუკაში დაიბადა. ბავშვობა გერმანიაში გაატარა, მერე კი ამერიკაში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია. ფიფას წესის მიხედვით, სამშობლო მანამდე უნდა აირჩიოს სანამ 21 წლის შესრულდება. სუბოტიჩს სამი გზა ჰქონდა: აშშ, სერბეთი და ბოსნია-ჰერცოგოვინა. მან, როგორც ეთნიკურმა სერბმა, სერბეთი არჩია.

„დორტმუნდამდე“ ის სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტში და „მაინცში“ თამაშობდა. ნევენ სუბოტიჩი ბუნდესლიგის პირველი წრის სიმბოლურ თერთმეტეულშიც შეიყვანეს.

## ბურთით მტრედი

**არგენტინელმა** ფეხბურთელმა გასტონ აგირემ მტრედი მოკლა. ბურთს დაარტყა და ფრინველს შემთხვევით გაარტყა.

„სამწუხაროდ ასე მოხდა — დაიჩივლა „სან ლორენსოს“ მცველმა — ამიერიდან, როგორც მტრედის მკვლელს, ისე გამიხსენებენ“.

ეს ამბავი „სან ლორენსოსა“ და „ტიგრეს“ საჩემპიონო პლეი ოფის მატჩისას მოხდა.

მეტოქისგან პრესინგში მოქცეულმა აგირემ ბურთს გამეტებით დაჰკრა და კუთხურის ალამთან მოღუღუნე მტრედების გუნდი აშალა. ერთის გარდა ყველა აფრინდა.

ფეხბურთელებმა დაჭრილი ფრინველის მოსულიერება ველარ მოახერხეს და მსაჯმა საულ ლავერნიმ მოედნის მიღმა გადაასვენა.



# ჯანლუკა პესოტოს სატანა და მადონა

*2006 წლის 27 ივნისს ჯანლუკა პესოტომ თავის მოკვლა სცადა — „იუვენტუსის" ოფისის მეოთხე სართულიდან გადახტა. ხელში ლოცვანი ეჭირა... ამ ამბავმა მთელი იტალია შეძრა და თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზზე კითხვები გააჩინა. რამ აიძულა ამის გაკეთება ცნობილ და მდიდარ ფეხბურთელს? ორი წელი ამაზე ფაქტობრივად არაფერი თქმულა, წინა კვირაში კი საიდუმლოს ფარდა აეხადა...*

დეპრესია ფეხბურთელებში იშვიათი არაა. მძიმე პერიოდი გაუვლიათ ბუფონს და ვიერისაც, მაგრამ მათ იპოვეს საკუთარ თავში ძალა და სირთულე გადალახეს.

ჯანლუკა ძალიან მგრძნობიარე ადამიანია, პასუხისმგებლობის და მოვალეობის დიდი ტვირთით ცხოვრებას მიჩვეული. ინტელიგენტია, უყვარს კითხვა.

მაგრამ კარიერის ბოლოს დეპრესიაში ვარდება, რაც დამახასიათებელია იმ მოთამაშეებისთვის, რომლებმაც არ იციან, რა აკეთონ ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ.

„საკუთარი თავი ჯანლუკა-ფეხბურთელთან გავაიგივე — ამბობს პესოტო — ცხოვრება ამის გარშემო ავაწყვე. კარიერის დასასრულს კი, როცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად მათამაშებდნენ, მომავალზე დავფიქრდი და ვიგრძნენი, რომ რწმენას ვკარგავდი".

მაშინ ჯანლუკამ წასვლა გადაწყვიტა. კლუბმა მენეჯერის თანამდებობა შესთავაზა და ისიც დათანხმდა. ეს იყო ფეხბურთში დარჩენის ერთადერთი საშუალება.

ამ დროს „კალჩოპოლის" სკანდალიც ატყდა და პესოტოს პირად პრობლემებს კიდევ ერთი დაემატა.

„თავიდან მეგონა, რომ ეს საპნის ბუშტი იყო, რომელიც მალე გასკდებოდა, მაგრამ საქმე მეტად სერიოზული გამოდგა და მივხვდი, რომ გამოძიებას მთელი ზაფხული არ ეყოფოდა. მათ ფეხქვეშ გაიგდეს, გათელეს და მოსპეს ყველაფერი, რასაც ალალი თამაშით მივაღწიე. ეს ჰგავდა მუშტს, რომელიც არ იცი, საიდან მოგხვდა".

პესოტოს სამყარო თვალწინ ენგრევა და პირადულ პრობლემებს პარალელურ რეალობაში გადაჰყავს. წარმოიდგენს, რომ შეთქმულების მსხვერპლია და მის ოავში უცნაური არსებები სახლდებიან.

„მეჩვენებოდა, რომ მითვალთვალებდნენ და ჩემზე, როგორც სასტიკ დამნაშავეზე, ისე ნადირობდნენ. ყოველ ადამიანში ან სატანას ვხედავდი, ან მადონას".

პესოტოს უძილობა ერევა და ყოველ დილით დარდი ჰკლავს, რადგან იცის, რომ კიდევ ერთი კოშმარული დღე უნდა გაატაროს.

„ერთხელ, სახლში დაბრუნებისას, მინერალური წყალი ვიყიდე და მომეჩვენა, თითქოს ხურდა ფული ნარკოტიკით იყო დაფარული, და ეს ჩემს დასაჭერად, საგანგებოდ იყო მოწყობილი. მომელანდა, თითქოს სახლთან პოლიცია მელოდა, მიმავალი მანქანიდან კი სიდედრ-სიმამრმა მომაძახა: „შენ საშინელი ალსასრული გელის!"

და ჯანლუკა, რომელიც მთელი ცხოვრება სხვებს პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა, საკუთარს ვერ უმკლავდება და დახმარებას ვერავის სთხოვს.

მეგობრებიც ვერ ამჩნევენ, რომ რაღაც სჭირს. მხოლოდ ექიმს, რიკარდო აგრიკოლას უყვება საკუთარ პრობლემებზე. „იუვენტუსში" კალჩოპოლის გამო იმდენი პრობლემაა, რომ პესოტოსთვის არავის სცალია.

თვითმკვლელობის მცდელობამდე რამდენიმე საათით ადრე მშობლებს ეუბნება, რომ ყველაფერი კარგადაა.

მერე მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ჯანლუკა ჰამბურგში, ნაკრების ბაზაზე იმისთვის მიდის, რომ ხუთ იუვენტუსელს კალჩოპლიზე მოუყვეს. იქაც ვერავინ ამჩნევს უცნაურობას პესოტოს საქციელში.

საშინელებები კი ისევ კვალდაკვალ დასდევენ...

...„კლუბის კრებაზე გვიან მივედი და დავინახე კაცი, რომელსაც ნეკა თითზე ბეჭედი ეკეთა, ხოლო შენობიდან რომ გამოვედი, ეზოში იდგა ავტომობილი მონტე-კარლოს ნომრით. მერე წავედი სახლში და ჩავიკეტე. შუქი ავანთე და... გონზე ცხრა დღის შემდეგ მოვედი".

ეს ცხრა დღე პესოტომ კომაში, საავადმყოფოში გაატარა, საიდაც, როგორც ექიმმა დონადიომ თქვა, „ძვლების ტომარად" ქცეული კაცი მიიტანეს.

გადმომხტარი პესოტო რობერტო ბეტეგას ავტომობილს დაეცა.

„როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, საავადმყოფოში თასი მიუტანეს და აჩვენს, ცხელებამ აიტანა, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა" — იხსენებს დონადიო.

„ფსიქიატრს ჯერ არ აუხსნია ჩემთვის, თუ რა მოხდა — ამბობს პესოტო — მხოლოდ სამი სიტყვა მითხრა: „ეს შენ ჩაიდინე". ამის მერე სამი დღე არ მეჭამა. ვცდილობდი გამეგო, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. ახლაც ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, როგორ აღმოვჩნდი იმ საშინელ დღეს ოფისში. ალბათ ვფიქრობდი, რომ იქ კოშმარებს დავემალებოდი."

ლა სტამპა

# იტალია

## სერია A. XVII ტური

# გვერდითი მსაჯის ბრალია

### ტურის მატჩი

**სიენა 1:2 ინტერი**

0:1 მაიკონი (34), 1:1 კარია (44), 1:2 მაიკონი (83)

**სიენა:** კურჩი, სუნიგა (კალაიო 89), ბრანდაო, პორტანოვა, დელ გროსო, ვერგასოლა, კოდრია, გალოპა, კარია, გეცალი, ფრიკი (მაკარონე 75)

**მწვრთნელი:** მარკო ჯამპაოლო

**ინტერი:** სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, ხ. ძანეტი, კამბიასო, მუნტარი (კვარესმა 73), ხიმენესი (ფიგუ 55), ბალოტელი (კრესპო 55), იბრაჰიმოვიჩი

**მწვრთნელი:** ჟოზე მოურინიუ

**გაფრთხილება:** ბალოტელი, ვერგასოლა, კარია, სამუელი, კოდრია, მაიკონი

**მსაჯი:** დე მარკო

**14 000 მაყურებელი**

**სიენელი** კრისტიანო დელ გროსოს აზრით, დუგლას მაიკონი ხუთმეტრიან თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მისი გოლი მაინც ჩათვალეს. „ინტერს" არაფერიც არ გაუკეთებია და გვერდითმა მსაჯმა სამი ქულა აჩუქა" — თქვა დელ გროსომ.

„სიენას" ამ სეზონში შინ არ წაუგია და მის სტადიონზე სტუმრებს მხოლოდ ორი გოლი ჰქონდათ გატანილი, მაგრამ „ინტერის" ბრაზილიელმა მცველმა მაიკონმა თავი გაიგიჟა და დუბლი შეასრულა.

„ოფსაიდი იმდენად აშკარა იყო, რომ ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი სისულელეა" — ბრძანა დელ გროსომ.

მასპინძელთა მწვრთნელი მარკო ჯამპაოლო: „არ მესმის, ჩემპიონატის ლიდერებს მსაჯები რატომ სწყალობენ. ამ წაგებას ვერ მივიღებ, რადგან ჩვენ აშკარად დაგვჩაგრეს. ჩემი გუნდისთვის კომპლიმენტი არავის დაუშურებია, მათ შორის „ინტერსაც", მაგრამ არ მომწონს ეს ტრადიცია, როცა დიდი კლუბები პატარებს ულოცავენ კარგ თამაშს მას შემდეგ, რაც მათ მსაჯების დახმარებით უგებენ. პარადოქსია, მაგრამ ლიდერებთან შეხვედრა უფრო ადვილია, რადგან დასაკარგი არაფერი გვაქვს".

ჟოზე მოურინიუმაც დაადასტურა, რომ მისი გუნდი მოგებას არ იმსახურებდა: „მეგონა, რომ შინ ერთი ქულით დავბრუნდებოდით. „სიენას" კარგი თამაში არ გამკვირვებია და უფრო ლოგიკური ფრე იქნებოდა. თუმცა ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მეორე გოლი მასპინძელთა კარში თამაშგარედან გავიდა, რადგან ესეც ფეხბურთის ნაწილია.

მაგალითად, ერნან კრესპოსაც ჰქონდა საგოლე მომენტი და არარსებული ოფსაიდის გამო გააჩერეს და ვინ იცის, რომ გაეტანა და ჩაეთვალათ, რა მოხდებოდა.

მოგება არ გვეკუთვნოდა-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ „სიენამ" მართლა გადასარევად ითამაშა. კარგად ორგანიზებული გუნდია და მომენტებში, ბურთსაც საუცხოოდ აკონტროლებდა".

მაიკონმა პირველი გოლი კუთხურის შედეგად გაიტანა — ბურთს კარის ხაზთან მუხლით დაუხვდა და კარში შეაგდო.

მასპინძელთა კარიმ ნახტომში თავურით ტაიმის ბოლოს გაათანაბრა და „ინტერის" ბრაზილიელმა მცველმა მატჩის დასასრულს შეაგდო. მაქსველისგან პასი მაშინ მიიღო, როცა სიენელები ხელოვნურ თამაშგარეს ქმნიდნენ და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მეორე გაიტანა.

რომან თურქია

**ლაციო 1:0 პალერმო**

1:0 როკი (66)

**გაფრთხილება:** ფოჯა, მეპნი, დაბო (ლაციო), კასანი, გოვო, ბალცარეტი, ბალცარეტი (პალერმო)

**გაძევება:** პალცარეტი (73)

**კალიარი 1:1 რეჯინა**

1:0 აკვაფრესკა (1), 1:1 ბრიენცა (61პ)

**გაფრთხილება:** ბიანკო, ბიანკო, ფინი (კალიარი), ბარეტო, კარმონა, სტუანი (რეჯინა)

**გაძევება:** ბიანკო (59)

**კიევო 0:1 ჯენოა**

0:1 ოლივეირა (89)

**გაფრთხილება:** ლანგელია, მორო, იტალიანო, პინცი (კიევო), იანკოვიჩი, ბიავა (ჯენოა)

**ატალანტა 1:3 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (30), 0:2 ლეგროტალიე (38), 1:2 ვიერი (48), 1:3 ამაური (82)

**გაფრთხილება:** დონი, დე აშენტისი, პელეგრინო, მანფრედინი (ატალანტა), ჩელიე, მარკიზიო (იუვენტუსი)

**კატანია 3:2 რომა**

1:0 ბაიოკო (34), 2:0, 3:0 მორიმოტო (40, 56), 3:1 ვუჩინიჩი (74), 3:2 მენეზი (78)

**გაფრთხილება:** სტოვინი, ბიზარი, ტედესკო, მორიმოტო, ბაიოკო (კატანია), ვუჩინიჩი, პეროტა, კასეტი, როსი, მექსეში (რომა)

**ლეჩე 0:0 ბოლონია**

**გაფრთხილება:** სტენდარდო, ჯაკომაცი, შიავი, ძანჩეტა (ლეჩე), ტერცი, მარკინი, ბომბარდინი (ბოლონია)

**სამპდორია 0:1 ფიორენტინა**

0:1 მონტოლივო (19)

**გაფრთხილება:** კამპანარო, ბოტინენი (სამპდორია), მელო, ვარგასი, მონტოლივო, მუტუ (ფიორენტინა)

**ტორინო 1:0 ნაპოლი**

1:0 ბიანკი (53)

**გაფრთხილება:** ამორუზო, პისანო (ტორინო), კონტინი, რინაუდო, სანტაკროჩე, გარგანო (ნაპოლი)

**მილანი — უდინეზე**

**წუხელ გვიან დასრულდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 17 | 13 | 3 | 1 | 31:11 | 42 |
| იუვენტუსი | 17 | 11 | 3 | 3 | 30:13 | 36 |
| ფიორენტინა | 17 | 10 | 2 | 5 | 25:14 | 32 |
| ნაპოლი | 17 | 9 | 3 | 5 | 25:16 | 30 |
| მილანი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:17 | 30 |
| ჯენოა | 17 | 8 | 5 | 4 | 24:17 | 29 |
| ლაციო | 17 | 8 | 3 | 6 | 26:22 | 27 |
| კატანია | 17 | 7 | 4 | 6 | 18:20 | 25 |
| ატალანტა | 17 | 7 | 3 | 7 | 21:19 | 24 |
| პალერმო | 17 | 7 | 2 | 8 | 21:21 | 23 |
| რომა | 16 | 7 | 2 | 7 | 21:23 | 23 |
| უდინეზე | 16 | 6 | 4 | 6 | 24:21 | 22 |
| კალიარი | 17 | 6 | 3 | 8 | 20:21 | 21 |
| სამპდორია | 16 | 5 | 4 | 7 | 15:18 | 19 |
| სიენა | 17 | 5 | 4 | 8 | 13:19 | 19 |
| ბოლონია | 17 | 3 | 6 | 8 | 19:27 | 15 |
| ტორინო | 17 | 4 | 3 | 10 | 18:29 | 15 |
| ლეჩე | 17 | 2 | 8 | 7 | 14:24 | 14 |
| რეჯინა | 17 | 3 | 4 | 10 | 15:33 | 13 |
| კიევო | 17 | 2 | 3 | 12 | 9:27 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 12 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 12 |
| დი ვაიო (ბოლონია) | 12 |

### სერია B. XIX ტური

ბრეშა — გროსეტო 1:0; პარმა — ჩიტადელა 1:0; ანკონა — ტრიესტინა 2:1; ემპოლი — მანტოვა 1:1; ფროზინონე — ვიჩენცა 0:0; მოდენა — ბარი 0:2; პიაჩენცა — პიზა 1:0; რიმინი — ალბინოლეფე 1:1; სალერნიტანა — ასკოლი 1:2; ტრევიზო — აველინო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 19 | 9 | 7 | 3 | 20:15 | 34 |
| სასუოლო | 18 | 9 | 5 | 4 | 29:17 | 32 |
| პარმა | 19 | 8 | 8 | 3 | 23:15 | 32 |
| ემპოლი | 19 | 9 | 5 | 5 | 25:19 | 32 |
| ბრეშა | 19 | 9 | 5 | 5 | 21:19 | 32 |
| ლივორნო | 18 | 6 | 11 | 1 | 23:12 | 29 |
| გროსეტო | 19 | 8 | 5 | 6 | 30:29 | 29 |
| ვიჩენცა | 19 | 7 | 7 | 5 | 24:12 | 28 |
| ტრიესტინა | 19 | 7 | 7 | 5 | 25:21 | 28 |
| პიზა | 19 | 7 | 5 | 7 | 26:25 | 26 |
| მანტოვა | 19 | 6 | 7 | 6 | 19:19 | 25 |
| ალბინოლეფე | 19 | 5 | 9 | 5 | 17:18 | 24 |
| ანკონა | 19 | 6 | 5 | 8 | 26:24 | 23 |
| რიმინი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:27 | 23 |
| ტრევიზო | 19 | 4 | 10 | 5 | 19:22 | 22 |
| ფროზინონე | 19 | 5 | 7 | 7 | 22:27 | 22 |
| ჩიტადელა | 19 | 4 | 8 | 7 | 15:18 | 20 |
| პიაჩენცა | 19 | 5 | 5 | 9 | 15:21 | 20 |
| სალერნიტანა | 19 | 5 | 5 | 9 | 18:27 | 20 |
| ასკოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 12:22 | 18 |
| აველინო | 19 | 3 | 8 | 8 | 15:26 | 17 |
| მოდენა | 19 | 3 | 6 | 10 | 21:32 | 15 |



მაიკონის სადაო გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XVI ტური

# მთავარია დიეტა

### ტურის მატჩი

**რეალი 1:0 ვალენსია**

1:0 იგუაინი (4)
რეალი: კასილიასი, კანავარო, მეცელდერი, მარსელო (გომესი 72), სალგადო, გაგო, ვან დერ ვაარტი (პალანსა 56), გუტი, დრენტე (რაული 46), იგუაინი, რობენი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვალენსია: რენანი, მარჩენა, ალბიოლი, დელ ორნო (მადურო 63), მიგელი, ალბერდა, ფერნანდესი, ბარახა (სილვა 63), მატა (ვისენტე 75), ვილია, ხოაკინი
მწვრთნელი: უნაი ემერი
გაფრთხილება: დელ ორნო, სალგადო, მარჩენა, მარსელო, მარჩენა, ალბიონი, რობენი, ფერნანდესი
გაძევება: მარჩენა (67)
მსაჯი: რაფაელ დომინგესი
75 000 მაყურებელი

**ხუანდე რამოსმა** პრიმერაში პირველი მატჩი მოიგო — „რეალმა" გონსალო იგუაინის ადრეული გოლით სძლია „ვალენსიას", მაგრამ ზედა ოთხეულში მაინც ვერ შეძვრა.

ზედიზედ სამი მარცხი მადრიდულმა კლუბმა გამარჯვებით შეცვალა. იქამდე კი ჯერ „ხეტაფესთან" წააგო, მერე „სევილიასთან" და ბოლოს „ბარსელონასთან".

შაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე" აურაცხელი საგოლე მომენტი შეიქმნა ორივე კართან, მაგრამ „რეალის" და „ვალენსიას" შემტევებს ფეხი ჰქონდათ გამრუდებული.

იგუაინმა რობენის პასი შეირგო და თამაშის დასაწყისშივე ცაციით გაუტანა სტუმრებს.

„გაცილებით მეტი საგოლე მომენტი გვქონდა, ვიდრე გავიტანეთ — თქვა რამოსმა — თამაშის მოკვლა შეგვეძლო, მაგრამ ხელსაყრელი ეპიზოდები ვერ გამოვიყენეთ. მთავარი მაინც ისაა, რომ მიჯრით წაგებული სამი მატჩის შემდეგ გუნდმა გამარჯვების გემო გაიხსენა".

ხუანდე რამოსმა „ტოტენჰემიდან" წასვლის მიზეზებზეც ილაპარაკა. გაირკვა, რომ მისმა თანაშემწემ ფეხბურთელების საერთო წონაში 100 კილოგრამით მეტი აღმოაჩინდა და ქონების დაფერთხვა მოისურვა.

რამოსის თანაშემწემ კვების საკითხებში ანტონიო ესკრიბანომ ბიჭებისთვის დიეტა შეიმუშავა და „ტოტენჰემმა" საერთო წონის კლება დაიწყო, მაგრამ შემოდგომაზე გუნდი თამაშს თამაშზე აგებდა, რასაც ზოგიერთი მოთამაშის პროტესტი მოჰყვა. არადა, შარშან ოქტომბერში „ტოტენჰემში" მისულ რამოსს ამ დიეტამ გაუმართლა და წლეულს გაზაფხულზე „ჩელსის" ლამის თასის ფინალიც მოუგო. „ფინალის შემდეგ ყველა ამბობდა, რომ ეს ჯადოსნური დიეტაა, რომელმაც ჯილდომდე მიგვიყვანა — გაიხსენა რამოსმა — თუმც ზაფხულის დასრულებისთანავე საქმეები ცუდად წავიდა და ფეხბურთელებმა დაიჩივლეს, რომ ისინი არასწორად იკვებებოდნენ. ამას უკვე ველარაფერს მოვუხერხებდი, ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აუხსნელი ამბავია."

ამასობაში კი მადრიდის „ატლეტიკო" „რეალს" არ ჩამორჩა და თანაქალაქელივით სამი ქულა მიითვალა. მადრიდელები „ესპანიოლთან" მაქსი როდრიგესის გოლით იგებდნენ და ერთი საათის თავზე სანჩესმა გაათანაბრა. თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე აგუერომ „ატლეტიკო" დააწინაურა, მაქსიმ კი სხვაობა ორამდე გაზარდა და ამის მერე ვალდომ 2:3 გახადა, ოღონდ „ესპანიოლს" გასათანაბრებლად დრო აღარ ეყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ესპანიოლი 2:3 ატლეტიკო**

0:1 როდრიგესი (7), 1:1 სანჩესი (58), 1:2 აგუერო (81), 1:3 როდრიგესი (90), 2:3 ვალდო (90)
გაფრთხილება: ჩიკა, სანჩესი (ესპანიოლი), მანიშე, პერეა, გარსია (ატლეტიკო)

**დეპორტივო 4:1 უელვა**

1:0 ლოპო (9), 2:0 სერხიო (20), 2:1 ადრიანი (21), 3:1 იასი (43), 4:1 ფილიპე (90)
გაფრთხილება: არანსუბია, პაბლო, კასტრო, რიკი (დეპორტივო), კამუნასი (უელვა)

**მალიორკა 0:0 სევილია**

გაფრთხილება: ხოსემი, სკალონი, მარტი (მალიორკა), ესკუდე, ნავარო, კრესპო, სკილაჩი (სევილია)

**ნუმანსია 4:3 ვალიადოლიდი**

1:0 ბარკერო (12), 1:1 გოიტომი (34), 1:2 დორადო (53), 1:3 გოიტომი (76), 2:3 პინო (84), 3:3 არანდა (87), 4:3 ბრიტი (90)
გაფრთხილება: პინო, ბარკერო, დიმასი (ნუმანსია), დორადო, მარკოსი (ვალიადოლიდი)

**ოსასუნა 5:2 ხეტაფე**

1:0 პლასილი (6), 2:0 ხუანფრანი (34), 3:0 პანდიანი (42), 4:0 ნეკუნამი (45), 4:1 სოლდადო (65), 5:1 ფონტი (80), 5:2 სოლდადო (90)
გაფრთხილება: პუნიალი (ოსასუნა), კორტესი, გავილანი, პოლანსკი, კონტრა (ხეტაფე)

**ხიხონი 1:0 ალმერია**

1:0 მალდონადო (28)
გაფრთხილება: კარველო, მალდონადო, მატაბუენა, კამარა (ხიხონი), ბრუნო, პიატი, ხუანიტო (ალმერია)

**რასინგი 1:1 მალაგა**

0:1 ბაა (38), 1:1 ესპრინი (67)
გაფრთხილება: კოლსა (რასინგი), ბაა, ელისეუ, როსარიო (მალაგა)

**ვილიარეალი — ბარსელონა**

**ბეტისი — ატლეტიკო**

წუხელ გვიან დამთავრდა და შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 15 | 12 | 2 | 1 | 46:9 | 38 |
| სევილია | 16 | 9 | 4 | 3 | 23:14 | 31 |
| ატლეტიკო | 16 | 9 | 3 | 4 | 38:23 | 30 |
| ვალენსია | 16 | 9 | 3 | 4 | 30:20 | 30 |
| რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 34:26 | 29 |
| ვილიარეალი | 15 | 8 | 5 | 2 | 26:19 | 29 |
| დეპორტივო | 16 | 8 | 3 | 5 | 20:18 | 27 |
| ვალიადოლიდი | 16 | 7 | 2 | 7 | 25:24 | 23 |
| მალაგა | 16 | 6 | 4 | 6 | 24:26 | 22 |
| ხეტაფე | 16 | 5 | 6 | 5 | 23:25 | 21 |
| ხიხონი | 16 | 7 | 0 | 9 | 24:35 | 21 |
| ბეტისი | 15 | 5 | 3 | 7 | 21:21 | 18 |
| რასინგი | 16 | 4 | 6 | 6 | 18:22 | 18 |
| ნუმანსია | 16 | 5 | 2 | 9 | 21:33 | 17 |
| ბილბაო | 15 | 4 | 4 | 7 | 19:24 | 16 |
| ალმერია | 16 | 4 | 4 | 8 | 16:25 | 16 |
| მალიორკა | 16 | 3 | 5 | 8 | 17:29 | 14 |
| ესპანიოლი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:25 | 13 |
| უელვა | 16 | 3 | 4 | 9 | 11:26 | 13 |
| ოსასუნა | 16 | 2 | 6 | 8 | 16:22 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 12 |

### სეგუნდადივიზიონი XVII ტური

ელჩე — რაიო ვალეკანო 2:0; სოსიედადი — სალამანკა 1:0; სევილია B — ეიბარი 0:0; ხირონა — კასტელონი 1:0; ერკულესი — უესკა 3:2; ლას პალმასი — ალბასეტე 3:0; ლევანტე — კორდობა 3:0; სარაგოსა — ალიკანტე 3:0; ხერესი — ხიმნასტიკი 1:2; ალავესი — ტენერიფე 1:2. მურსია — სელტა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 17 | 9 | 4 | 4 | 22:15 | 31 |
| სარაგოსა | 17 | 8 | 5 | 4 | 31:19 | 29 |
| ხერესი | 17 | 8 | 5 | 4 | 31:20 | 29 |
| ერკულესი | 17 | 7 | 8 | 2 | 24:13 | 29 |
| ტენერიფე | 17 | 8 | 3 | 6 | 30:26 | 27 |
| სოსიედადი | 17 | 6 | 8 | 3 | 16:12 | 26 |
| კასტელიონი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:17 | 25 |
| რაიო ვალეკანო | 17 | 6 | 7 | 4 | 21:19 | 25 |
| ხირონა | 17 | 6 | 7 | 4 | 16:14 | 25 |
| ლევანტე | 17 | 7 | 4 | 6 | 24:25 | 25 |
| ხიმნასტიკი | 17 | 5 | 9 | 3 | 27:21 | 24 |
| ლას პალმასი | 17 | 6 | 6 | 5 | 23:17 | 24 |
| უესკა | 17 | 6 | 6 | 5 | 24:21 | 24 |
| ალბასეტე | 17 | 6 | 5 | 6 | 20:23 | 23 |
| სელტა | 16 | 5 | 7 | 4 | 17:16 | 22 |
| ელჩე | 17 | 5 | 6 | 6 | 20:19 | 21 |
| ალავესი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:28 | 20 |
| ეიბარი | 17 | 5 | 5 | 7 | 13:22 | 20 |
| კორდობა | 17 | 4 | 4 | 9 | 15:24 | 16 |
| მურსია | 16 | 3 | 4 | 9 | 14:25 | 13 |
| ალიკანტე | 17 | 1 | 6 | 10 | 12:28 | 9 |
| სევილია B | 17 | 1 | 5 | 11 | 9:27 | 8 |




რეალელი კრისტოფ მეცელდერი და ვალენსიელი დავიდ ვილია



# ტოტი სამასისთვის

ფრანჩესკო ტოტისთან ეს ინტერვიუ „რომას" ვებგვერდზე გამოქვეყნდა და ჩვენც მის თარგმანს გთავაზობთ...

**— როგორ ფორმაში ხართ? ამბობენ, რომ ადრინდელზე მეტს დარბიხართ...**

— გადაჭარბებული ნათქვამია. მგონი, ადრე მეტს დავრბოდი, მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ კი ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ.

**— ბუფონმა აღიარა, რომ დეპრესია გადალახა, რაც მის კარიერაში დაღმასვლამ გამოიწვია...**

— მე მსგავსი რამ არ მომსვლია, თუმც სარეაბილიტაციო პერიოდისას ზოგჯერ საკუთარი თავის და მომავლის რწმენას ვკარგავ. საბედნიეროდ, ჩემს გვერდით ბევრი მეგობარი იყო, რომლებიც მძიმე წუთებში მეხმარებოდნენ.

**— დანიელე დე როსის აზრით, „რომას" ევროპაში 7-8 გუნდი თუ სჯობს... ეთანხმებით?**

— არა. ჩემი აზრით ასეთი მხოლოდ სამია: „მანჩესტერი", „ბარსელონა" და „ჩელსი".

**— თქვენს სიაში „ინტერი" არაა?**

— არა, რადგან ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიბრწყინა, რაც საკვირველია, რადგან ამ გუნდში არაერთი ვარსკვლავი თამაშობს და მწვრთნელად ჟოზე მოურინიუ ჰყავთ.

**— მოურინიუს როგორ შეაფასებთ?**

— პირდაპირი კაცია, რომელიც ყველას საკადრისს მიაგებს. ასეთი პიროვნებები მომწონს.

**— სპალეტიც ასეთია?**

— კი, მაგრამ მას ამის აფიშირება არ უყვარს.

**— ყოფილ მწვრთნელებთან კავშირი გაქვთ?**

— კარლო მაცონესთან და ზდენეკ ზემანთან კი, ფაბიო კაპელოსთან არა.

**— „სკუდეტოსთვის" ბრძოლაში „რომას" შანსები როგორია?**

— ვიყოთ რეალისტები: ჩემპიონობისთვის ამ სეზონში „ინტერი", „იუვენტუსი" და „მილანი" იბრძოლებენ, თუმც ხელაღებით „სკუდეტოს" „ინტერს" ვერ გადავცემ, რადგან ჯერ კიდევ ნახევარი ჩემპიონატი გასავლელია. „მილანისკენ" ვიხრები, სადაც ბევრი ჩემი მეგობარი თამაშობს.

**— ამბობენ, რომ ჩემპიონატის ცუდი დასაწყისი მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის მომხდარი კონფლიქტის ბრალია და გარდა ამისა, სპალეტი „ჩელსისთან" მოლაპარაკებით გაერთო და სეზონისწინა შეკრება ამიტომ ჩავარდა...**

— არ ვიცი, შეხვდა თუ არა „ჩელსის" წარმომადგენლებს. სპალეტიმ მითხრა, რომ რომში დარჩენა სურს. ზოგადად, ნებისმიერ გუნდში არის ხოლმე საუბრები მაშინაც კი, როცა ყველაფერი კარგადაა, ოღონდ კონფლიქტი ჩვენთან არასოდეს მომხდარა.

**— რამდენიმე წელია, ფაქტობრივად ცენტრფორვარდად თამაშობთ. დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, თავიდანვე ამ პოზიციაზე ითამაშებდით?**

— კი, ამ შემთხვევაში უკვე 300 გოლი მექნებოდა ანგარიშზე.

**— ჯერ კიდევ შეგიძლიათ ამ ზღვართან მიახლოება...**

— რა თქმა უნდა შემიძლია — ეს ერთ-ერთი ჩემი მიზანია. კიდევ 5-6 სეზონს თუ ვითამაშებ, 300 გოლს მივუკაკუნებ. ჯერ კარიერის დასრულებას არ ვაპირებ.

**— თქვენი კონტრაქტი 2010 წელს იწურება და გახანგრძლივებაზე ჯერ არ გილაპარაკიათ?**

— არა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შემექმნება. 2014 წლამდე მსურს თამაში, მაგრამ კარიერის უფრო ადრე დასრულებას არ გამოვრიცხავ. როგორც კი მივხვდები, რომ კლუბისთვის სასარგებლო აღარ ვარ, თამაშს თავს დავანებებ.

**— სამუდამოდ „ჯალოროსო" რჩებით. გული არ გწყდებათ, რომ სხვა კლუბში არ ითამაშეთ?**

— გადაწყვეტილებას გულის კარნახით ვიღებ, გულს კი, ხომ იცით, ვერ უბრძანებ. არაფერს არ ვნანობ.

**— საკუთარი თავი მწვრთნელად წარმოგიდგენიათ?**

— გამორიცხულია. საამისოდ ძალიან კეთილი ვარ. „რომაში" დარჩენა კი მსურს და სპორტულ ან ტექნიკურ დირექტორად სიამოვნებით ვიმუშავებდი.

**— წარმოიდგინეთ, რომ „რომასთვის" ნებისმიერი ფეხბურთელის შეძენა შეგიძლიათ. ვის იყიდდით?**

— მესის. „ოქროს ბურთსაც" მას მივცემდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯილდო კრიშტიანუ რონალდუმ ალალად დაიმსახურა.

**— მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის ნაკრებში დაბრუნდებით?**

— ამ მომენტისთვის ჩემი პასუხია — არა.

**— და თუ პირადად მარჩელო ლიპი დაგირეკავთ?**

— უმალ უარს არ ვეტყოდი. ათასჯერ დავფიქრდებოდი გადაწყვეტილების მიღებამდე. ლიპი ხომ განსაკუთრებული ადამიანია.




უეინ რუნის გამარჯვების გოლი

# სიკვდილის შემდეგ

**საკვალიფიკაციო მატჩი**

**ადელაიდა 2:1 ვეითეკერი**

0:1 სიმენი (34), 1:1 მულენი (39), 2:1 დოდო (83)

**მეოთხედფინალი**

**ალ აჰლი 2:4დ.დ. (2:2) პაჩუკა**

1:0 პინტო (28 ს.კ.), 2:0 ფლავიო (45), 2:1 მონტესი (47), 2:2 ხიმენესი (73), 2:3 ალვარესი (98), 2:4 ხიმენესი (110)

**ადელაიდა 0:1 ოსაკა**

0:1 ენდო (23),

**ნახევარფინალი**

**პაჩუკა 0:2 კიტო**

0:1 ბიელერი (4), 0:2 ბოლანოსი (26)

**ოსაკა 3:5 მანჩესტერი**

0:1 ვიდიჩი (28), 0:2 რონალდუ (45), 1:2 იამაზაკი (74), 1:3, 1:4 რუნი (75, 79), 1:5 ფლეტჩერი (78), 2:4 ენდო (85პ), 3:5 ჰაშიმოტო (90)

**მატჩი მე-5 ადგილისთვის**

**ალ აჰლი 0:1 ადელაიდა**

0:1 კრისტიანო (7),

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**პაჩუკა 0:1 ოსაკა**

0:1 იამაზაკი (29),

**ფინალი**

**კიტო 0:1 მანჩესტერი**

0:1 რუნი (73)

**კიტო:** სევალიოსი, ნ. არაუხო, კალე (ამბროსი 77), ბოლანოსი (ნავია 87), ურუტია, რეასკო (ლარეა 82), კალდერონი, უ. არაუხო, ბიელერი, მანსო, კამპოსი

**მწვრთნელი:** ედგარდო ბაუსა

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, რონალდუ, ანდერსონი (ფლეტჩერი 88), რუნი, პარკი, ვიდიჩი, კარიკი, რაფაელი (ნევილი 85), ტევესი (ევანსი 51)

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** სევალიოსი, კალე, ბელერი, კამპოსი, ანდერსონი, უ. არაუხო

**გაძევება:** ვიდიჩი (49)

**მსაჯი:** ვარშან ირმატოვი (უზბეკეთი)

**უეინ რუნის** გოლმა ათკაცა „მანჩესტერს" გუშინ „კიტოსთან" მოაგებინა და ალექს ფერგიუსონის გუნდი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გახადა.

„მანჩესტერი" პირველი ინგლისური კლუბია, რომელმაც ეს ჯილდო მიითვალა. 2005-ში „ლივერპულმა" „სან პაულუსთან" წააგო.

ჩემპიონთა თასის მფლობელს ლიბერტადორესის თასის მომგებ „კიტოსთან" გაუჭირდა, რადგან მეორე ტაიმის დასაწყისში ნემანია ვიდიჩი გაუძევეს და ევროპელები ათნი დარჩნენ. სერბმა მცველმა მეტოქე კლაუდიო ბიელერს სახეში იდაყვი ჰკრა და მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა.

„გაძევებამ საქმე ძალიან გაგვირთულა — თქვა ალექს ფერგიუსონმა — მაგრამ უეინ რუნიმ დიდებული გოლი შეაგდო. 30 წლის შემდეგაც გაიხსენებენ „მანჩესტერის" ამ გამარჯვებას, მე ალბათ ცოცხალი აღარ ვიქნები".

ნემანია ვიდიჩის წითელი ბარათი ჩემპიონთა ლიგაში ძალაშია და ამიტომ „ინტერთან" „სან სიროზე" პირველ მერვედფინალურ მატჩს გამოტოვებს.

„ეს აშკარა ჯარიმა იყო და როცა მსაჯის თვალწინ მეტოქეს იდაყვს მიარტყამ მოედანზე დარჩენის შანსი აღარ გაქვს" — ბრძანა „მანჩესტერის" მწვრთნელმა ვიდიჩზე.

„ჩვენ მსოფლიოში უძლიერესი კლუბი ვართ" — ხარობდა უეინ რუნი, რომელიც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ნახევარფინალში „გამბა ოსაკასთან" ინგლისელმა ფორვარდმა ორი გოლი შეაგდო.

„ეს დიდი მიღწევაა კლუბისთვის და ყველანი ვამაყობთ — განაცხადა რუნიმ — ამ ჯილდომდე გრძელი გზა გავიარეთ. გამარჯვების გოლს გატანა კი ძალიან დიდი სიამოვნებაა".

ეკვადორული კლუბის ფეხბურთელები კრიშტიანუ რონალდუზე „ნადირობდნენ", მაგრამ „მანჩესტერის" უპირატესობა მაინც აშკარა იყო მატჩში, რომელსაც 70 ათასამდე ქომაგი ესწრებოდა. პირველ ტაიმში პრემიერლიგელებს სამი მომენტი ჰქონდათ, რუნის გოლის მერე კი ვან დერ სარმა 89-ე წუთზე ალესანდრო მანსოს არ გაატანინა.

„ვიდიჩი რომ გააძევეს, ვიფიქრე, მოვიგებთ-მეთქი — განაცხადა „კიტოს" არგენტინელმა მწვრთნელმა ედგარდო ბაუსამ — წაგება საწყენია, მაგრამ ფინალში გასვლა მაინც სასიხარულოა".

**რომან თურქია**

| მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონები | |
|---|---|
| 2000 | 2006 |
| **კორინთიანსი** | **ინტერნასიონალი** |
| ვასკო და გამა | ბარსელონა |
| ნეკაქსა | ალ აჰლი |
| 2005 | 2007 |
| **სან პაულუ** | **მილანი** |
| ლივერპული | ბოკა ხუნიორსი |
| დეპორტივო საპრისა | ურავა |

# ინგლისი

**პრემიერლიგა. XVIII ტური**

# ფერე ჩელსისთვის

**ტურის მატჩი**

**არსენალი 1:1 ლივერპული**

1:0 ვან პერსი (24), 1:1 კინი (42)

**არსენალი:** ალმუნია, ჟორუ, გალასი, კლიში, სანია, სონგი, ფაბრეგასი (დიაბი 46), ნასრი (ებუე 90), დენილსონი, ადებაიორი, ვან პერსი

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, ინსუა, არბელოა, ალონსო, ლუკასი (ნგოგი 88), კინი (ელ ზარი 81), ჯერარდი, რიერა (ბაბელი 71), კუიტი

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**გაფრთხილება:** კინი, ადებაიორი, ვან პერსი, სანია, კარაგერი, ლუკასი

**გაძევება:** ადებაიორი (62)

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები

60 094 მაყურებელი

**გუშინ** „მანჩესტერ იუნაიტედმა" იაპონიაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუშინვე „ჩელსი" პრემიერლიგის პოტენციური ლიდერი გახდა.

„ჩელსი" დღეს საღამოს თამაშობს და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა — მოიგებს, რაც ცხრილში „ლივერპულის" გადასწრების საშუალებას მისცემს. ეს საშუალება კი ლონდონელებს სხვა დედაქალაქურმა კლუბმა, „არსენალმა" უბოძა, რომელმაც „ლივერპულს" გუშინ ოდენ ქულა გაატანა.

გაატანაო, ვამბობთ — „მეთოფეთა" „ემირეიტსიდან" ქულის წაღებაც როგორი საქმეა, მოგეხსენებათ, მაგრამ მეორე მხრივ, მასპინძლებმა ბოლო ნახევარი საათი ემანუელ ადებაიორის გარეშე ითამაშეს და ეს, ცხადია, დიდი დანაკლისი გახლავთ.

და რატომ გააძევეს ტოგოელი ფორვარდი? ის გაშლილი ფეხებით წავიდა ალვარო არბელოაზე და არბიტრ ჰოვარდ ვებსაც არ უყოყმანია.

ამ დროისთვის გოლები უკვე გასული იყო. ანგარიში რობინ ვან პერსიმ გახსნა — სამირ ნასრის უგრძელესი პასი მიიღო, ბურთი ბრწყინვალედ დაიმორჩილა და საგოლედ გაისროლა.

„არსენალს" სიხარული ტაიმის ბოლომდე არ დასცალდა — რობი კინმა გაათანაბრა. სხვათა შორის, წინა ტურში „ლივერპულმა" „ჰალს" რომ ვერ მოუგო (2:2) იმ შემადგენლობიდან რაფაელ ბენიტესმა ოთხი ფეხბურთელი შეცვალა და „არსენალთან" ერთ-ერთი „ახალი" მოთამაშე რობი კინიც გახლდათ.

ირლანდიელმა გოლი ასე გაიტანა: სტივენ ჯერარდთან კედელი გაითამაშა და გაელ კლიში რომ არ ჩარჩენილიყო, თამაშგარეშიც აღმოჩნდებოდა. მაგრამ კლიში ჩარჩა და კინმაც ქულის გადამრჩენი გოლი გაიტანა.

მომენტები სხვაც იყო, მაგრამ გოლი მეტი აღარ გასულა და ცხრილმა ისეთი სახე მიიღო, თავშივე რომ მოგახსენეთ. ერთი კი დავძინოთ: ადებაიორის გაძევების მერე „არსენალი" არ გამტყდარა და ბოლომდე ტოლსწორად იბრძოლა.

**ძოტე ძეძელია**

**ბლექბერნი 3:0 სტოკი**

1:0 მაკარტი (9პ), 2:0 რობერტსი (18), 3:0 მაკარტი (27)

გაფრთხილება: ფაიე, კრესველი (სტოკი)

**ბოლტონი 2:1 პორტსმუთი**

1:0 ტეილორი (1), 2:0 გარდნერი (3), 2:1 კრაუჩი (20)

გაფრთხილება: სტეიმსონი (ბოლტონი), დეფო (პორტსმუთი)

**ფულემი 3:0 მიდლსბრო**

1:0 ბულარდი (41), 2:0 მერფი (54პ), 3:0 დემპსი (59)

გაფრთხილება: არკა, მაკმაჰონი (მიდლსბრო)

**ჰალი 1:4 სანდერლენდი**

0:1 მალბრანკი (10), 1:1 ბარმბი (19), 1:2 ზაიატე (78ს.კ.), 1:3 ჯონსი (44), 1:4 სისე (90)

გაფრთხილება: ბოატენგი, რიკეტსი, რიკეტსი, კინგი (ჰალი), რიჩარდსონი (სანდერლენდი)

გაძევება: რიკეტსი (81)

**ვესტ ჰემი 0:1 ასტონ ვილა**

0:1 ნილი (78ს.კ.)

გაფრთხილება: ნილი, ბელამი (ვესტ ჰემი), მილნერი (ასტონ ვილა)

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 სიტი**

1:0 მური (69), 1:1 კარსონი (84ს.კ.), 2:1 ბედნარი (90)

გაფრთხილება: რობინსონი, ბედნარი (ვესტ ბრომვიჩი), დანი (სიტი)

**ნიუკასლი 2:1 ტოტენჰემი**

1:0 ნზოგბია (12), 1:1 მოდრიჩი (29), 2:1 დაფი (90)

გაფრთხილება: ენრიკე, ბუტიერესი (ნიუკასლი), ჰადლსტოუნი, მოდრიჩი (ტოტენჰემი)

**ევერტონი — ჩელსი**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 18 | 11 | 6 | 1 | 27:12 | 39 |
| ჩელსი | 17 | 11 | 4 | 2 | 36:7 | 37 |
| ასტონ ვილა | 18 | 10 | 4 | 4 | 30:20 | 34 |
| მანჩესტერი | 16 | 9 | 5 | 2 | 27:10 | 32 |
| არსენალი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:21 | 31 |
| ჰალი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:31 | 27 |
| ევერტონი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:25 | 25 |
| ფულემი | 17 | 6 | 6 | 5 | 16:12 | 24 |
| ბოლტონი | 18 | 7 | 2 | 9 | 22:24 | 23 |
| პორტსმუთი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:28 | 23 |
| უიგანი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:20 | 22 |
| ნიუკასლი | 18 | 5 | 7 | 6 | 24:25 | 22 |
| სანდერლენდი | 18 | 6 | 3 | 9 | 21:26 | 21 |
| მიდლსბრო | 18 | 5 | 5 | 8 | 17:27 | 20 |
| სტოკი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:30 | 20 |
| ტოტენჰემი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:23 | 19 |
| ვესტ ჰემი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:26 | 19 |
| სიტი | 18 | 5 | 3 | 10 | 31:27 | 18 |
| ბლექბერნი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:34 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:33 | 15 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| აგბონლაჰორი (ასტონ ვილა) | 9 |
| რობინიო (სიტი) | 8 |
| სისე (სანდერლენდი) | 8 |
| დეფო (პორტსმუთი) | 8 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 8 |
| ზაქი (უიგანი) | 8 |

**ჩემპიონატი. XXIV ტური**

ვულვზი — ბრისტოლი 2:0; ბარნსლი — ნორვიჩი 0:0; ბლექპული — ქოვენთრი 1:1; ბარნლი — პრესტონი 3:1; კარდიფი — ბირმინგემი 1:2; ჩარლტონი — უენსდი 1:2; დონკასტერი — საუთჰემპტონი 0:2; პლიმუთი — ნოტინგემი 1:0; ქუინზ პარკი — დერბი 0:2; რედინგი — სუონსი 4:0; შეფილდი — უოტფორდი 2:1; იფსვიჩი — კრ. პალასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 24 | 18 | 2 | 4 | 51:27 | 56 |
| რედინგი | 24 | 15 | 4 | 5 | 51:22 | 49 |
| ბირმინგემი | 24 | 14 | 5 | 5 | 33:23 | 47 |
| ბარნლი | 24 | 12 | 7 | 5 | 38:31 | 43 |
| კარდიფი | 24 | 10 | 10 | 4 | 34:24 | 40 |
| შეფილდი | 24 | 10 | 7 | 7 | 33:23 | 37 |
| პრესტონი | 24 | 11 | 4 | 9 | 33:31 | 37 |
| ქუინზ პარკი | 24 | 10 | 6 | 8 | 23:24 | 36 |
| კრ. პალასი | 23 | 9 | 7 | 7 | 32:26 | 34 |
| სუონსი | 24 | 7 | 12 | 5 | 33:30 | 33 |
| უენსდი | 24 | 9 | 6 | 9 | 24:34 | 33 |
| იფსვიჩი | 24 | 8 | 8 | 8 | 34:27 | 32 |
| პლიმუთი | 24 | 8 | 6 | 10 | 25:28 | 30 |
| ქოვენთრი | 24 | 7 | 8 | 9 | 27:31 | 29 |
| დერბი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:34 | 29 |
| ბლექპული | 24 | 7 | 8 | 9 | 23:30 | 29 |
| ბარნსლი | 24 | 8 | 4 | 12 | 25:30 | 28 |
| ბრისტოლი | 24 | 6 | 10 | 8 | 25:30 | 28 |
| უოტფორდი | 24 | 7 | 5 | 12 | 36:40 | 26 |
| ნორვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:36 | 26 |
| საუთჰემპტონი | 23 | 5 | 7 | 11 | 21:34 | 22 |
| ნოტინგემი | 24 | 4 | 9 | 11 | 21:32 | 21 |
| ჩარლტონი | 24 | 4 | 6 | 14 | 25:40 | 18 |
| დონკასტერი | 24 | 4 | 6 | 14 | 11:28 | 18 |



ლონდონელები სტივენ ჯერარდს ასე გაუმასპინძლდნენ

ძიუდო

# ქართველების ფრანგული კედელი

**საფრანგეთის** ქალაქ ლევალიეში გაიმართა ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატი აბსოლუტურ წონაში. საქართველოს ნაკრებიდან ფრანგულ ტატამზე იჭიდავეს ჩვენმა მძიმეწონოსნებმა ლაშა გუჯეჯიანმა და ზვიად ხანჯალიაშვილმა და... ორივე ნაადრევად დამარცხდა. გუჯეჯიანმა პირველ წრეში დაისვენა და მერე მასპინძელ ჟან ბონვუასისთან ვაზარით წააგო. რადგან ბრძოლა ვერც ფრანგმა გააგრძელა, ქართველმა რეპეშაჟის შანსიც დაკარგა. მის დარად ზვიად ხანჯალიაშვილმაც გამოტოვა პირველი წრე და მასაც ფრანგი შეხვდა — კირილ მარე, ვისთანაც იუკოთი დამარცხდა და მარეს მალევე დამარცხების გამო დამამშვიდებელში ველარ იჭიდავა.

# პეტერსონმა მოგვიწონა

**გასულ** კვირას თბილისს ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტული დირექტორი ინდრეკ პეტერსონი სტუმრობდა. ორდღიანი ვიზიტის დროს პეტერსონი სხვადასხვა თანამდებობის პირებს, მათ შორის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს შეხვდა. გეხსომებათ, გაისად თბილისი ორ მნიშვნელოვან ტურნირს მასპინძლობს: იანვარში ტრადიციული მსოფლიოს თასის ეტაპი ჩატარდება, აპრილში კი ჩვენი დედაქალაქი ბებერი კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს. ვიზიტის მთავარი მიზანი საორგანიზაციო საკითხების მიმოხილვა გახლდათ. პეტერსონი ნანახით და გაგონილით კმაყოფილი დარჩა და ქართველ კოლეგებს სიტყვა დაუტოვა, ასე თუ გააგრძელებთ, სანერვიულო არც არაფერი გექნებათ, ორივე ტურნირს მომზადებული შეხვდებითო.

წყალში ხტომა

# უკრაინული ბრინჯაო



**კიევში** წყალში მხტომელთა შორის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც რვა ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ. საქართველოს ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი წარმოადგენდნენ და სინქრონულ ხტომებში კარგი შედეგი აჩვენეს, 365,5 ქულა დააგროვეს და ბრინჯაოს მედლები აიღეს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ნახტომებს, აქ 26 მონაწილეს შორის ჭანტურია მე-9 იყო, კორახაშვილი კი — მე-12.

ხელბურთი

# მარადიულობა დამარცხდა

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზმა ხელბურთელთა შორის „მერიის თასს" უმასპინძლა. გამარჯვებული „თბილისი" გახდა, რომელმაც ტრადიციული მეტოქე და საქართველოს მარადიული ჩემპიონი სტუ 29:20 დაამარცხა. „სამტრედიამ" 31:23 „მამულს" მოუგო და მესამე ადგილი ირგუნა. „რუსთავმა" კი „ქუთაისის" 27:23 ძლევის შემდეგ მეხუთე ადგილი დაიჭირა.

## იტალია

### სერია A

**მილანი 5:1 უდინეზე**

1:0 პატო (4), 2:0 კაკა (13), 2:1 დი ნატალე (17), 3:1 პატო (18), 4:1 ზეედორფი (43), 5:1 კაკა (52)

### სერია C1/A

ჩეზენა — ვერონა 2:1; ლეკო — პორტოგრუარო 1:2; ლენიანო — რავენა 1:1; მონცა — ლუმეცანე 2:3; პერგოკრემა — სპალ 0:0; პროპატრია — პადოვა 2:1; რეჯანა — სანბენედეტეზე 1:0; ვენეცია — პრო სესტო 1:2; ნოვარა — კრემონეზე დღეს გაიმართება

### სერია C1/B

ბენევენტო — პოტენცა 2:0; კროტონე — ფოჯა 1:0; ფოლინო — პისტოიეზე 1:2; ლანჩანო — პერუჯა 0:2; პესკარა — კავეზე 1:2; მარკიანიზე — გალიპოლი 2:2; ტარანტო — სორენტო 0:0; ტერნანა — არეცო 1:1. პაგანეზე — სტაბია გადაიდო

## კვიპროსი

### I დივიზიონი

ეთნიკოსი — ათრომიტოსი 2:1; აეკ — კინირასი 1:2; აპეპ — ანორთოსისი 1:2; პაფოსი — ალკი 5:2; დოქსა — აპოელი 0:2; აელ — აპოლონი 1:0; ომონია — პარალიმნი დღეს გაიმართება

## ბელგია

### I დივიზიონი. XVII ტური

ანდერლეხტი — გენკი 2:0; სერკლი — რუზელარე 4:3; შარლერუა — დენდერი 2:0; ბეერსხოტი — ტუბიცე 2:0; ლოკერენი — მეხელენი 2:2; მონსი — ზულტე-ვარეგემი 2:2; მუსკრონი — ბრიუგე 5:1; კორტრაიკი — ვესტერლო 0:0; სტანდარდი — გენტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 17 | 12 | 2 | 3 | 43:17 | 38 |
| სტანდარდი | 17 | 10 | 4 | 3 | 30:17 | 34 |
| ბრიუგე | 17 | 9 | 4 | 4 | 29:23 | 31 |
| გენკი | 17 | 9 | 3 | 5 | 26:22 | 30 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 4 | 5 | 22:20 | 28 |
| სერკლი | 17 | 9 | 1 | 7 | 29:28 | 28 |
| ლოკერენი | 17 | 6 | 9 | 2 | 22:14 | 27 |
| მუსკრონი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:22 | 27 |
| ვარეგემი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:22 | 24 |
| გენტი | 17 | 6 | 5 | 6 | 33:24 | 23 |
| შარლერუა | 17 | 6 | 3 | 8 | 22:26 | 21 |
| კორტრაიკი | 16 | 4 | 7 | 5 | 17:24 | 19 |
| მეხელენი | 17 | 4 | 6 | 7 | 19:28 | 18 |
| მონსი | 17 | 3 | 6 | 8 | 19:24 | 15 |
| ბეერსხოტი | 17 | 3 | 6 | 8 | 18:23 | 15 |
| დენდერი | 17 | 3 | 6 | 8 | 21:33 | 15 |
| ტუბიცე | 17 | 4 | 2 | 11 | 20:26 | 14 |
| რუზელარე | 17 | 2 | 4 | 11 | 13:33 | 10 |

უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XIX ტური

გრენობლი — ლე მანი 2:1; ლილი — ლე ავრი 3:1; ლორიანი — რენი 1:2; ნანტი — სოშო 1:1; სენტ ეტიენი — ოსერი 2:0; ტულუზი — ნიცა 2:2; კაენი — ლიონი 0:1; მარსელი — ნანსი 0:3; პსჟ — ვალანსიენი 2:2; მონაკო — ბორდო წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 19 | 11 | 5 | 3 | 23:12 | 38 |
| რენი | 19 | 8 | 10 | 1 | 24:13 | 34 |
| პსჟ | 19 | 10 | 3 | 6 | 24:17 | 33 |
| ბორდო | 18 | 9 | 5 | 4 | 27:16 | 32 |
| მარსელი | 19 | 8 | 8 | 3 | 33:24 | 32 |
| ლილი | 19 | 8 | 8 | 3 | 28:19 | 32 |
| ტულუზი | 19 | 8 | 7 | 4 | 19:15 | 31 |
| ნიცა | 19 | 8 | 6 | 5 | 23:19 | 30 |
| ლორიანი | 19 | 7 | 5 | 7 | 25:23 | 26 |
| ნანსი | 19 | 6 | 7 | 6 | 18:17 | 25 |
| გრენობლი | 19 | 6 | 7 | 6 | 13:17 | 25 |
| ლე მანი | 19 | 7 | 3 | 9 | 25:28 | 24 |
| კაენი | 19 | 5 | 8 | 6 | 23:21 | 23 |
| მონაკო | 18 | 6 | 5 | 7 | 19:19 | 23 |
| ოსერი | 19 | 5 | 5 | 9 | 14:19 | 20 |
| ნანტი | 19 | 5 | 5 | 9 | 15:25 | 20 |
| სენტ ეტიენი | 19 | 6 | 1 | 12 | 15:28 | 19 |
| ვალანსიენი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:25 | 15 |
| სოშო | 19 | 1 | 11 | 7 | 18:25 | 14 |
| ლე ავრი | 19 | 3 | 3 | 13 | 14:34 | 12 |

### II დივიზიონი. XVIII ტური

აიაჩო — მონპელიე 0:3; კლერმონი — შატორუ 1:3; გენგამი — ამიენი 0:0; ნიმი — ბასტია 1:0; ტური — რეიმსი 2:1; ვანი — სედანი 0:0; ანჟერი — დიჟონი 2:0; ლანსი — ბრესტი 2:0; ტრუა — მეცი 3:1; სტრასბური — ბულონი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 18 | 12 | 1 | 5 | 26:17 | 37 |
| მონპელიე | 18 | 9 | 5 | 4 | 32:15 | 32 |
| ბულონი | 17 | 9 | 5 | 3 | 23:13 | 32 |
| ანჟერი | 18 | 8 | 7 | 3 | 26:17 | 31 |
| სტრასბური | 15 | 8 | 5 | 3 | 27:17 | 29 |
| მეცი | 18 | 8 | 5 | 5 | 19:15 | 29 |
| ტური | 18 | 8 | 3 | 7 | 25:24 | 27 |
| ტრუა | 18 | 7 | 5 | 6 | 18:17 | 26 |
| ვანი | 18 | 7 | 4 | 7 | 13:16 | 25 |
| ბასტია | 18 | 6 | 5 | 7 | 19:20 | 23 |
| ბრესტი | 18 | 7 | 1 | 10 | 18:21 | 22 |
| კლერმონი | 18 | 5 | 7 | 6 | 21:25 | 22 |
| დიჟონი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:24 | 21 |
| სედანი | 18 | 5 | 6 | 7 | 17:23 | 21 |
| ამიენი | 17 | 4 | 8 | 5 | 14:15 | 20 |
| გენგამი | 18 | 4 | 8 | 6 | 15:17 | 20 |
| შატორუ | 18 | 5 | 5 | 8 | 18:22 | 20 |
| აიაჩო | 18 | 5 | 5 | 8 | 25:31 | 20 |
| ნიმი | 18 | 2 | 7 | 9 | 14:26 | 13 |
| რეიმსი | 18 | 2 | 6 | 10 | 18:33 | 12 |

### III ლიგა

არლე — ეური 1:0; კრეტეი — ლენტენტი 4:1; გენიონი — კალე 0:0; ისტრი — ლავალი 1:1; ლებურნი — შერბური 2:0; ნიორი — კარნი 1:2; პარიზი — ლუანი 3:0; სეტე — როდეზი 1:1; ბუვე — კრუა-დე-სავოი 1:1; კანი — ბაიონი 1:0

## თურქეთი

### III ლიგა. XVI ტური

ქონია — ფენერბაჩე 1:2; ისთანბული — ქოჯაელი 5:0; ჰაჩეტეპე — ქაისერი 0:3; ტრაბზონი — ესქიშეჰირი 2:1; ანთალია — ანკარა 1:1; გენჩლერი — სივასი 1:2; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 1:1; გაზიანთეფი — ბურსა 2:0; გალათასარაი — ბეშიქთაში 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სივასი | 15 | 10 | 4 | 2 | 28:12 | 34 |
| ტრაბზონი | 16 | 10 | 4 | 2 | 24:14 | 34 |
| გალათასარაი | 16 | 10 | 3 | 3 | 38:19 | 33 |
| ფენერბაჩე | 16 | 10 | 2 | 4 | 31:18 | 32 |
| ანკარა | 16 | 9 | 3 | 4 | 24:12 | 30 |
| ბეშიქთაში | 16 | 8 | 4 | 4 | 27:18 | 28 |
| ქაისერი | 16 | 7 | 6 | 3 | 17:7 | 27 |
| გაზიანთეფი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:21 | 25 |
| ბურსა | 16 | 6 | 4 | 6 | 21:24 | 22 |
| ისთანბული | 16 | 5 | 4 | 7 | 17:21 | 19 |
| ესქიშეჰირი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:24 | 18 |
| ქონია | 16 | 4 | 5 | 7 | 15:23 | 17 |
| დენიზლი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:31 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 16 | 3 | 6 | 7 | 14:23 | 15 |
| გენჩლერი | 16 | 3 | 5 | 8 | 18:25 | 14 |
| ანთალია | 16 | 2 | 7 | 7 | 16:24 | 13 |
| ჰაჩეტეპე | 16 | 2 | 3 | 11 | 9:26 | 9 |
| ქოჯაელი | 16 | 2 | 3 | 11 | 19:40 | 9 |

## არგენტინა

### საჩემპიონო მატჩები

ტიგრე — სან ლორენსო 1:2; სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:3; ბოკა ხუნიორსი — ტიგრე ზეგ გაიმართება

## ინგლისი

### I ლიგა

ჰარტლპული — საუთენდი 3:0; ჩელტენემი — უოლსოლი 0:0; კოლჩესტერი — სკანთორპი 0:0; ჰადერსფილდი — ჰერეფორდი 2:0; ლესტერი — პიტერბრო 4:0; მილუოლი — ქრიუ 0:0; მილტონი — ლიდსი 3:1; ნორთჰემპტონი — კარლაილი 1:0; ოლდემი — ლეიტონი 1:1; სტოკპორტი — ბრისტოლი 3:1; სუინდონი — იოვილი 2:3; ტრანმერი — ბრაიტონი 1:0

### II ლიგა

აკრინგტონი — როტერჰემი 1:3; ალდერშოტი — გრიმსბი 2:2; ბორნმუთი — ბარი 2:0; ბრედფორდი — ჩესტერი 0:0; დარლინგტონი — ბარნეტი 2:2; ექსეტერი — როჩდეილი 4:1; ჯილინგემი — ბრენტფორდი 1:1; ლუთონი — მორეკომბი 1:1; მაკლსფილდი — დაგენემი 0:4; ნოთსი — ლინკოლნი 0:1; პორტ ვეილი — ჩესტერფილდი 0:1; შრიუსბერი — უიკომბი 0:1

### კონფერენსლიგა

ალტრინჩემი — ბარტონი 1:3; კემბრიჯი — სალისბერი 4:0; ქრიული — კიდერმინსტერი 2:0; ფორესტ გრინი — კეტერინგი 0:2; გრეისი — ბაროუ 2:1; ლიუისი — უოკინგი 0:2; მანსფილდი — ვეიმუთი 2:1; ოქსფორდი — სტივენეიჯი 1:1; რაშდენი — ნორთვიჩი 2:1; ტორკი — ჰისტონი 4:1; რექსემი — ისტბურნი 5:0; იორკი — ებსფლითი 3:1

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ფარსლი — სტეფორდი 4:0; ტელფორდი — სტალიბრიჯი 1:0; უოკინგტონი — ჰინკლი გადაიდო

### FA ტროფი

სუინდონი — ისტბურნი 1:0

## ამხანაგური მატჩი

**იორდანია 0:1 ჩინეთი**

**სინგაპური 0:1 ვიეტნამი**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XII ტური

ნავალი — გიმარაეში 0:0; ბრაგა — რიუ ავე 1:0; სპორტინგი — აკადემიკა 0:0; ბელენენსეში — ტროფენსე 3:2; ფერეირა — სეტუბალი 2:0; ლეიშოეში — ამადორა 1:1; პორტუ — მარიტიმუ 0:0; ბენფიკა — ნასიონალი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 11 | 7 | 4 | 0 | 24:10 | 25 |
| პორტუ | 12 | 7 | 3 | 2 | 20:9 | 24 |
| ლეიშოეში | 12 | 7 | 3 | 2 | 17:12 | 24 |
| სპორტინგი | 12 | 7 | 2 | 3 | 14:7 | 23 |
| ბრაგა | 12 | 5 | 5 | 2 | 12:5 | 20 |
| ნასიონალი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:12 | 20 |
| მარიტიმუ | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 19 |
| გიმარაეში | 12 | 3 | 5 | 4 | 8:11 | 14 |
| ნავალი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:13 | 13 |
| აკადემიკა | 12 | 3 | 4 | 5 | 7:11 | 13 |
| ფერეირა | 12 | 3 | 3 | 6 | 14:18 | 12 |
| ამადორა | 12 | 3 | 3 | 6 | 9:18 | 12 |
| სეტუბალი | 12 | 3 | 2 | 7 | 7:15 | 11 |
| რიუ ავე | 12 | 2 | 4 | 6 | 8:12 | 10 |
| ბელენენსეში | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | 10 |
| ტროფენსე | 12 | 2 | 2 | 8 | 10:18 | 8 |

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

აირბასი — პრესტატინი 1:1; ნითი — აბერისვითი 0:4; ველშპური — ცრუიდსი 3:3; კერნარფორი — ქეარსი 2:2; ჰავერფორდვესტი — კონაჰი 2:0; ლანელი — ბანგორი 4:3; ნიუთაუნი — რილი 1:2; პორთმადოგი — კერმარტენი 1:3; პორტ ტალბოტი — ტნს 0:0

## გერმანია

### III ლიგა

ოფენბახი — შტუტგარტი (მ) 2:0; დინამო — ერფურტი 1:1; ვერდერი (მ) — უნტერჰახინგი 1:0; კარლ ცაისი — რეგენსბურგი 0:0; პადერბორნი — ფორტუნა 0:0; კიკერსი — ბურგჰაუზენი 0:0; უნიონი — ბაიერნი (მ) 0:0; ვუპერტალი — ემდენი 0:3; აალენი — ზანდჰაუზენი 0:0; ბრაუნშვაიგი — აუე 1:1

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერლიგა

ბანგორი — ნიური 4:2; კლიფტონვილი — კოლერეინი 3:0; დანგანონი — კრუზეიდერსი 3:6; გლენავონი — ინსტიტუტი 1:3; გლენტორანი — ბალიმენა 1:2; ლისბურნი — ლინფილდი 0:0

## ესპანეთი

### პრიმერა დივიზიონი

**ვილიარეალი 1:2 ბარსელონა**

1:0 კანი (48), 1:1 [illegible] (54), 1:2 ანრი (66)

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XV ტური

ირაკლისი — ქსანთი 1:0; პანსერაიკოსი — პაოკ 1:1; პანიონიოსი — ტრიპოლისი 3:0; პანთრაკიკოსი — არისი 0:0; აეკ — ერგოტელისი 3:2; ლარისა — ლევადიაკოსი 2:1; ოფი — პანათინაიკოსი 0:3; ოლიმპიაკოსი — ფილისი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 11 | 3 | 1 | 27:6 | 36 |
| პაოკ | 15 | 8 | 6 | 1 | 17:8 | 30 |
| პანათინაიკოსი | 15 | 8 | 5 | 2 | 27:12 | 29 |
| აეკ | 15 | 5 | 9 | 1 | 19:16 | 24 |
| არისი | 15 | 6 | 5 | 4 | 14:12 | 23 |
| ლარისა | 15 | 5 | 6 | 4 | 20:15 | 21 |
| პანიონიოსი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:20 | 21 |
| ერგოტელისი | 15 | 6 | 3 | 6 | 22:23 | 21 |
| ქსანთი | 15 | 5 | 5 | 5 | 10:10 | 20 |
| პანთრაკიკოსი | 15 | 5 | 4 | 6 | 9:13 | 19 |
| ირაკლისი | 15 | 4 | 6 | 5 | 12:15 | 18 |
| ლევადიაკოსი | 15 | 4 | 4 | 7 | 9:14 | 16 |
| ტრიპოლისი | 15 | 2 | 8 | 5 | 13:17 | 14 |
| ოფი | 15 | 2 | 5 | 8 | 15:26 | 11 |
| პანსერაიკოსი | 15 | 2 | 4 | 9 | 9:23 | 10 |
| ფილისი | 15 | 2 | 2 | 11 | 13:27 | 8 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XVI ტური

ალკმაარი — უტრეხტი 2:0; სპარტა — ჰერენვენი 4:1; ბრედა — ვიტესი 2:0; როდა — გრონინგენი 2:5; გრააფსხაპი — აიაქსი 0:6; ნაიმეგენი — დენ ჰააგი 0:0; პსვ — ფეიენოორდი 1:0; ტვენტე — ტილბურგი 2:0; ვოლენდამი — ჰერაკლესი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 16 | 11 | 3 | 2 | 30:11 | 36 |
| აიაქსი | 16 | 11 | 2 | 3 | 38:17 | 35 |
| ტვენტე | 16 | 10 | 3 | 3 | 33:16 | 33 |
| პსვ | 16 | 9 | 2 | 5 | 30:17 | 29 |
| ბრედა | 16 | 9 | 2 | 5 | 25:22 | 29 |
| გრონინგენი | 16 | 8 | 2 | 6 | 34:21 | 26 |
| ნაიმეგენი | 16 | 7 | 5 | 4 | 25:17 | 26 |
| ჰერენვენი | 16 | 7 | 5 | 4 | 33:35 | 26 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:20 | 22 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 3 | 7 | 21:24 | 21 |
| სპარტა | 16 | 5 | 4 | 7 | 28:32 | 19 |
| ჰერაკლესი | 16 | 5 | 4 | 7 | 17:26 | 19 |
| ფეიენოორდი | 16 | 4 | 4 | 8 | 27:25 | 16 |
| დენ ჰააგი | 16 | 4 | 3 | 9 | 19:23 | 15 |
| როდა | 16 | 3 | 5 | 8 | 20:31 | 14 |
| ვიტესი | 16 | 2 | 6 | 8 | 12:29 | 12 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 3 | 10 | 12:34 | 12 |
| ვოლენდამი | 16 | 3 | 2 | 11 | 18:42 | 11 |

### ერსტე დივიზიონი

კამბური — იგლზი 2:2; ექსელსიორი — ვენლო 1:2; ჰაარლემი — აპელდორნი 1:0; ჰელმონდი — ტელსტარი 1:1; როზენდალი — სიტარდი 0:1; ოსი — ეინდჰოვენი 1:2; ვეენდამი — დენ ბოსხი 2:4; ვალვაიკი — ომნივოლდი 1:0; ზვოლე — დორდრეხტი 2:1

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XIX ტური

ჰამილტონი — მოზერუელი 2:0; ჰართსი — დანდი იუნ. 0:0; ინვერნესი — აბერდინი 0:3; კილმარნოკი — სენტ მირენი 0:1; რეინჯერსი — ჰიბერნიანი 1:0; ფოლკირკი — სელტიკი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 15 | 2 | 2 | 44:18 | 47 |
| რეინჯერსი | 19 | 13 | 4 | 2 | 45:16 | 43 |
| დანდი იუნ. | 19 | 8 | 7 | 4 | 27:20 | 31 |
| ჰართსი | 18 | 9 | 4 | 5 | 20:20 | 31 |
| აბერდინი | 18 | 8 | 3 | 7 | 22:19 | 27 |
| ჰიბერნიანი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:24 | 26 |
| კილმარნოკი | 18 | 7 | 1 | 10 | 16:23 | 22 |
| სენტ მირენი | 19 | 6 | 3 | 10 | 15:22 | 21 |
| ფოლკირკი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:29 | 17 |
| მოზერუელი | 18 | 5 | 2 | 11 | 17:29 | 17 |
| ინვერნესი | 19 | 5 | 2 | 12 | 18:31 | 17 |
| ჰამილტონი | 19 | 5 | 2 | 12 | 17:35 | 17 |

### I დივიზიონი

ერდრი — სტ. ჯონსტონი 1:1; დანდი — პარტიკი 0:0; დანფერმლაინი — კლაიდი 4:4; ლივინგსტონი — ქუინი 2:0; მორტონი — როსი 2:1

### II დივიზიონი

ალოა — ბრეჩინი 2:1; პიტერჰედი —ეირი 3:0; რაითი — არბროთი 2:1; სტირლინგი — ქუინზ პარკი 0:3; სტრანრარი — ისტ ფაიფი 0:4

### III დივიზიონი

ანანი — დამბარტონი 2:1; ისტ სტირლინგი — ქოუდენბითი 1:4; ელგინი — ბერვიკი 0:2; ფორფარი — სტენჰაუზმური 1:0; მონტროუზი — ალბიონი 1:2

GUINNESS WORLD RECORDS



ხორვატმა დავორ ჰუნდიჩმა 2006 წლის 26 ივნისს წყლის მოტოციკლეტით 24 საათში 1031-კილომეტრიანი დისტანცია დაფარა, რაც ამგვარ „დისციპლინაში“ გინესის მსოფლიოს რეკორდია.

ჰუნდიჩი სამშობლოში, ისისის, დუბროვნიკის და რაბის მიდამოებში დააგელვებდა თავის აკვაბაიკს.

# ანეკდოტები

სამუხრუჭე სითხის მწარმოებელი კომპანიის რეკლამა:

— ჩვენი სამუხრუჭე სითხე ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ოფიციალური გამაგრილებელი სასმელია. თუ არ გჯერათ, შეხედეთ.

☺ ☺ ☺

ეგორ ტიტოვმა უარი თქვა რუსეთის ნაკრებში თამაშზე და გადაწყვეტილება ასე ახსნა:

— მსურს, ფეხბურთს მეტი დრო დავუთმო.

☺ ☺ ☺

კომენტატორი:

— დარტყმა, ძელი! ისევ დარტყმა, ძელი! ისევ და, კვლავ ძელი! მიეცით ამ ფეხბურთელს ვინმემ ბურთი, თორემ გაუტყდა თავი...

☺ ☺ ☺

ტრაქტორისტმა ძია თედომ მცხეთის „არმაზის“ სტადიონი მოსახნავადაც უვარგისად მიიჩნია.

☺ ☺ ☺

„მიდლსბროს“ ნახევარმცველ სტიუარტ დაუნინგის ტვინის ტომოგრაფიულმა გამოკვლევამ არაფერიც არ აჩვენა.

☺ ☺ ☺

ესპანელმა პაპარაცებმა აღმოაჩინეს:

კარლეს პუიოლი თმას ძაღლების საპარიკმახეროში იკრეჭს თავის პუდელთან ერთად.

☺ ☺ ☺

სპორტული სიარულის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ამ სახეობის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის საგანგებო დიპლომით დააჯილდოვა.



# სახალისო ფოტო



# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

ვან დერ სარმა ერთი შეხებით ბურთი კუთხურზე გადაიყვანა.

ეს ფეხბურთელი განსაკუთრებით საშიშია, როცა მეკარესთან პირისპირ რჩება და ხელს არავინ უშლის.

მისი მარცხენა ფეხი ბურთს უკანასკნელად შეეხო.

სანამ მე თქვენ გელაპარაკებოდით, ვიღაცამ გოლი გაიტანა. შესვენებაზე გავარკვევ და მეორე ტაიმში მოგახსენებთ.

ოპერატორი იტალიელთა კაპიტნის თავს გვთავაზობს.

სანამ ბურთი ჰაერშია, შემადგენლობებს გაგაცნობთ.

აიტორ კარანკა არ არის რაიან გიგზივით დიდი მცველი, რომელიც ვერ იქნება დიდი მცველი, რადგან ნახევარმცველია.

# სპორტი და ისტორია



ოცდაათიოდე წლის წინ ლეგენდარული პარიზი-დაკარის რალისას ასეთი ინციდენტი მოხდა: ერთი მონაწილის „პეჟო“ საჰარის უდაბნოში ტრასიდან გადავიდა და დაიკარგა. სხვა დროს დაკარგული მრბოლის ძებნა შედარებით მოკრძალებული საშუალებებით მოხდებოდა, მაგრამ იმ მრბოლის საძებნად ალჟირის სამხედრო-საჰაერო ძალების სრული მობილიზაცია გამოცხადდა. დაკარგული ტრასიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით უვნებლად იპოვეს. აჟიოტაჟი კი იმიტომ ატყდა, რომ დაკარგული ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის ვაჟი, მარკ ტეტჩერი იყო...

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. მამუკა გორგოძე (საფრანგეთის ნოემბრის საუკეთესო მორაგბე); 2. გიორგი ქინქლაძე (27-ე ადგილი ინგლისის ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერთა შორის), 3. თემურ ქეცბაია (33-ე ადგილი ინგლისის ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერთა შორის); 4. მანუჩარ მარკოიშვილი (22 ქულა უკრაინის ჩემპიონატში); 5. გიორგი მეგრელაძე (ზედიზედ მეორე პრინციპულ მატჩში გოლის გამტანი); 6. ტაირონ ელისი (10 ქულა ევროჩელენჯზე); 7. არჩილ გოგელია (მეორე ვადით ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი); 8. გივი ბაქრაძე (უსწრაფესი 7 ქულა ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე); 9. რატი წინამძღვრიშვილი (ტრანსფერი უმძიმესი ტრავმის მიუხედავად); 10. ლევან მელქაძე (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნება უმაღლეს ლიგაში)



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge